მწერლის გაზეთი

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი
№8 (251)
1-30 სექტემბერი 2016
ფასი 1 ლარი

გამოდის თვეში ორჯერ

რუსთაველი - 850

რუსთაველის ლექსი და სიტყვის ესთეტიკა

სოსო სიგუა

რუსთაველმა შექმნა ქართული ლექსი და ქართული სიტყვის ესთეტიკა, ომისა და გმირის კულტი, სიყვარულის, რაინდობისა და მეგობრობის მოდელები, რომელთა გადააზრება და მოდერნიზებაა XX საუკუნის ქართული მწერლობა, მისი საუკეთესო ნიმუშები.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს, პერსონაჟებს, მათ ხასიათებს, პოემის აზრობრივ კონსტრუქციას, რეალურს თუ სიმბოლურ–ალეგორიულს, სიცოცხლეს ანიჭებს ლექსის ვირტუოზული ფორმა და სიტყვის ესთეტიკა, ის არტისტიზმი და საგნების მეტაფორული ფერისცვალება, რაც რუსთაველამდე უცნობია.

ლექსი და ფსიქიკა

რუსთაველის ლექსი ბატონობდა ქართულ პოეზიაში XVIII საუკუნის ბოლომდე ანუ, როგორც ათქმევინებს არჩილ მეფე – „მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს“.

იგი 16–მარცვლიანია, ცეზურით ორად გაყოფილი, მაღალი (4+4) და დაბალი რიტმიკისა (2+3+3), რომელსაც მიუბრუნდა იოსებ გრიშაშვილი და ერთხანს ისევ გავრცელდა პოეზიაში (მაგ., გალაკტიონის „მე და ღამე“ და „გურიის მთები“).

რუსთაველის სტროფი კატრენულია – შედგება ოთხი ტაეპისგან, რომლებიც ერთმანეთს ერითმება.

იგი ისევე დაამკვიდრა „ვეფხისტყაოსანმა“ ქართულში, როგორც დანტემ იტალიურში ტერცინის სამტაეპედი გარდამავალი რითმებით, როგორც დაქტილური ჰეგზამეტრი ჰომეროსმა ძველბერძნულში. ქართულში კატრენული სტროფის შემდეგ ყველაზე მეტად გავრცელებულია ორტაეპედი. ხოლო სონეტისა და ტრიოლეტის სტროფიკა, მიუხედავად ცალკეული ჩინებული მაგალითებისა, შერჩა მხოლოდ ელიტურ ან ინტელექტუალურ პოეზიას, ისევე როგორც ბიზანტიური იამბიკოსა და სპარსული მუხამბაზის ხუთტაეპედი.

მათი პარალელი ხალხურ პოეზიაში არ გაჩენილა.

განსხვავებით ხალხურისაგან, რუსთაველის რითმები დიდი მელოდიკური სიზუსტით და ვირტუოზული შეხამებით გვაოცებს, აქვს სილბო ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა.

ამ მხრივ მას მხოლოდ გალაკტიონი თუ შეედრება, რომელმაც რუსთაველის ტრადიციას დაურთო ევროპული მოდერნისტული პოეზიის გამოცდილება და მიჯრითი რითმა შეცვალა ჯვარედინი ზუსტი და ნაკლული რითმების მელოდიკით.

ხალხის ფანტაზია არ ენდობა გართულებულ ფორმებსა და წარმოდგენებს. მისთვის მთავარია სისადავე, ინსტინქტური სწრაფვების უეცარი გამოვლენა, შესაბამისად – ვერ გავრცელდა ინტელექტუალიზებული ან უცხოური მოდელები.

ხოლო პოეტი, რომელსაც აქვს დიდი შემოქმედებითი ენერგია, სააზროვნო კულტურა და სიახლეთა ალქმის უნარი, ახდენს ამ ინსტინქტური მოცემულობის უნივერსალიზებას.

რუსთაველის ლექსის ევფონია, მისი კეთილხმიანობა, ნაირგვარობა და სიმდიდრე სანიმუშოა დღესაც, თუმცა დიდი ხანია აღარ ბაძავენ და აღარ იმეორებენ.

რუსთაველის კატრენული სტროფი აღმოჩნდა ქართული ფსიქიკის შესატყვისი, რადგან მეტრისა და რითმისათვის, განწყობილების შესაქმნელად, მოლოდინის რიტმიზებისათვის მთავარია ინტერვალები, როგორც ტაეპებს, ისე ტერფებს შორის, რითმებს შორის. მაგ., კატრენულ სტროფში, ყოველი 16 მარცვლის შემდეგ მსმენელი (მკითხველი) ელის რითმას, რომელიც მელოდიკურად აკავშირებს და აწესრიგებს სტრიქონებს.

ეს წესრიგი შეესაბამება ჩვენს ფსიქო-ნერვულ სისტემას, რაც ენაში არის კოდირებული, ენიდან კი გადადის ლექსის სტრუქტურაში.

როგორც შენიშნავს ნინო ნაკუდაშვილი, ფსიქოლოგთა დაკვირვების მოხმობით, სხვადასხვა სიხშირისა და სიგრძის საზომები ფსიქო-ფიზიოლოგიურად რომ აღვიქვათ, უნდა არსებობდეს სტიქიური ინტერვალები, რაც გამოდის ენის პროსოდიიდან, პოტენციური მონაცემებიდან („ჰიმნოგრაფიული ტექსტის სტრუქტურა“).

მოკლე ინტერვალი უნდა იყოს 0,5 წამი, ოპტიმალური – 1 წამამდე, ხანგრძლივი – 2 წამამდე.

ამის შემდეგ როგორც მეტრის, ისე რითმის აღქმა ქრება, მათ დაშორებულ არსებობას ემოციის გამოწვევა არ შეუძლია.

პოეტი არ ქმნის ბაზისს მეტრისა და რითმისათვის – იგი მათ აღმოაჩენს და სრულყოფს.

ვერცერთი პოეტი წარმატებას ვერ მიაღწევს თუ იგი არ ამოდის მშობლიური ენის მისტიკიდან, თუ არ გამოავლენს მის ნიუანსებს და გონებით ეცდება იდუმალების დარღვევას, ძალდატანებას სიტყვის რიტმიკაზე.



რუსთაველმა სალექსო ფორმა, – მეტრი, სტროფიკა და გარითმვის წესი მიიღო ჰიმნოგრაფიული პოეზიიდან.

მაგრამ პოეტმა მოახდინა მათი უნივერსალიზება, სრულქმნა და კანონიზება.

იამბიკოს ადგილი დაიკავა ნაციონალურმა ლექსმა და არაბულ–სპარსულმა სიტყვა შაირმა. იგი დაერქვა 16(8) მარცვლოვან ხალხურიდან მომდინარე სალექსო ფორმას, ხოლო მოშაირე – „სიტყვისმოქმედს“ (პოეტს).

შაირის ფორმირება

ვაჟა გვახარიას სადოქტორო დისერტაციის დაცვაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, აკაკი გაწერელია აცხადებდა, რომ კ. კეკელიძის, პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილის მსგავსად ისიც შეცდომით ხედავდა რითმებს ფილიპე ბეთლემელის (X ს.) საგალობელში, აბუკურაში, ცალკეული სტრიქონების თარგმანებში, ფრაგმენტულ ტაეპებში (მაგ., ეფრემ მცირესთან, ლეონტი მროველთან).

ამტკიცებდა, რომ რითმას არ სცნობს ჰიმნოგრაფია. ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტებიდან ნაწყვეტებს ტაეპებად ალაგებდა – პ. ინგოროყვას რომ დავუჯეროთ, ეს ყველაფერი ლექსად ყოფილა დაწერილიო!

იგივე გაიმეორა დაბეჭდილ რეცენზიაში („მნათობი“, 1969, №1),

▶ 2 გვ.

▶ 1 გვ.

რომელიც ტომეულებში შეიტანა.

რატომღაც ანგარიშს არ უწევდა ლექსის, მისი კომპონენტების ფორმირების ხანგრძლივ პროცესს.

ცხადია, ჰიმნოგრაფებს არ ჰქონდათ კლასიცისტური ან სიმბოლისტური გაგების სრულყოფილი ფორმა. მაგრამ როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში ყალიბდებოდა ლექსი, რომლის პოეტური მგრძნობელობა, შინაგანი ღელვა იკვეთებოდა საზომებად, სტროფებად, რითმებად.

ანტიკური თეთრი ლექსი მეტრული იყო, არ იცნობდა სტროფსა და რითმას.

ჰიმნოგრაფიაში, ქართულ საგალობლებში გავრცელდა ბიზანტიიდან მიღებული იამბიკო, მისი 60 მარცვლოვანი მძიმე ხუთტაეპედი, რომელსაც რითმა არ გააჩნდა.

მხოლოდ XI საუკუნიდან შედის იამბიკოში რითმა (ბორენა დედოფალი, დემეტრე პირველი).

რითმა საერთოდ გვიანდელი მოვლენაა.

რითმის პირველ ნიმუშად ს. ავერინცევი მიიჩნევდა აკათისტოს („დაუჯდომელს“), VII საუკუნის ტექსტს.

ქართულში მის გაჩენას ხან არაბულს უკავშირებდნენ, ხან სპარსულს. მაგრამ ეს არარეალურია, რადგან ჰიმნოგრაფია ბიზანტიურ მოდელზეა აგებული.

ბიზანტიურის, განსაკუთრებით იოანე დამასკელის შემდეგ შესაძლებელი იყო ქართულ საგალობლებსაც გასჩენოდა ემბრიონალური რითმები, რომელთა ფორმირებას დრო სჭირდებოდა.

ჰიმნოგრაფია არ ღებულობდა ხალხურ ფორმებს, როგორც წარმართულს, არც მეტრსა და არც რითმებს, რაც ალბათ ჰქონდა როგორც ანდაზებს, კაფიებს, სიმღერებს, ისე ლეგენდურ ამბებს, კარნავალურ პროცესებს.

სტროფიც უნდა გაჩენილიყო ჰიმნოგრაფიის წიაღში, რაც იყო ელიტარული კულტურა. ამას ხელს უწყობდა იამბიკოს ხუთტაეპედი, გალობათა ირმოსი და ტროპარი, რაც იქცა სტროფიკის პირველსახედ (აპ. სილაგაძე).

ხალხურ ლექსში კი არა, ვაჟა–ფშაველასთანაც კი ხშირად არც არის გამოყოფილი სტროფი, მეტრის მდინარებას აკავშირებს გამყოლი რითმა, რომელიც არ კეტავს ტაეპებს.

ამიტომ სტროფის წარმოშობა უნდა მომხდარიყო საგალობელთა კანონიკიდან.

სალექსო სტრიქონი იყო იამბიკოს 12 მარცვლოვანი ტაეპი. დანარჩენი ის ურიცხვი სახეობა, რაც მოაქვს პ. ინგოროყვას, თუმცა რეალურად არსებობს, მაგრამ არ არის სალექსო მეტრი და ემორჩილება გალობის კანონებს.

მაგრამ გალობის მუსიკა და ძველქართული ენის რიტმიკა სულიერ ღელვას, უფლის დიდებას, ასკეტურ გრძნობათა მოძალებას თანდათან მაინც მეტრის ყალიბში აქცევდა, რიტმი რითმებსაც აჩენდა.

მაგ., გიორგი ათონელის გლოვა გიორგი მცირესთან (XI ს):

„დაღაცა თუმცა ქვისაჲ ვის აქვნდა გული
და ანდამატისა მოეგო სული,
გარეგან საზღვართა ბუნებისათა განსრული,
ვითარცა არა იხილვა ყოვლითურთ დაწყლული,
მოულოდებელისა ამის სმენისგან აღძრული
და ბუნებითისა ტკივილისაგან სიღრმედ
მწუხარება თა შთასრული!“

აქ არის რითმა, მაგრამ არ არის მეტრი.

რითმას წინ უსწრებს რეფრენი, რაც აწესრიგებდა ხოტბის კადენციას. გარდა ამისა, ხელს უწყობდა აზრის აქცენტირებას და ტექსტის მელოდიურ აჟღერებას.

იგი პერიოდულად მეორდებოდა, როგორც მისამღერი ხალხურ სიმღერაში.

ჰანგი ახდენდა მარცვალთნაკლებობის თუ მეტობის კომპენსირებას, ხმოვანთა შემოკლება–დაგრძელებას.

ლექსის კომპონენტების ფორმირება ცალ–ცალკე ხდებოდა, რადგან საჭირო იყო როგორც გამოცდილების დაგროვება, ისე შეგუება საეკლესიო კანონიკასთან.

იგი უნდა განვითარებულიყო ბიზანტიური ლექსის პარალელურად.

საგალობელთა ხელოვნური ტაეპები ლექსისათვის მეტრად არ გამოდგებოდა. ან უნდა შემოეშვათ ხალხური ლექსის საზომები ან ისევ იამბიკოს ბიზანტიურ–მწიგნობრულ წრეში უნდა დარჩენილიყვნენ, რაც ჩიხში მოქცევას ნიშნავდა.

იოანე–ზოსიმეს „გუნდი იგი ზეცისანი“ (X ს.) გვიჩვენებს, რომ არსებობს მაღალი შაირი, მისი ტერფები. მაგრამ ჯერ არაა კრისტალიზებული არც 16–მარცვლოვან მეტრად, არც სტროფად, ხოლო რითმა არც გააჩნია.

ფილიპეს ჰიმნი რითმიანია და 16–მარცვლოვანი (X ს.). მაგრამ მეტრი არ არის გამართული, რითმებიც ნაკლულია, რომანტიკოსთა რითმების მსგავსად და აღიქმება როგორც პროზის რიტმის შემდგომი მოწესრიგება, რომელიც გადადის სალექსო მეტყველებაში, მაგრამ სალექსო კომპონენტებს ახლა იძენს.

მას მთლიანობას ანიჭებს აკროსტიხი.

არსენ იყალთოელს, „დოგმატიკონისა“ და „ნომოკანონის“ მთარგმნელს, ეკუთვნის დაბალი შაირის სტროფი, რომელიც ცხადყოფს, რომ დასრულდა თექვსმეტმარცვლოვანი მიჯრითი ტაეპების ერთიანი გარითმვა და კატრენული სტროფის ფორმირება (XII ს).

ეს არის დავით აღმაშენებლის ეპიტაფია:

„ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად
დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე
გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთანი იმერთა წყალთა
შთამესხნეს,
აწლა ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს“.

ეს სტროფი თითქმის ერთი საუკუნით უსწრებს „ვეფხისტყაოსანს“.

ამ ფორმის სათავეს ხედავენ ხალხურ პოეზიაში, წარმართული ხანის ტექსტებში, რის გამოც ეკლესია უარყოფდა ქართულ არქაიკას და ემყარებოდა ბიზანტიურ კულტურას, მშობლიურს ცვლიდა უცხოურით რელიგიური მრწამსის გამო.

არქაიკა ყველაზე უფრო შემორჩა მთაში, სადაც გაუჭირდა ქრისტიანობას შეღწევა და ვერ მოსპო წარმართული რიტუალები.

ხევსურული ლექსისა და სიმღერის არქაულობას აღნიშნავენ შ. ასლანიშვილი, დ. არაყიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, ვ. ბარდაველიძე, ვ. კოტეტიშვილი, მ. ჩიქოვანი.

ისინი გამოიყენებოდა წარმართულ როკვა–გალობით და მსხვერპლშეწირვით რიტუალებში (სადიდებელნი, ქადაგობანი, ხატობანი, ხუცობანი, სულთანობანი, დატირებანი).

აქ ერთმანეთშია არეული ლექსი და პროზა.

აკ. შანიძემ ცალკე გამოყო მთიბლური სიმღერები, მათი ცხრამარცვლედი.

ისინი წარმართულ რიტუალებში ასევე გამოიყენებოდა ფშავში, მთიულეთში, გუდამაყარში, ხევში.

ქადაგი ღვთაების ნება–სურვილს ეგზალტირებულად წარმოთქვამდა, რომლის სიტყვათნაკადი მთიბლურის სქემას იმეორებდა (დ. გოგოჭური).

ქადაგი ექსპრომტულად მეტყველებდა, ხოლო რიტუალები ტრაფარეტულად იყენებდა გავრცელებულ ლექს–სიმღერებს.

პ. ბერაძე ამ სტიქიურ ტაეპს აორმაგებდა, როგორც 16 მარცვლოვან შაირს და ღებულობდა 18 მარცვალს, რათა ასე დაეახლოებინა დაქტილურ ჰეგზამეტრთან.

შეიძლება ასეც ყოფილიყო უძველეს დროში, როცა რითმა არ არსებობს, ხოლო მეტრი ყალიბდება, რომელიც თანდათან აწესრიგებს მღელვარე, ბუნდოვან, სიმღერის მსგავს სიტყვათნაკადს. მაგ., ნატირლებში, ქადაგის ბოდვის მაგვარ მეტყველებაში.

ეს არის ენობრივი სტიქიის გაუცნობიერებელი აღმოთქმა, რომლის შემდგომი მელოდიკური ჰარმონიზება ლექსი 16 მარცვლოვანი. ამიტომ არის ცალკეული სიმღერები ფიქსირებული როგორც მთიბლურის, ისე შაირის მეტრით.

მთიბლურის საზომი აღმოჩნდა ლაზურ სარიტუალო ტექსტებშიც (ზ. თანდილავა).

მწერლობაში იგი ვერ შემოაღწევდა, რადგან ეკლესია სდევნიდა როგორც ეროვნულ, ისე ანტიკურ საზომებს, პოეტურ სამკაულებს, როგორც წარმართული და ამქვეყნიური განცდების აღმძვრელს.

პირველ ხანებში გალობასაც კი ერეტიკულად მიიჩნევდნენ.

უფლის დიდებასა და ლოცვას გალამაზება არ სჭირდებოდა.

შემდეგ აკათისტოს ერთმარცვლოვანი რითმები გადმოვიდა ქართულ საგალობლებშიც (მაგ. იოანე საბანისძესთან, იოანე მინჩხთან, მიქაელ მოდრეკილთან), რაც შეესაბამებოდა ქართულ ინვერსიულ, პათეტიკურ და რიტმულ მეტყველებას.

X-XI საუკუნეებში ფორმირდება ქართული რითმიანი სტროფი და მეტრი, რომლის საფუძველი იყო ხალხური შაირი, წარმართული 9 მარცვლოვანი მთიბლურის გაგრძელება, როგორც მიაჩნდა აკ. შანიძეს.

ლექსი გამოეყო ჰიმნოგრაფიას და ცალკე განვითარდა, თუმცა კავშირი არ გაუწყვეტია სიმღერასთან, დეკლამაციასთან, მუსიკასთან. მაგრამ გადაინაცვლა სიცოცხლისაკენ, მიწიერი გრძნობებისაკენ.

აკ. გაწერელია ამტკიცებდა, რომ „ქართული ენა დაქტილურია და ეს პრინციპი წარმოადგენს ჩვენი მეტყველების ხერხემალს“.

შემდეგ პ. ბერაძემ შეისწავლა მთიბლურის სამი დაქტილისაგან შემდგარი მეტრი, მისი რიტმი დაუკავშირა როკვის რიტმს, სააკომპანიმენტო ინსტრუმენტული ცეკვის რიტმს და დაქტილურად მიიჩნია არა მხოლოდ ქართული ენის პროსოდია, არამედ – საერთოდ ქართველური აღქმა და შეგრძნება რიტმისა.

ეს თვალსაზრისი შეუფარდა ჰომეროსის ჰეგზამეტრს, რომლის შორეულ სათავედ მიიჩნია მთიბლური.

შაირის მეტრით არის დაწერილი თითქმის ყველა ხალხური ლექსი, რაც გვეუბნება, რომ მისი სათავე წარმართული არქაიკაა, რომ იგი ქართველური მოვლენაა. ხოლო მთიბლურის პირველი ან მეორე დაქტილი მეორე პეონად აქცია ძველქართულში არსებულმა ძლიერმა მახვილმა, ზეპირმეტყველებამ.

ჰიმნოგრაფიული ლექსი, ისე როგორც თემატიკა და მისი გაშლა, დარჩა დოგმატიკურ, თეოლოგიურ–ეკლესიურად შემოზღუდულ რკალში, რასაც მოჰყვა მისი რეგრესი. მაგრამ ორბიტზე გაიყვანა ქართული ნაციონალური ლექსის ფორმები, რომელთაც მალე მოჰყვა „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, ოცმარცვლოვანი და თექვსმეტმარცვლოვანი საზომები, რითმის ზეიმი და მკაცრი სტროფიკა.

როგორც ვთქვით, საგალობლები წარმართულ ფორმებს არ მიიღებდნენ. მაგრამ მათ, როგორც მდაბიურსა და ვულგარულს, არც არისტოკრატია სწყალობდა, რაც შეუსაბამო იყო მაღალი ფენის საერო პირთა გემოვნებისა და ესთეტიკისათვის.

ხალხური ლექსი ანუ „მესამე ლექსი“ კარგი იყო „სანადიმოდ, სამღერელად“, „ამხანაგთა სათრეველად“ ანუ დროსტარება–გართობისათვის, როგორც კომედია ელადაში.

მაგრამ იგი არ იყო სიტყვა „საღმრთოდ გასაგონი“, რომელსაც უნდა ჰქონოდა მოწესრიგებული ფორმა, პათეტიკა და არისტოკრატიული ესთეტიზმი.

ამიტომ რუსთაველს სალექსო ფორმა უნდა აეღო მწიგნობრული, კერძოდ – ჰიმნოგრაფიული ტრადიციიდან, როგორც უფლის დიდება – ბიბლიიდან და ფსევდო–დიონისე არეოპაგელის მოძღვრებიდან, ისევე როგორც პირველივე სიტყვა „რომელმან“ – ღმერთის ნაცვალსახელობითი შიფრი („რომელმან შექმნა სამყარო“).

სიტყვის ესთეტიზმი

რუსთაველმა რადიკალურად შეცვალა სიტყვის ესთეტიკა, რაც მოიტანეს ბიბლიის თარგმნებმა, ჰომილიებმა, ჰაგიოგრაფიულმა და ჰიმნოგრაფიულმა ტექსტებმა.

ისინი ეფუძნებოდნენ ასკეტიკურ–მისტიკურ რაციონალიზმს, რომელშიც მთავარი იყო საიქიო, უფალი და მათკენ მზირალი სული, ლექსიკაც შესაბამისი ჰქონდათ და სტერეოტიპული სახე–სიმბოლოებიც.

მორწმუნისა და მონესისათვის ეს ყველაფერი რეალურად არსებობს. ამიტომ ამ სივრცეში სიტყვას ეძლევა რაციონალური სიზუსტე. ხოლო დეტალიზება სიმბოლურ–ალეგორიული განმარტებაა არსისა, მისი ერთი თვისების თუ ასპექტის ახსნა.

„ვეფხისტყაოსანში“ თავად მასალა, თავად ობიექტი უკარნახებდა ავტორს, რომ უარეყო ასეთი სტილი. მაგრამ საოცარია, როგორ უცებ მოხდა ქართულ სულიერების მეტამორფოზა, შვიდასწლოვანი გამოცდილების უკუგდება, ეკლესიური ცნობიერებისაგან განთავისუფლება.

ომი, გმირი, ქალ–ვაჟის რომანტიკული სიყვარული, არაქრისტიანული სამყარო, მეფეთა და სარდალთა ცხოვრება, სიმდიდრე და სიუხვე, არისტოკრატიული ცხოვრების წესი, ეტიკეტი და მეტყველება შესაბამის სახეთა სისტემას აყალიბებდა, სადაც უპირატესი იყო გრძნობათა მოძალება და სისხლის მისტერია.

პოემა ლირიკული ლექსი არ არის, რომ ავტორმა ერთი სტილი დაიცვას. იგი განსხვავებული აზრობრივი და ემოციური ნაკადებისაგან შედგება, რომელთაც ავლენენ განსხვავებული ნებელობის, ბიოგრაფიის, მისწრაფების პერსონაჟები.

რუსთაველის ლექსიც დამღლელი იქნებოდა, რომ არ შედგებოდეს ორი განსხვავებული რიტმიკისაგან.

ბიბლიის ცალკეული წიგნები, განსაკუთრებით – ფსალმუნები, მუდამ მახლობელი იყო პოეტებისათვის. ისინი უფლის დიდებას, გრძნობათა ღაღადისს, ხოტბასა და ქებას უცვლიდნენ ობიექტს და გადაჰქონდათ სასურველ საგანზე. მაგრამ ინარჩუნებდნენ ლირიზმს, მოძალებულ გრძნობებს, პათეტიკას.

მაგრამ თავად სიტყვა იყო სადა, ნათელი, თხრობა – ცხადი და გამჭვირვალე, რაც შემდეგ აითვისეს რეალისტებმა.

მისი წესრიგისა და ჰარმონიის, სიზუსტის საწყისი იყო აპოლონური სტიქია, რაც სჭირდება ეპიკოსს სიუჟეტის გაშლისა და მოქმედების განვითარებისათვის, რათა მიაღწიოს დრამატიზმს.

„საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,
ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების;
რა მიჰლულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების,
შეკრთის, დიდნი დაიზახნის, მით პატიჟი ეოცების“.

ეს პერსონაჟის მღელვარე ფსიქიკის ჩვენებაა, როცა მასზე ბატონობს ეროსი და ურღვევს წონასწორობას. მაგრამ შფოთვა და ფორიაქი გადმოცემულია დისტანცირებით, ნათელი სიტყვებით, მეტაფორიზებისა და სიმბოლიზების გარეშე.

მოქმედების განვითარებისა და საგანთა ჩვენების ჟამს პოეტის მეტყველება უაღრესად სიტყვაძუნწია, ლაკონური და ზუსტი:

„დღისით ვლეს და საღამო–ჟამ გამოუჩნდეს დიდნი კლდენი,
კლდეთა შიგან ქვაბნი იყვნეს, ძირსა წყალი ჩანადენი,
წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ სასდენი,
ხე დიდრონა, თვალუწდომი, მაღლა კლდემდის ანაყრდენი“.

ასეთ მღვიმეში ცხოვრობდნენ ჩვენი შორეული წინაპრები.

ასეთ კლდის ნაპრალებში იყვნენ დაყუდებული ასურელი მამები.

ასევე ეპიკური სიდინჯით გადმოცემა ომის დასაწყისი, რომელსაც უნდა მოჰყვეს სისხლისღვრა, კაცთა განუსჯელი ხოცვა–ჟლეტა.

როგორც ქირურგი არ უნდა ღელავდეს ოპერაციის წინ, ისე მეომარსაც მშვიდი ნერვები უნდა ჰქონდეს. აქ ზედმეტია გრძნობებზე საუბარი. მოქმედებას განაგებს სიკვდილ–სიცოცხლის ბედისწერა:

„შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად,
საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად,
ერთსა წავსწყდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“.

აქაც სიტყვიერ სიზუსტესა და არტისტიზმს არ ახლავს მეტაფორა და სიმბოლო. თავად ობიექტური სიტუაცია, მისი ლაკონიური ჩვენება წარმოქმნის დრამატულ განცდებს.

პირობითად ასეთი ხატვის სათავედ შეიძლება მივიჩნიოთ ბიბლიური ტრადიცია, რომლის მსგავსი სურათებით სავსეა ძველი აღთქმა.

მაგრამ რუსთაველმა აკეტურ–მისტიკური რაციონალიზმის სანაცვლოდ ცხოვრების დრამატიზმი წამოსწია, ამქვეყნიური არსებობის შუქ–ჩრდილები, რომელთაც ახლავს სისხლი და ცრემლი, როგორც გამარჯვება, ისე დამარცხება, ოღონდ ეს აჩვენა ახალი პირობითობით, სადაც პირობითია არაბეთი, ინდოეთი თუ გულანშარო, დრო და მანძილი და ავსებს ყოფითი დეტალები და კონტაქტები.

ომის სისასტიკე, სიყვარულის სიშმაგე, დაკარგვის სასოწარკვეთა თუ გამარჯვების სიშლეგე დიონისური სტიქიაა, როცა პერსონაჟი ემორჩილება სულში დავანებულ დემონს, რომელსაც იგი სიმართლისა და დანაშაულის გზით მიჰყავს სასურველი მიზნისაკენ.

სადა და რთული სიტყვათ – სისტემა, კონკრეტიკა და ჰიპერბოლიზება, სიბრძნე და შფოთვა, მათი მონაცვლეობა ისევე აუცილებელია დინამიური თხრობა – ხატვისათვის, როგორც მაღალი და დაბალი შაირის ხშირი შენაცვლება.

სულთა საუფლოსკენ მზირალი ჰიმნოგრაფი ასე წერდა:

„დანმთქა მე, ვითარცა ბრპენი,
ჭამადთა სიმრავლემან
წყუდიადისა უფსკრულთა,
რამეთუ ვერ გულისხმა – ვყავ
მარხვისა იგი ნიჭი,
ჭეშმარიტად ფრთოვანმქმნელი სულისაჲ“.

აქ ძველქართული ენის პათეტიკას ჰკეტავდა, გაშლის საშუალებას არ აძლევდა ეკლესიის მიერ კანონიზებული სტილი და თემატიკა, ასკეზი და მიღმა ქვეყანა.

რუსთაველმა რაკი სიტყვა ცხოვრებისაკენ შემოაბრუნა, პათეტიკიდან, განცდიდან და მგრძნობელობიდან გამოიყვანა მოულოდნელი და უეცარი მეტაფორული სახეები. ისინი გარდაქმნიდნენ რეალობას, ახალ სინამდვილედ აქცევდნენ. მათ კი ერთმანეთთან აკავშირებდა შედარება, განყოფდნენ ან ამსგავსებდნენ ეპითეტები, რაც არის ხატვისა და ჩვენების დინამიკა, თავისუფალი შემოქმედებითი ფანტაზირება.

უცხო საგანთა და სახელთა სიმრავლე კი რითმების კასკადითა და ალიტერირებით ააჟღერა:

„სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული“;
„გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბაღი შელმა შერაშენდა“;
„მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია“.

არისტოკრატიული და სამეფო გარემო, მეფეები და მეფეთა ასულები, სპასპეტები და მეომრები არ მეტყველებდნენ ისე, როგორც ეპისკოპოსები და ბერ–მონაზვნები, ან მასის რიგითი წევრები – ის სივრცეც ესთეტიზებულია, სადაც პერსონაჟები მოძრაობენ, გადაადგილდებიან, ნადირობენ და ომობენ.

როცა მხატვრულ სახეთა სისტემას ერთვის სიმბოლოები, მაშინ მეტყველება კიდევ უფრო რთულდება. მაგრამ აღქმას აადვილებს მელოდიკა, რომელიც თითქმის გაუგებარ ინფორმაციასაც ემოციურად მისაღებს ხდის:

„ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“;
„ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირალი“;

ხოლო როცა სიმბოლო ამოხსნილია, მაშინ სიტყვათა თამაში, მეტრისა და რითმის რკალში მოქცეული, აღიქმება როგორც მინისპექტაკლი, სადაც პერსონაჟი ტრაგედიის გმირის მონოლოგს ამბობს:

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად“.

ასეთი გულისმომკვლელი ლირიზმი აფორიაქებდა შეყვარებულ და მეომარ თაობათა გულსა და გონებას, ნერგავდა ქალის კულტს, გმირობასა და რაინდის იდეალს.

„ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ორჯერ იხსენიება სიტყვა „ქართული“. მაგრამ არავის შეპარვია ეჭვი, რომ ნესტანსა და ტარიელს, თინათინსა და ავთანდილს ქართული სული არ ედგათ.

რუსთაველის აღმოსავლეთი ისეთივე პირობითი საბურველი იყო, როგორც დანტეს ჯოჯოხეთი, სალხინებელი და სამოთხე.

ესთეტიზებული სიტყვა ავსებს და ამოძრავებს სტატიკურ სიტუაციას. მაგრამ როცა სიტუაცია, სიუჟეტი დრამატულია, მაშინ მეტყველებას სამკაულებით გაშუალება და პირობითობა არ სჭირდება.

„ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო!
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო!
სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო"!

როგორც რელიგიური მწერლობა, ისე ხალხური პოეზიაც გაურბის ორნამენტებს, ესთეტიზებას. ისინი სათქმელს ამბობენ გაშუალების გარეშე, პირდაპირ.

სიტყვის ესთეტიზება და ჰიპერბოლიზება აღმოსავლური მოვლენა იყო (შდრ. – ქართული „ვისრამიანი“).

ასკეტიზმით გათანგულ და სასუფეველზე მლოცველ ბიზანტიას პოეტმა არჩია სენსორული აღმოსავლეთი, სადაც შეიძლებოდა თავისუფალი მოქმედება, მხურვალე განცდების გადმოცემა, ადამიანურ ვნებათა, სევდა–სიხარულის პოეტიზება, რასაც რენესანსულ მგრძნობელობად, იდეალთა განახლებად მიიჩნევენ.

ქართული ენის მელოდიკას და პათეტიკას კარგად მოერგო აღმოსავლური ესთეტიზმი, ფერადი სიტყვა, რომელსაც კონტექსტის გარეშეც აქვს თავისთავადი ღირსება. დასავლურ პოეზიაში, მაგ., შექსპირთან, აზრობრივ–სიუჟეტური დრამატიზმით მოხდა კომპენსირება. ამიტომ საჭირო არ იყო ესთეტური თამაში, ანდა – სიმბოლური–ალეგორიული ქსელი, როგორც „პარსიფალში“.

დასავლურმა ლიტერატურამ დაამკვიდრა ტექსტის ტრაგიკული ფინალი – მთავარი პერსონაჟი უნდა დაიღუპოს, როგორც ჯვარზე აცვეს იესო ქრისტე.

აღმოსავლურ ლიტერატურაში კონფლიქტებიდან და ქაოსიდან გმირი გამარჯვებული გამოდის (შდრ– „ტრისტან და იზოლდა“ და „ვისრამიანი“, როგორც ერთი მასალის განსხვავებული გადაწყვეტა).

რუსთაველი ამ ტრადიციას ავითარებს და ამკვეთრებს.

გამარჯვებული ფინალი ანელებს ემოციურ სიმწვავეს. ამიტომ იგი უნდა შეევსო სიტყვის ესთეტიკასა და მელოდიკას, სიბნელის ძლევის პროცესს.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“, – გვეუბნება რუსთაველი. მაგრამ პოეტის ორნამენტული, ყვავილოვანი სიტყვა რაციონალურ სიზუსტესთან ერთად ავრცობს საგნის ნიშან–თვისებას, რათა ასეთი არტისტიზმით გვაჩვენოს და გვაგრძნობინოს მისი უცხო ფერისცვალება:

„ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა,
ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გადიქცეოდა“;
„შინა შევიდა, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,
შიგან სისხლისა მორევსა ეყრდნის გიშრისა შუბები,
მელნისა ტბათათ იღვრების სავსე სათისა რუბები,
შუა ძოწსა და აყიყსა სჭვირს მარგალიტი ტყუბები“.

ჰიპერბოლიზება, მზესთან შედარება და მზის დაჩრდილვა („მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი“), გრძნობათა მოძალება, ცრემლთა ღვრა, დაბნედა, კაცთა და ნადირთა ხოცვაც აღმოსავლური მოვლენაა, ისევე როგორც ფერთა სიუხვე, პატიოსან თვალთა ელვარება.

ცრემლთა ღვრა სჩვეოდათ იმ ბერ–მონაზვნებსაც, რომლებიც აღმოსავლური ქრისტიანობის მიმდევარი იყვნენ.

ისინი არ ჰგვანან იმ ქართველ მთიელებს, შვილის სიკვდილზეც კი ცრემლი რომ არ უნდა დასდენოდათ.

როგორც შეჰფერის წარმოსახულ გეოგრაფიულ გარემოსა და პერსონაჟებს, პოეტს შემოაქვს არაბულ–სპარსული ლექსიკა, რაც უცხო იყო ქრისტიანული მწერლობისათვის, მაგრამ ცხადია, ძალიან კარგად იცნობდნენ არაბულ და სპარსულ სამყაროს. არც ინდოეთი იყო უცხო („ბალავარიანი“, „ამირანდარეჯანიანი“).

„ვეფხისტყაოსანს“ შეინახავს აღმოსავლეთი“ – წერდა გალაკტიონი, რადგან ტიპოლოგიურად იგი აღმოსავლური მოვლენაა და დგას ფირდოუსისა და ნიზამი განჯელის გვერდით, თუმცა შენარჩუნებული აქვს კავშირი ანტიკურ და ქრისტიანულ კულტურებთან, თხრობის რაციონალური სტილი.

აღმოსავლეთის იგნორირება და მხოლოდ დასავლური ძირების ძიება არ არის გამართლებული გეოგრაფიული გარემოთი, პერსონაჟთა ბუნებით, სიუჟეტით, სიტყვის, ესთეტიკით.

პოეტის ქრისტიანული აღმსარებლობაც ისეა შებურული, რომ მის ამოხსნას დასჭირდა არა ერთი ერუდიტის ნიჭი და შრომა (მაგ., ვ. ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება“, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, აკ. გაწერელიას, ე. ხინთიბიძის გამოკვლევები, ზ. გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“).

მურმან თავდიშვილს კარგად და დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები რუსთაველის მიმართება ფირდოუსთან და ნიზამი განჯელთან, მათი მხატვრული კონსტრუქციების ათვისება და გადმოტანა, შეფარდება ქართულ სიტყვასთან, რამაც განაახლა მხატვრული აზროვნება და გამოავლინა უცნობი პოტენცია.

ასე მოხდა XX საუკუნეშიც, როცა გალაკტიონმა, კ. გამსახურდიამ და სხვა მოდერნისტებმა ამჯერად დასავლეთს მიმართეს. მაგრამ, ამასთანავე, აღადგინეს რუსთაველის ტრადიცია, რაც უარყვეს რომანტიკოსებმა და რეალისტებმა.

ახალი სინთეზის ფორმულა, რომლის საფუძველი რუსთაველის სიტყვის ესთეტიზმი იყო, ასე გადმოსცეს:

„გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“.

რუსთაველის ლექსმა და სიტყვის ესთეტიკამ განსაზღვრა და მიმართულება მისცა ქართულ ლიტერატურას, ქართულ ცნობიერებას.

ისინი არაცნობიერადაც ჩვენი მეხსიერებისა და ინტელექტის ნაწილია. ამიტომ მხოლოდ ის ჰპოვებს წარმატებას, ვინც ამ მაგისტრალს არ მოსწყდება და არ მოინდომებს ყველაფრის თავიდან დაწყებას.

***

როგორც გვიჩვენებს„ვეფხისტყაოსნის“ რეალიები, ომისა და მიჯნურობის სიშმაგე, სწრაფვა და ძიება, მოქმედებითა და სიტყვით ფანტაზირება, მათი ვრცელი დინამიკა, ავტორი არ შეიძლება ხანდაზმული ყოფილიყო.

სამეფო კარის, მეფეთა და სარდალთა გარემოს, ატრიბუტიკის, ეტიკეტის ხატვა და სტილის არისტოკრატიზმი, დიდი ცოდნა და კულტურა კი გვეუბნება, რომ ავტორიც მაღალი წრის წევრი იქნებოდა.

მაგრამ ასეთი უნაპირო ვნებათა ღელვის ტექსტს არ და ვერც დაწერდა მართლმადიდებელი ეპისკოპოსი XIII საუკუნის დამდეგს და ვერც სახელმწიფო საქმით დატვირთული დიდებული.

25 აგვისტო, 2016 წელი

გოჩა ხარანაული

მოთქმა

„თურქეთში, ქართული ტაძრები ტბეთი და ოპიზა ივარქმნილია, ოშკში და იშხანში ბეღელი და ბოსელია გამართული...“

რევაზ მიშველაძე

ან გულზე მიწა მეყაროს, ან არ ვისმენდე მას,
ან საქართველოს რას ვერჩით ასე საწყალს
და ლამაზს!
რაი ვქნა, ჩემო ძმის გულო, ქუშაშვილების
ბალღო,
რადა გვღალატობს ბოლო დროს ჩვენი
ნიჭი და ალღო!
საით წავიდე მითხარით, ჩემო თედო და ნიკო,
თავზედ რომ წამოგვახიეს რუსის დროშა
და ტრიკო!
ამოიარა არსენამ ღრუბელის ფერი დროშკით,
„გაუპიათო შუაზე იშხანიო და ოშკი,
ქართველებისგან ამოგდით თავზე
ქართული კოპი,
ფეხზე ჰკიდია ურჯულოს რა ემართება ოპიზს!„
პური მაჭამე, თათარო, ღვინო მასმიე, ქურთო,
თორემ მშიერი თავ-პირი ფუნაში უნდა ვდურთო,
ო, რა ტკბილი ხარ, თათარო, შენ გაქვს ქინძი
და კამა,
მე - ამოვავლე წუმპეში თამარის თეთრი კაბა!
ისე გაგატან, სომეხო, ახალციხესაც... ონსაც,
ქართულ ღიმილსაც მოგიძღვნი, ქართულს
წაგისმევ ქონსაც,
„ვინც მოყვარესა არ ეძებს„ ჭირი იმას და ქატო,
მაგრამ ერთი ვერ გავიგეთ - სად ვეძებოთ
და რატომ!
მშობელი დედის არმცნობი ცუდად
კუნტრუშებს კვიცი,
ამას რაც მოსდევს, ქართველნო,
ვიცი, ვიცი და ვიცი!

***

ძალით უნდა ილიმო, როცა არ გელიმება,
ძალით უნდა იცინო, როცა არ გეცინება,
„ახლა ჩემთვის ძნელია“
სინამდვილის მიღება,
ახლა არ მენანება და აღარც მეცინება!

ძალით უნდა აქნიო თავი სახედარულად,
უნდა აჰყვე ალქაჯებს გამშოლტველებს
უფალის,
დევთ ცისკარას კერაზე გაუმართავთ
მარულა,
ვინც გიჟია ისაა სწორედ თავისუფალი.

ზოგ ბრიყვს ეამაყება გამო...
ევროპელება,
(ვისიც მქონდა იმედი ბოლოს
იქცნენ ტ... ზად),
ცვედნებს დავიწყებიათ ნინო
ვაზის ხელება,
მარსის ველზე ფარსმანის
გარდამოქანდაკება,

მოიარეს დუნია, მოიარეს დანია,
უნახავმა ის ნახა, რისი ღირსიც ყოფილა,
ქართველობა ზოგისთვის ძნელად ასატანია,
მაგრამ ძალზედ იოლად თურმე
გასაყოფია!

ჩვენი სისხლის აპრილი მაინც
გველაღანება,
თუმცა მისი წვიმებით დავაპურეთ
მილეთი,
ცვედნებს მთელი სამყარო, დიაღ,
ეცვედანებათ,
მაძღრებს მაძღრად ჰგონიათ მთელი
საშიმშილეთი!

სიმღერა

ო, როცა ლეკვი საკუთარ კუდს
უაზროდ დასდევს,
აი, მთელი კითხვაც, პასუხიც!
ვინ გამიმეტა, რომ ჩემივე ვიყო
საზღვარი?!
ან ჩემში რატომ დახეტიალობ,
თუ შენი არ ვარ მარადისიდან?!
მოდი, ჩამწურე შენს არსებაში
ჩემი მზეების მხურვალ ზღაპრებით!
მე შენს თვალებში დავიდებ ბინას,
სხვაგან ვერ გავძლებ მე უბედური!
ჩემს მონატრებას შენს მოლოდინს
ვახვედრებ ისევ,
ურჩი ოცნების წამწამების უნაზეს გზაზე!
ვერც კი შევნიშნე, მთელი სული ვით დამეფარა,
შენგან მოძღვნილი ყრუანტელით
და ყვავილებით!
კვლავ მიმოდიან ჩემს ძარღვებში ყაყაჩოები,
როგორც მაცნენი თავგანწირულ
წინათგრძნობათა!
მე მწყურვალი ვარ, გამინდლე
ცვარით ყამირი
და დამაპურე შენი ყანის სველი
ჩურჩულით!
ჩემი ლექსები ხომ შენს გამო დიდი შიშია,
რომ უთვალთვალებს მარადიულს
შენი თვალებით!
შენი სურნელით ამომივსე სულის
უფსკრული,
თორემ ვბორძიკობ და საკუთარ
თავში ვითქმები!
არ მცე ნუგეში!
შიშს ღვთაებრივს ნუ დამიჩლუნგებ,
შენ კი, უფალო!
დამეხსენი
გამთენიისას....

სისხლი

მიდის ივლისი, წავა აგვისტოც...
თუმცა არა მაქვს ახლა ამის დრო,
მაინც მიმითრევს დროის დინება —
— ბედის ლოცვა თუ დედის გინება.
იასამანი როგორ დამჭკნარა!
ეშმაკის ვიყო, გუშინ ჰყვაოდა.
ზოგს ქარიშხალი ჩასაფრებია,
ზოგი სიოს გრძნობს სასაფლაოდან!
შეთქმულებივით ყველა წასულა,
რა მიხაროდა, რა მიხაროდა!
ამოვალაგე ძვლები წინაპრის
მეხსიერების ბებერ ხაროდან.
ველარ გავიგე ჩემი სტუმრობა
ვინ ინება და რატომ ინება,
ო, არაფერი ქვეყნად არ მოდის
სუყველაფერი მიედინება.
გათითოკაცდნენ ეს უგნურები,
ველარ გაბედეს გრძნობის ატანა,
ვიღაც უბირმა უცებ ჩემს თვალწინ
ჩემი სიკვდილი ამოატარა!
ვეფხისტყაოსნის ძარღვში სისხლია,
სვეტიცხოველიც, ხანცთაც სისხლია
ვაგლახად ჯაჭვის პერანგშეხსნილი...
დიაღ, მაჩვებო, ირგვლივ სისხლია
ატაძრებული თუ გალექსილი!
რად დაილვარა სისხლი ამდენი,
რად დაემსგავსა სისხლი ჩქერალებს?
ნუთუ შენა ხარ ამის ჩამდენი,
ღმერთო! ღამის რომ მოხვედ ჩემამდე?!
მე გეკითხები: „რისთვის, უფალო“?
(ვერც დაგეხსნები ასე იოლად),
რად ვერ ისწავლა ჭკუა აქამდე
ამ უნამუსო კაცობრიობამ!

სათხოვარი

დიდება უფალს, რამეთუ ვსუნთქავ,
რამეთუ მიყვარს, რამეთუ ვფეთქავ,
ღვთის საგალობელს რამეთუ ისევ,
ისევ ქართულად წარმოვსთქვამთ ერთხმად!
ჰაი, დედასა! წამხდარმა ესრეთ,
ნეხვში ძილი რომ ვარჩიეთ ღვიძილს.
მადლობა უფალს, ელირსა ვერცერთს
გადაესანსლა იბერთა ღვიძლი!
თუმცა მავანი გათელილ გულზე
ჩლიქით შეგადგა კვლავ გამართულად,
მადლობა უფალს, ქართველებს ვუმზერ,
მესმის ქართული, მიყვარს ქართულად.
მთვარე ვერ გვიმზობს,
მზეა ქართველთა
დასაბამიდან დასაფიცარი,
მადლობა უფალს, ისევ გათენდა,
ვერ დააბრმავეს ჩემი ცისკარი!
ო, მოგვიტევე, ნუ მოხვალ რისხვით,
სიყვარულს ამგვარს ნუ ჩათვლი არად,
დაღვარე ჩემი ცრემლი და სისხლი,
ოღონდ მიმყოფე,
მიმყოფე მარად!

მუხრან მაჭავარიანის თქმული გვამთა მაღალთა ლხინზე

მამულო! შენზე მდიდარი არა ვყოფილვარ
აროდეს,
ვიდრე შენ არ გიხარია მე, აბა, ვით მიხაროდეს!
თუ მართლა ქართა ველი ხარ ზღაპრულად
მიმოღვარული,
ქვიშის კოშკები ნუ გინდა, ნუ გინდა ბედი
ღამურის!
ამ დუნიაზე, მამულო, მომხრე არა გყავს არავინ,
როგორ მწყურია გავლეწო მე შენი
ამომბზარავი!
ვაი, რა ძაან მწარე ხარ, ვაი, რა ძაან ტკბილი ხარ,
გეყოფა, ნუღარ დამტანჯე, ოღონდაც ნუღარ
სტირიხარ!
უფალო! ვიდრე ცოცხლებში ვერ ამირანობს
ვერავინ,
არ გამიხადო სამშობლო ალქაჯთა
დასაჩხვერავი!
კი ფიქრობს ზოგი სულელი, ხმალი შეგვატყდა
ვადაში,
შემოაშველე სულები ილიასი და ვაჟასი!
შე სიყვარულის სათავევ, მათ მოგისროლეს
გუბეში,
რომ დაგეზარდნენ გველებად ემაგ
მადლიან უბეში!
ხომ ჩაიჩოქე ვაგლახად!? იდინე ცრემლთა
ღარებით
სისხლითამც შემაღებინა მე შენი ნამუხლარები!
წყალნი უკუღმა ადინეს,
ხეზე შემოსვეს მწყერია, იმათი...
ვინც შენზე ბედნიერია!

გიორგი სოსიაშვილი

კერენსკი

- უფროსო! - უცნაურად ატუზულა დაცვის ბიჭი, იტყვი ენაზე უქრება სიტყვები.

- თქვი, კაცო, რა თავზე დამადექი. - მთლად უფროსის თანაშემწემ დაცვის ახალბედა თანამშრომელს შებღვირა.

- ვიღაცა ძალაობს გარეთა.

თანაშემწემ თავი აწია და ქერათმიან ოციოდე წლის ბიჭს მოზვერივით შებღვირა.

- ვინ ძალაობს?

- არ ვიცი, - მხრები აიჩეჩა ბიჭმა,- არ შემოვუშვი და ლამის დალეწა აქაურობა. ახლაც ბიჭებმა დაიჭირეს და არ უშვებენ, თორე... ვიღაც გადარეულია. რევოლუციონერი ვარო, თუ არ შემიშვებთ, მეორე რევოლუციას მოვახდენო, ყოფას გიტირებთო.

- როგორი აღნაგობისაა, - ფეხზე წამოდგა მთლად უფროსის თანაშემწე.

- როგორია და... - ენა დაება დაცვის ბიჭს, შუბლი ოფლით ჩამოეწინწკლა, საშუალო ტანისა იქნება, მოწითალო თმა აქვს. წვერიც მოწითალო აქვს.

- ის არის... - ჩაიბუტბუტა მთლად უფროსის თანაშემწემ. მერე რაღაცა ბრახუნი მოესმა,- მოიცა,- ფარდა გასწია და ფანჯრიდან გადაიხედა.

დაცვის სამი ბიჭი ძლივს აკავებდა გაცოფებულ კაცს, რომელიც ადმინისტრაციული შენობისკენ იწევდა და ისეთ სართულებიანებს იგინებოდა, შენობას ბევრად რომ აღემატებოდა.

- წადი და ასე უთხარი, უფროსები გასულები არიან და როგორც კი მობრუნდებიან შეგხვდებიან-თქო.

* * *

- ხომ უთხარი.

- ვუთხარი.

- მერე?

თანაშემწე მელიასავით მოწკურულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, მთლად უფროსის მზერას გაურბის.

- მაგის შემოშვება და საქმის არევა ერთი იქნებაო.

- რატომაო, - თითებით მოძებნა ყავისფერ კოლოფში სიგარეტი მთლად უფროსმა.

- მაგარი გოთვერანი და ინტრიგანია. ძლივს ცოტა სიტუაცია დავალაგე და სულ ამირ-დამირევსო.

- კაი ერთი-თქო! - დაიჯღანა მთლად უფროსი. - მე მაგის სიტუაციები სულ მახატია, გადაეცი, რო რამე გამოუნახოს და აქედან მომაცილოს, თორე რო ამოვუჭერ პანღურს, მერე ნახავს, ბიჯო! რა გახდა ერთი მაიმუნის მოშორება, სისხლი გამიშრო, აეგრე როდემდე უნდა იაროს. ორი ღერი შავი თმალა მქონდა და გამითეთრა ამ ჩემისამა. - მობილურმა დაიწკრიალა, თავიდან ცოტა უგერგილოდ დახედა, თითქოს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ ურეკავდა და ნომრის დანახვაზე კერენსკიც დაავიწყდა, რევოლუციაც, თვალები გაუფართოვდა და ფეხზე წამოიჭრა.

- გისმენ, მიხაილოვიჩ!

თანაშემწეს თვალით ანიშნა დამტოვეო. ეტყობოდა რომ სულ მთლად უფროსი ურეკავდა.

თანაშემწე გაიზუზა, გზადაგზა ესმოდა რაღაც სიტყვები, მთლად უფროსი ცოტა დაბნეული ელაპარაკებოდა. ის დაბნევა შენიშნა თანაშემწემ, რაც დაცვის ბიჭს ჰქონდა მასთან საუბრისას, მას კი მთლად უფროსთან შესვლის დროს ემართებოდა ხოლმე.

- ძეგლი მალე იქნება, მიხაილოვიჩ!

- კვარცხლბეკი უკვე დაამთავრეს. ძალიან მაგარი გამოდის, ძალიან მაგარი. არ შეგარცხვენთ. სასწაული მოქანდაკეა. ყოველდღე მივდივარ სახელოსნოში. კი... პირად კონტროლზე მყავს აყვანილი. კი... - მარცხენა ხელის თითებზე უცბად ჩამოითვალა დღეები. - ათ დღეში... წყალი არ გაუვა, წყალი არ გაუვა.

- კარგით, მიხაილოვიჩ, კარგით.

დაჯდა მერე და უფრო უარესად აუპილპილდა სახე. - რო არ მოესწროს ათ დღეში ძეგლის გაშრობა. არა, უნდა მოვასწრო, თორემ დავიღუპები, ეგრევე გადამაყოლებს. საფეთქლები მოისრისა, ტელეფონს დასწვდა. - გივი შემოვიდეს ერთი. - ათ დათვლაში თავი შემოყო ულვაშებიანმა კაცმა.

- მოდი!

გივი ისე ფეხაკრეფით მიიპარებოდა ვეება მაგიდისკენ, იტყოდი ვინმეს სძინავს და მის გაღვიძებას უფრთხისო.

- მოკლედ... ათ დღეში ძეგლი უნდა დავდგათ.

გივიმ ულვაშები აატმაცუნა.

- არ დამიწყო ახლა, როგორც იცი ხოლმე, ვერ მოესწრება, თავისი ვადები უნდა, უხარისხო გამოვა და ასე შემდეგ. პირობა მივეცი და უნდა დავდგათ. თუ დიდი ხანი ვერ გაძლებს, ამ ჩემს ფეხებს. მერე კიდე დადგან.

- გასაგებია, - ჩაილაპარაკა გივიმ.

- ბიჭებს უთხარი, რო ერთი ადგილი გაანძრიონ. ხელმძღვანელობა ჩამოდის და ერთი კენჭიც რო ვერ იყვეს ისე, როგორც საჭიროა, ხო იცი, მერე რაც მოყვება.

- გასაგებია, - ჩაილაპარაკა გივიმ.

- მე, სიმართლე გითხრა,- ისევ მოძებნა ყავისფერ კოლოფში სიგარეტი, - სულაც არა მაქვს აკვიატება ძეგლებზე და ეგეთ რაღაცებზე, მაგრამ დავალება როგორიც არი.

- გასაგებია,- ფეხზე წამოდგა გივი.

- ქარი იქნება, წვიმა, ავდარი, თუ ზამთარი, მოკლედ... გივი შენი იმედი მაქვს.

- გასაგებია. - ჩაწერილივით ერთი და იმავე სიტყვას იმეორებდა გივი.

შენობის წინ ისევ ილანძღებოდა თანამდებობის პირის მისამართით კერენსკი.

მთლად უფროსი ადგა, ფარდა გაწია და ფანჯრიდან გადაიხედა, მერე თანაშემწის მისამართით შეიგინა და მეორე შიდა ტელეფონს დასწვდა.

- მე ვარ... ეგ კაცი აქედან მოაშორეთ, თორემ დედას .... - თქვა და ტელეფონის ყურმილი დაახეთქა.

* * *

- კერენსკი ხარო, შენ რო არა გვყავდე რა გვეშველებოდაო. ამათი... რევოლუციის სული და გული ხარო. ის კერენსკი შენთან ვინ ჩემი ფეხებია. ნამდვილი კერენსკი შენა ხარო. აბა, ახლა გახედე, როგორ არიან გატრუნულები, ძუძუს გოჭებივით გატრუნულან, თბილად არიან სავარძლებში. მე, მე გავაკეთე ყველაფერი, თავი შევწირე, თავი... რევოლუციას თავგანწირვა ჭირდებაო, სისხლით და ოფლით მოდის ყველაფერიო. ცოლიც მივატოვე, შვილიცა, სახლი, კარი, ბაღ-ვენახები გულაღმა დავყარე, ვაზმა გინება დამიწყო. რა გინდა, შვილო, შენი რევოლუცია შენი ბაღ-ვენახებია. მიხედე, მოუარე. აგრა, - ფეხი აწია კერენსკიმ, - ისევ ის რეზინის ბოტები მაცვია. სამადლოთ რო ვაჟამ მაჩუქა, გიგუცას შვილიშვილმა. მატარეს, მაშიმშილეს, დედა მიტირეს და ახლა შეხვედრაც აღარ უნდათ.

თქვენი ჯიში და ჯილაგი...

თქვენი მოდგმა და გასაგისი...

თქვენი სუყველაფერი...

ყველაფერი გექნება. შენზე ბედნიერი კაცი არ იქნება შენს სოფელშიო. მეც ვიდექი და ვრევოლუციონერობდი, ვკერენსკობდი, კერენსკის რო მეძახდნენ, დედამიწა ჩემი მეგონა.

რა კერენსკი, რის კერენსკი, რა რევოლუცია. რევოლუცია ჩემნაირი გამოსირებულებითა ხდება და მერე ისევ ჩემნაირებით იკვებება.

დაცვის ბიჭები ხელებს უგრეხავენ.

- ხელი გასწი თორე, გველივით გაგიჭეჭყამთ თავსა, ამ ცინგლიანებს უყურებთ. ის გამოახედეთ, ისა, დიდი, კაბინეტში რო დაჯდა. მე დავსვი დიდ კაბინეტში და ერთი გამოიხედოს. რა პირით უნდა დამენახვოს. აი, დღესა, აი, ხვალა, აი, დღესა, აი, ხვალა, აღარ დაგელიათ დღესა-ხვალა, მე თქვენი...

მე კერენსკი არ ვიყო თქვენ თუ დედა არ გიტიროთ. ჩემი დროც მოვა.

5 თიბათვის, 2016

დიცი

ბავშვობის ბოლო დღე

მზეს მივდევდი და ვერ ვეწეოდი. როგორ გამირბოდა, როგორ უცბად გადასერა დალლილი ცა, ეშვებოდა. მე მაინც მივრბოდი, ცოტა, სულ ცოტაღა დამრჩა, არ გაჩერდე, არ გაჩერდე, ჩამძახის ვიღაცა, მიდი აჯობე მზეს. არ დაგასწროს, სისხლი იღვენთება დასალიერზე, ბოლო მზე ჩადის, იქნებ დავეწიო. თითქოს ფრთები გამომესხა, ავიწიე და გავფრინდი, ეს რეები შემძლებია, მივფრინავ, მზეს უნდა მივუსწრო. ეს ბოლო მზეა, უკანასკნელი მზეა. უკანასკნელად დაღამდება და სამუდამოდ ჩაიფერფლება ჩემი ბავშვობა. მივფრინავ და მეტირება, ქარი მირტყამს, მიტყაპუნებს სახეში. ცრემლები ჩამომდის, ჩემი ბავშვობის ბოლო მზე ჩადის. ასე მეგონა ეს მზე სულ იქნებოდა, სულ ენთებოდა.

მომაკვდავი დღეს უმწეოდ თრთოდა,
სულ ეყრებოდა სვენებ-სვენებით
და მზე ძოწისფრად, ო, ისე კრთოდა,
ცას გადაეხსნა თითქოს ვენები.

ვიღაცა მომყივის რაღაც ლექსის მაგვარს. მართლა ვენები გადაუხსნია ცას, სისხლი ჩამოსდის. მასაც აქვს სისხლი. დღის სიკვდილს ვუთვალთვალებ, უფრო სწორად ჩემი ბავშვობის ბოლო დღე კვდება, მიშველეეთ! ვყვირი, ცოტა ხანს გამიგრძელეთ, ცოტა ხანს. სულ ცოტა ხანს.

დღის სიკვდილს ჩუმი ქვითინი სდევდა,
ვხედავდი მნათობს ღრუბლად მიწოლილს,
შენ არ გინახავს, რომ ზოგჯერ სევდა
ათას სიხარულს ერთად იწონის!

იწონის, იწონის. უფრო მოვუმატე სიჩქარეს. ჩადის მზე და ვხვდები, რომ ტყუილად ვიქნევ სამადლოდ გამოსხმულ ფრთებს, ვიცი, რომ ველარ მივუსწრებ. მიდის, მიესვენება. ცხედარივით ასცქერის ზეცას და ბედს მინებებული ეშვება მზის სამარეში...

მზეც მოკვდავია ჩვენსავით, მოვა დრო და მასაც მოუწევს უჩვენოდ არსებობა. ეჰ, მზე, მზე!

* * *

მოკლედ... ამტკიცებს, რომ მენდელეევს მალე დაივიწყებს ხალხი და მახოზე ალაპარაკდება. მომავალი დიდი მეცნიერი... მსოფლიოო ილაპარაკებს მახოზე, მსოფლიოო.

არ მეშლება, არ მეშლება, აბა ნახავთ, თუ ასე არ იქნება, შუბლზე ვკითხულობთ, აი, სად აწერია, სალოკი თითი გააყოლა გაკვირვებულ მახოს შუბლზე, აი, აქ აწერია, მოგონება იქნება ამასთან აინშტაინი და კიური, კოპერნიკი და გალილეო გალილეი. მივშტერებივართ ზაირა მასწავლებელს. ხან მახოსკენ გაგვექცევა მზერა, რომელიც აბუზული, დაბნეული დგას და ვერ გაუგია რას ერჩის მასწავლებელი.

პატარა მეცნიერი ხარ, პატარა მეცნიერი. ცოტაც და ატირდება ეს ჩვენი ციცქნა თანაკლასელი, ცრემლი თვალებზე აწვება, არ მინდა, რომ მეცნიერი გავხდე, არ მინდა, გვიყურებს და სულ ცოტა აკლია რომ აზლუქუნდეს.

მოდი ჩემთან, მოდი, მოეხვია ზაირა მასწავლებელი, გულში ჩაიკრა, მახომ ველარ შეიკავა თავი და წასკდა ცრემლის ნაკადული.

- რა გატირებს, ბიჭო! - შეუტია ზაირა მასწავლებელმა. - არ გინდა, რომ მეცნიერი გახდე?

მახო ხმას არ იღებს. ტირის გულსაკლავად, იტყვი დედას მოწყვიტეს მეორე კლასელი მოსწავლე და სადღაც გადაკარგულ მხარეში უნდა გაგზავნონ.

- მოდი ჩემთან, მოდი! - ხელი მოხვია, აიყვანა და მაგიდაზე დააწვინა. მახომ უფრო მოუმატა ტირილს, მოუმატა, იტყოდი საოპერაციო მაგიდაზე იწვა და ის-ის იყო ხელებდაკაპიწებული, კისრამდე თეთრი ხალათით შემოსილი, პირბადიანი ქირურგი დაადგებოდა.

აი, ასე ჩამრჩა მეხსიერებაში ჩემი პირველი მასწავლებლის ეს უცნაური აკვიატება, რომ მახო მაინცა და მაინც მეცნიერი უნდა გამხდარიყო.

* * *

ხარხარებს, ხარხარებს, სულს ველარ ითქვამს სულიკო დალაქი. იტყვი, კაი ხანია ღიმილი არ მიკარებია სახეზე და სიცილის ტალღა ერთიანად მოასკდა.

- რა გაცინებს, კაცო! - გაუწყრა ჩემი თანაკლასელის, ზურას მამა.

სულიკომ ცოტა სული მოითქვა და ელიზბარს ცრემლიანი თვალებით შეხედა.

- ვერ უნდა იყოს ეგ ქალი ჭკუაზე. კაცი დავბერდი და ჩემს დღეში ეგეთი რამ არა მსმენია. - თქვა და ისევ აუვარდა სიცილი. - თმა რომ საქმეს შველოდეს... ამით რომ ჭკუა ემატებოდეს... - იცინოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა.

- ხომ არ გაიხუმრა, კაცო, - სულიკო პროწიალა სავარძელში ჩაჯდა.

- რა გაიხუმრა, ბავშვებს სკოლაში აღარ უშვებს. - თქვა ელიზბარმა და ზაირა მასწავლებელს გადაუკურთხა.

- საიდან ჩამოვიდა, კაცო, ყველაფერი ამ სოფელში როგორ უნდა მოხდეს.

ერთი სიტყვით სულიკო პარიკმახერს რიგი დაადგა.

ეს ჩვენი პირველი მასწავლებელი ცოტა უცნაური ქალი გამოდგა. უცნაური კიდევ მსუბუქი შეფასებაა, უცნაურზე უცნაური. თქვენაო, არაფერი არ შეგდით მაგ გამოტვინებულ თავშიო, გასწავლით, გასწავლით და მაინც არაფერი გამოდისო, ამიტომ დავასკვენი, რომ თმები გიშლითო.

ცოდნა იმიტომ არ შეგდით მაგ ჩერჩეტ თავებში, რომ ბულულივით თმები გადევთო. ამიტომ გადავწყვიტე, რომ თავები უნდა გადაიხოტროთო.

მე მგონი, რომ დუნიაზე არ არსებობს თავგადახოტრილი, კოტორა მეორე კლასი. შემოიარეთ მსოფლიოს ნებისმიერი სკოლა, ასეთ რამეს ვერსად წააწყდებით. მართლა გვიჭირდა სწავლა. არაფერი შეგვდიოდა თავში და შეიძლება, მართლა იყო თმების ბრალი, ზაირა მასწავლებელმა ასე მოიფიქრა, ყოველ შემთხვევაში.

* * *

მომკალი და ვერ ვისწავლე ეს სიმღერა. სიტყვებს კი ვიზეპირებ, მაგრამ არ გამომდის.

,,საქორთუო კარგი თორე,
ბაღჩა თორე მინდორ ველი" - მგონი ასე იწყება.

ვიტენი მეგრულ სიტყვებს და კვდება სიცილით მამაჩემი.

,,ვარამუშო მასკვა მარე...
მინდორ თელი, მინდორ თელი".

ცოტა ხანში აგუგუნდება ჩვენი კლასი. მეგრული სიმღერა გაიჭრება სკოლის სარკმლიდან და ნახე, მთელი მსოფლიო ჩვენზე ილაპარაკებს.

საქორთუო კარგი თორე...

გავივლი და გამოვივლი, გულდასმით ვსწავლობ ზაირა მასწავლებლის მიერ დაწერილ სიტყვებს, რას მოვიფიქრებდი, რომ გაივლიდა ოცდაათ წელზე მეტი ამ ამბის შემდეგ და მეხსიერებაში მყარად ჩაიკირებოდა ზაირა მასწავლებლის მიერ ნასწავლი მეგრული სიმღერა, საქართველოს მოსაფერებელი სიმღერა. მე კი არა, ყველა ჩემს თანაკლასელს ემახსოვრებოდა და დარწმუნებული ვარ, ყველა ერთად რომ შევიკრიბოთ, ისევ ისეთი გამოგვივა, როგორც მაშინ, დაფის წინ, საკლასო ოთახში რომ ვიდექით ჩამწკრივებულები და ზაირა მასწავლებელი გვდირიჟორობდა.

* * *

თითქოს ხელები მებორკება, თან მინდა გადავშალო, თან არა. ასე მგონია, გალიის კარს ვაღებ და სამუდამოდ უნდა გაფრინდნენ თეთრი მტრედები ცისკენ. თითქოს ჯერ აქ არიან, ჩაყუჩებულები ღუღუნებენ, ალბომში ღუღუნებენ. ხელის თრთოლვით ვშლი ალბომს და ვგრძნობ, როგორ ვპატარავდები, ასე მგონია, გუშინ იყო ეს ყველაფერი, თითქოს ჩემი თანაკლასელები აჩურჩულდნენ, მერე ჩურჩული ხმაურში გადაიზარდა, სიცილ-კისკისი ჩამესმის, ისე ცხადად ვხედავ ყველაფერს, ისე ცხადად ვეხები ჩემს ბავშვობას. თურმე არ მაშორებდა დიდი მანძილი. შეხე, როგორი ახალგაზრდაა ზაირა კაკალია, ჩემი პირველი მასწავლებელი, სიცოცხლის სხივი უკრთის თვალებში.

- გასწორდით, თავი ასწიეთ... მინდიაშვილი თავი გაასწორე, დულაძე ხელები სწორად დაალაგე. უი, უი, ჯალაბაძე, არაფერი გამოვა შენგან, ოდნავ აქეთ მოიწიე, შე ბოთე..

ფოტოგრაფი უკმაყოფილო სახით გვიყურებს.

- რა ონავარი ბავშვები არიან. დამტანჯეს მოკლედ.

ზაირა მასწავლებელს ფოტოგრაფისა ეუხერხულება და გვტუქსავს და გვტუქსავს. ვსხედვართ და შევცქერით ამ უცნაურ, ულვაშგადაწკეპილ კაცს, ფოტოაპარატით რომ მოგვჩერებია და ვერც კი ვხვდებით, ვინ დგას ჩვენს წინ, ვერც კი ვხვდებით, რა წამები გვიდგას.

ტანში მაჟრჟოლებს,

▶ 6 გვ.

თითქოს თოთო ბავშვს ვეხებოდე და მეშინოდეს, არაფერი დავუზიანო, ისე ვეპყრობი ალბომს, წითელყდიან ალბომს, რომელსაც აწერია ,,ჩემი პირველი მასწავლებელი“.

მე თვითონვე ვუწევ ჩემს ბავშვობას ჭირისუფლობას, ცრემლი თითქოს გამშრალა სულში, თორემ გულიანად დავიტირებდი, გულიანად გამოვიგლოვებდი ვარდისფერ წლებს, წითელყდიან ალბომში რომ ჩამარხულა.

ულვაშგადაწკეპილი ფოტოგრაფი კი წუწუნით იღებს სურათებს.

- მერე საყვედურები არ იყოს. საყვედურებს აღარ მივიღებ. ხომ გასაგებია.

ალბათ უფალმა გამოგზავნა ეს კაცი, ჩვენი ბავშვობა ფოტოების სახით რომ გადაერჩინა. ჩემგან ალბომამდე ოცდაათი წელია, ოცდაათწლიანი გზა-სავალი გაჭიმულა. ერთ პატარა სიზმარში ჩატეულა საუკუნის მესამედი, ბავშვობა, კლასელები, ჩემი პირველი მასწავლებელი. ერთი პატარა სიზმარი ყოფილა, სხვა არაფერი, ერთი ასეთი სიზმარიც და იმ სამყაროს დავუბრუნდები, საიდანაც მოვედი, რომელიც თითქოს მახსოვს და თითქოს არც მახსოვს. რა მნიშვნელობა აქვს რამდენი წელი გაგრძელდება დარჩენილი გზა, ისიც ერთი სიზმარი იქნება.

თითქოს გამშრალი, მიტოვებული ჭის ძირი დასველდა, სულშიც ცრემლი ჩადგა. ცრემლმა მოასველა სული. გიყურებთ და მენატრებით. განშორების სევდამ ლამის არის გული გახეთქოს. ალბათ ჯობდა მთელი ცხოვრება საკლასო ოთახში ზაირა მასწავლებელთან გაგვეტარებინა და ასე არ დაგვეკარგა ერთიმეორე, ბავშვობა ცხოვრების უდაბნოში ციცქნა ოაზისივით დარჩა, დაკარგულ ოაზისად, ცხოვრებისგან გათანგულებს აღარც მობრუნების თავი არ გვაქვს და რომც მივბრუნდეთ, ის ოაზისი აღარ დაგვხვდება. ახალი ოაზისის ძებნის იმედით მოვფრატუნობთ, ჯერ სიარულის ილაჯი კიდევ შეგვრჩენია, მივდივართ და გვგონია, სადღაც მაინც წავაწყდებით, მაგრამ ის მაინც არ იქნება ისეთი, როგორიც დავტოვეთ.

* * *

- მოიცა, მოიცა-მეთქი.

გარბის.

- ერთი წუთით.

მივდევ და ვერ ვეწევი, ძალა მოვიკრიბე. ცოტაც და წამოვეწეოდი. თითქოს განგებ აკეთებდა, ოდნავ მოუნელებდა ნაბიჯს და როგორც კი მივუახლოვდებოდი, როგორც კი ერთი ხელის მიწვდენა მანძილიღა მაშორებდა, ისევ მოკურცხლავდა.

ერთი ხანობა გადავიფიქრე, რომ უკან მივყოლოდი. ჯანდაბის იქითაც ჰქონია გზა-მეთქი, მოტრიალება გადავწყვიტე, მაგრამ ვერ ვძლიე ცდუნებას.

რაც არის არის, უნდა დავეწიო-მეთქი და მოვფრთხვი ისევ, მაგრამ ისევ მომეცარა ხელი.

ბოლოს ფეხები მომეკვეთა და ნაცემივით დავვარდი მიწაზე, გული ცემას ველარ ასწრებდა, სუნთქვა მიჭირდა, ნერწყვგამშრალი ვეგდე და ვკვნესოდი. თავზე დამადგა, ხელი შემახო. თვალი გამოვახილე, ვუყურებდი და ორად მეჩვენებოდა. მერე ნელ-ნელა დაიწმინდა მზერა, გაკანთიელდა. დავაკვირდი ამ უცნაურ ლანდს და...მე ვიყავი. ძალა მოვიკრიბე და თავი შევანჯღრიე, ალბათ ვილაც უცხო, ჩემი სახით მომეჩვენა. უფრო დაიწმინდა მზერა. არა, არ იყო ეს მოჩვენება. ნამდვილად მე ვიყავი, ხელი შემახო კიდევ ერთხელ, თითქოს რაღაც მითანაგრძნო და წავიდა. ერთი მინდოდა დაველაპარაკებოდი, მაგრამ ის ხომ ,,მე“ ვიყავი და რა აზრი ჰქონდა. მე ხომ ისედაც აქ დავრჩი. ,,ვაი, ჩემს პატრონს“.

* * *

მზეს მივდევდი და ვერ ვეწეოდი. როგორ გამირბოდა, როგორ უცბად გადასერა უდაბნოც. ეშვებოდა, მე მაინც მივრბოდი, ცოტა, სულ ცოტაღა დამრჩა. არ გაჩერდე, არ გაჩერდე, ჩამძახის ვილაცა, მიდი აჯობე მზეს, არ დაგასწროს, სისხლი ილვენთება დასალიერზე. ბოლო მზე ჩადის, იქნებ დავეწიო... ალბათ ამაზე თუ ამიხდა წუხანდელი სიზმარი. თუმცა, მზე რა შუაშია, სიზმარში ხომ შენს თავს მისდევდი. კი, შენს თავს, რომელიც ბოლოს, ქანცგაწყვეტილს დაგადგა თავზე, ხელით შეგეხო, თანაგიგრძნო და დაგემშვიდობა. ის შენ იყავი, ეს კი მზეა, შენი ბავშვობის უკანასკნელი მზე ესვენება, მთავრდება, მთავრდება. სისხლისფერმა მნათობმა უკანასკნელად გამომხედა. თვალცრემლიანმა შევხედე და ჩემს წითელყდიან ალბომად მომეჩვენა, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: ,,ჩემი პირველი მასწავლებელი“.

* * *

მისმა გარდაცვალებამ მაგრძნობინა ბავშვობის დასასრული.

წამიერად დავხედე ცხედარს და საკლასო ოთახში გატარებულმა დღეებმა, საათებმა და წამებმა ჩამირბინა თვალწინ. თითქოს მიღიმოდა, ტანჯული ცხოვრება უკანასკნელ წამებში ღიმილად გარდასახულიყო, იქნებ ნატრობდა მოსწავლეებით გარშემორტყმულს დაელია სული. მივხვდი, რომ დასრულდა...

პირველი მასწავლებლის სიცოცხლესთან ერთად ჩაიწვერა ბავშვობის უკანასკნელი მზე, მივხვდი, რომ მხოლოდ მოგონებებად არ რჩება ბავშვობის დღეები და მას ჩვენი მასწავლებლები გვინახავენ.

წავიდა და დასრულდა...

დაისვენე!

— მამა ადამიანს რა კლავს?

— რა კითხვები გაქვს, შე მაიმუნო შენა. რა უნდა კლავდეს, დარდი კლავს. დარდი ყველას კლავს, დარდი ისეთი რამეა, ყველას კლავს, ყველას აქცევს. მოჭრილი ხე რომ დაეხეთქება და ზღართანს გაადენს, ხომ დაგინახავს.

— როგორ არა.

— ჯერ ხერხემალი რომ ჩახანით გადაუტყდება და ტკაცა-ტკუცით წავა. დაეზღერთება და დააკვდება მიწას. აეგრე ზღართანით აგდებს დარდი ყველაფერს. ადამიანსაც, ცხოველსაც, ფრინველსაც, მცენარესაც. ადამიანს გაჩენისთანავე სადარდებელს უჩენს უფალი. ადამიანს ადამიანად დარდი აქცევს ხოლმე.

— ეგ როგორ. უფრო კარგი ადამიანი არ იქნება უდარდოდ?

— უდარდელი კაცი ხომ გინახავს.

— მერე...

— არ გინახავს?

— ჰოო, კაცო, — თავი დაუქნია გოგომ, თან ჭაღარა თმა გაუსწორა, შუბლზე რომ ნამგალა ჩიტის ბოლოსავით ჩამოფხატვოდა.

— უდარდელა კაცი, რაღაცნაირია. თავისებური, ადამიანურ საფიქრალს მოწყვეტილი. ეგეთ კაცს ჭკუას არავინ ეკითხება. იმიტომ რომ დაცანცარებს უბედურად ეგრე.

— ხანდახან ძალითაც კი ქმნის სადარდებელს ადამიანი, იმდენად შეეჩვია დარდს, რომ ვერ ძლებს მის გარეშე, სულ სადარდებელია ყველაფერი, სიცოცხლე და დარდი ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია. რომ დარდობ, არსებობ, ცოცხალი ხარ. რომ გიყვარს, დარდობ და აეგრეა რა... ისე ეს უცნაური კითხვები საიდან მოგდის ხოლმე. გეოგრაფიაში ისწავლე? გუშინ რომ ამტრუნჭა შენმა მასწავლებელმა.

— ავტრუნჭავ მაგას...

— აბა, აბა, შენ ცოტა ოჟებს დაუჭი, ვინ მოგცა მაგის უფლება მასწავლებელზე. შენთვის გეუბნები თუ გეუბნები, თორე შენი გეორგაფიული განსწავლულობა რას მოუტანს ერთი მითხარი. ნიჭიერია, მაგრამ საშინელი ზარმაციაო.

— ვიცი... — ჩაიკისკისა ნათომ.

— რა იცი? — თვალის ხამხამი შეწყვიტა ვაჟამ.

— ნიჭიერი და ზარმაცი რომ ვარ.

— მერე...

— რა მერე, ვარ და რა ვქნა. არ მიყვარს გაყინული გაკვეთილები.

— რა გაყინული, — ვერ მიუხვდა ვაჟა.

— გაყინულში განა გათბობას ვგულისხმობ, ერთნაირი, ჩაქვავებული გაკვეთილები. გამარჯობა, სიის ამოკითხვა, სულ ერთი და იგივე ბავშვების გაძახება და ერთი და იგივე დაჩაგრული ბავშვების ტუქსვა. უკვე მშობლებზე გადავიდნენ. ყალბი ხუთიანები და მადლობები, მშობელთა კრებები, კედლის გაზეთები, ,,ვეფხისტყაოსნის“ საზეპიროების კონკურსები. პედაგოგთა გამოსამშვიდობებელი საღამოები... რა ვიცი... რატომ ხოცავენ ბავშვებს, ვერ ვიგებ. შენ როგორი ბავშვი იყავი, მოწესრიგებული? გიყვარდა გეოგრაფია, ლაუაზიეს კანონებს გაბულბულებინებდნენ, ყელსახვევი საგულდაგულოდ გქონდა გაბანტული, გეკეთა ლენინისთავიანი ოქტომბრელის, თუ კომკავშირელის სამკერდე ნიშანი, ყოველ პირველ სექტემბერს ქების სიგელით გაჯილდოვებდნენ და 5-იანს როცა მიიღებდი, რადიოთი აცხადებდნენ, სკოლის რადიო... არა, იმათი მეგაფონით.

— კიდე, კიდე... — აიმრიზა ვაჟა, მარცხენა წარბი აეზნიქა. — ამას უყურე, ამ მაიმუნს.

— კაი, არ გეწყინოს, გასაბრაზებლად კი არ მითქვამს. — მოეხვია ნათო, ჯერ შუბლზე აკოცა, მერე ლოყებზე. — უიმე... — ტუჩები მოპრუწკა, რკინის წვერი გაქვს...

ვაჟას გაეღიმა და თავზე წაუფაცუნა.

— ვის დაემსგავსე ასეთი ანცი, შემთხვევით დაიბადე გოგოდ. დედაშენს ვეტყოდი ხოლმე, ეგ ისეთი ყალთაბანდი რამე გამოვა-მეთქი. საწყალი ქალი აქეთ აღარ იყო, რა დღეში იყავი. ხო ხვდები, როგორ დღეში ჩააგდებდი მუცელში გამომწყვდეული.

ნათო კისკისებს, მარჯვენა ლოყა ეჩხვლიტება და თვალები ეჭუტება, როგორც ვაჟას ეჭუტება ხოლმე სიცილის დროს.

— ალი-კვალი მამაშენი ხარო, დედამ.

— ხოო, მე დამაბრალეთ ყველაფერი, — ჩაიხითხითა ვაჟამ, — ბიჭი დედასა ჰგავსო ხოო, დინჯია დედასავითო, გაწონასწორებულია, გოგო მამასავით ანცი და მოუსვენარიო.

— დარდზე ლაპარაკობდი...

— რად გინდა დარდი.

— კაცს მარტო ეგა კლავს.

— კაცს ბევრი რამ კლავს.

— მაინც?

— სიყვარულიც კლავს, სიძულვილიც კლავს, ფიქრიც კლავს, ოცნებაც კლავს. ყველაფერი კლავს ადამიანს.

— გამოდის რომ...

— ეგრეა, ეგრე... — ჩაილაპარაკა ვაჟამ, — თითქოს წინასწარ ამოიკითხა ნათოს თვალებიდან სათქმელი, საწერ მაგიდისკენ დაიძრა ვაჟა.

— ეეე, — წაიზმუკუნა ნათომ.

— მოიცა, არ დაჯდე რაა.

ვაჟამ შვილს მოხედა.

— ბევრი მუშაობაც კლავს ადამიანს.

ამ დროს გაიღო კარი და ფლოსტების ფრატა-ფრუტით შემოვიდა ანა, ვაჟას ოთხმოცს გადაცილებული დედა, გაუთავებლად რომ უკანკალებდა მარჯვენა ხელი.

ანას — აანა შეარქვა ნათომ და ყველა ეგრე ეძახდა. აუკრძალა კიდეც დედას, მამას და ერთადერთ ძმას, ანა კი არა აანა. აანა, აანა. აანასაც ელიმებოდა. ქალი დავბერდი, პირი მიწისკენ მიმაქ, სიზმრებში უკვე მიქელ-გაბრიელის კარზე ვარ და ასეთი უცნაური ახალგაზრდები არ მინახავს, ოლონდაც შენ იხალისე, შვილო, და რაც გინდა ის დამიძახე, გინდა ანა და გინდა ბანა. სახელიც თქვენთვის მიჩუქნია და გვარიცა.

— მოდი ბებოს ვკითხოთ.

— აანა, — ნათო უყურებს და ეღიმება. იცის, რომ მამას რაღაცას ეოხუნჯება. მარჯვენა ხელი კანკალებს, კანკალებს. სხეულის ყველა ნაწილზე მეტად გამოხატავს, რომ ცხოვრებასთან ჭიდილში დაიღალა.

— ბევრი მუშაობა ხომ კლავს, ბებო?

აანამ ჯერ ნათოს შეხედა, მერე ვაჟას.

— მართალს ამბობს, ბევრი მუშაობა არა მარტო ადამიანს, ვირსაც კი კლავს. ბავშვობაში მინახავს ბევრი ჯაფისგან ჩაჩოქილი. ჩვენს მეზობელს სულიკო ერქვა, ღმერთმა აცხონოს. ისეთი ლამაზი დიდყურა ჰყავდა, დიდი, ჭკვიანი და სევდიანი თვალები ჰქონდა. იტყოდი, რომ გამჩენს ემდურებოდა, ვირად რომ შექმნა. ერთ მშვენიერ დღესაც ჩაიჩოქა სულიკოს ყროყინამ. --გაეცინა აანას. მაგაზე გამახსენდა, საათს ერთ წუთს არ გადააცილებდა ხოლმე, იტყოდი ,,მაღვიძარა“ ედგა ყურებში, გახდებოდა 11 — ატეხავდა ყროყინს, გახდებოდა 12 — ისევ დაიწყებდა.

ვაჟამ ხელი ჩაიქნია და საწერ მაგიდას მიუჯდა.

* * *

— მამაჩემო! ვფიქრობდი დამეწერა თუ არა ეს წერილი, ერთი ხანობა ვყოყმანობდი, მაგრამ მერე მაინც გადავწყვიტე. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ახლა არ დავიწყებ ჩემი გეოგრაფიის მასწავლებელივით რაღაც გაქვავებული სიტყვებით მოყოლას. მოკლედ, მიყვარხარ და ეგ არის. ფიქრით მიყვარხარ, თვალებით, გულით, თმებით, სიცილით და სიმეტიჩრით. შენ რომ მტუქსავ ხოლმე, მაგრამ მეტიჩრობა კარგი რამეა. ღმერთმა დამიფაროს დავსერიოზულდე, საწერ მაგიდას მივუჯდე შენსავით და გავიხლართო ფიქრებში და ხელახლა აღმოჩენები დავიწყო იმის, რაც დიდი ხანია აღმოაჩინა ღმერთმა. ან რაღაც ახალი რამეების გამოგონება დავიწყო. ხელახალი ,,ინტერპრეტაციები“, თუ რაღაც სისულელეები. ასე მგონია, არასრულყოფილი ადამიანები აკეთებენ ამას. ხელოვანები არასრულყოფილები არიან, მე ასე მგონია. საკუთარ თავს გაურბიან და რაღაც ახალს ქმნიან საკუთარი თავის გვერდით. შეიძლება ის ახალი ხეირიანი რაღაც გამოუვიდეს, მაგრამ შესანიშნავად იციან თვითონ, რომ რაღაც მომენტში საკუთარი თავი უარყვეს. როცა რაღაცა ახალს ეძებ, ე.ი. არსებული არ გაკმაყოფილებს, სრულყოფილებისკენ ლტოლვა გაქვს, ე.ი. არასრულყოფილებას გაურბიხარ. ის კი არა, ბერებიც და მონაზვნებიც ასეთი კატეგორიის ადამიანები მგონია. საკუთარი თავის უარმყოფელნი, ღმერთის მაძიებელნი. სრულყოფილებისკენ მიდიან, არ მოწონთ არსებული, სდევნიან საკუთარ თავს. სრულყოფილი მეტნაკლებად ვინც არის, ასე მგონია არაფერს აკეთებს და ამ არაფრის მკეთებელს ყოველთვის უარყოფენ, დასცინიან, დევნიან, ის ზარმაცია, ხელმოცარულია და ა.შ.

შენთან მინდა, რომ ასეთ საკითხებზე ვისაუბრო, მაგრამ ამის საშუალება არ მაქვს. სულ წერა, წერა, წერა, წერა, გადავწყვიტე, რომ აქცია ჩავატარო შენს წინააღმდეგ, თუ როგორ, ამას მარტივად მიხვდები. ის კი არა... მე, ხომ იცი, როგორ შემიძლია შენს სულში ჩახედვით... შენი დაუწერელი მოთხრობების გმირებს ავამხედრებ, ერთი თითი დავუქნიო და ყველა ჩემს მხარეზე გადმოვა. თვალდახუჭული მოვუხმობ და მოვლენ. გაგეცინება, მაგრამ ხომ იცი, რომ გამკეთებელი ვარ. დაისვენე, რა... დაისვენე. არა მუშაობას!

* * *

კომპიუტერი გაშალა, ვარდისფერი ფლომასტერით ვეება წარწერა მოხვდა, ქათქათა თაბახის ფურცელზე ,,დაისვენე“...

ჯერ ვერ მიხვდა. საწერ მაგიდას მიუჯდა. წიგნებზე რამდენიმე ფურცელი მიეკრა ,,უჩინარს“. ,,დაისვენე-მეთქი, დაისვენე“. ,,არა მუშაობას“. წითელ-ყვითელი ფლომასტერით გაეფერადებინა წარწერები. ერთი წიგნი გადაშალა, იქაც წარწერიანი ფურცელი - ,,დაისვენე“, მეორე გადაშალა — ,,დაისვენე“, მესამე გადაშალა — ,,დაისვენე“, ბლოკნოტი გადაშალა — ,,დაისვენე“. სულ ყველგან საგულდაგულოდ მოეთავსებინა, ზოგი ჩვეულებრივი, ზოგიც - მომცრო ფურცლები. ,,დაისვენე“, ,,დაისვენე“, ,,დაისვენე“.

— დედაა! — არავინ ჩანდა სახლში.

— აანა! — კვლავ არავინ გაეპასუხა.

— ეს სადღა წავიდა. — ამ დროს გაიჭრიალა კარმა. აანამ შემოჰყო თავი.

— იმ კუდიანმა ქნა? — ჩაეღიმა ვაჟას.

აანამ მხრები აიჩეჩა.

— შენი გაწუწკებულია, სულ შენი, — თავი გააქნია ვაჟამ.

— სად წავიდა?

— ცეკვაზე... ხუთზე მოვა, — საათს შეხედა აანამ.

ცოტა რამ ქართულ—რუსული ლიტერატურული თარგმანის შესახებ

„თარგმანი გვაახლოებს ერთმანეთთან“

მურმან ჯგუბურია

ბეჟან ნამიჭეიშვილს თუ იცნობ? – მეკითხება ბატონი ივან ლიუბიმოვი პერევერზინი, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მემკვიდრე ორგანიზაციის – საერთაშორისო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და საერთაშორისო ლიტფონდის მესვეური, ფრიად ცნობილი პოეტი.

ბეჟანი ბატონმა რეზო ჭეიშვილმა გამაცნო, – ვუპასუხე, – იყო დრო, როცა ჩვენ, სამივენი ერთად ვმსხდარვართ ერთ სუფრასთან და კარგა შეღვინებულებს ერთმანეთთან გვისაუბრია, პოლიტიკაზე, ფეხბურთზე, ლიტერატურაზე.

პოლიტიკაზე და ფეხბურთზე, არ ვიცი, მაგრამ ლიტერატურაზე კი შეიძლება შეღვინებული საუბარი. თავად ლიტერატურა და, განსაკუთრებით კი, პოეზია ხომ ღვინოსავით არის. „пейте в месте, пейте в трое, одному ненадо пить“.

ავტორს „двое“ უწერია–მეთქი, შევახსენე.

მაგრამ შენ ხომ თქვი, სამნი ვიყავითო, მსგავსი პერიფრაზი ასატანია.

ბეჟან ნამიჭეიშვილი იმ ხანებში რუსეთის საერთაშორისო მწერალთა კავშირის ერთი რიგითი თანამშრომელი იყო.

საოცარი კაცია ბეჟანი, – მეუბნება პერევერზინი, – ფუტკარივით ჩუმი და მუყაითი, მუშაკი, წესიერი, სიტყვის კაცი. უკეთ, საქმის კაცი. ათასში ერთხელ თუ ამოიღებს ხმას, მეტად გისმენს, ნაკლებად საუბრობს. ეს თქვენებური, ქართული წესია თუ ბეჟანია ასეთი გამორჩეული ხასიათის მატარებელი. თავს ანდობ ამ კაცს, მეტი რომ არაფერი ვთქვა.

იმ დღიდან მოკიდებული, პერედელკინის მწერალთა შემოქმედებით სახლში მომიწია ცხოვრება, მთელი ხუთი წელიწადი, სათანადო პირობებით, რასაც დღემდე ვუმადლი ბატონ ივან პერევერზინს. ჩემი ურთულესი ოპერაციის გადატანის შემდეგ, მე და ჩემი მეუღლე უსახსროდ და უპატრონოდ ვიმყოფებოდით რუსეთის დედაქალაქში. რა უნდა გვეღონა? მივაკითხე მწერალთა კავშირს, ლიტ-ფონდს. ასე გავიცანი ბატონი პერევერზინი. რამდენიმე ღერი სიტყვა გავცვალეთ ერთმანეთთან. აიღო ყურმილი და პერედელკინის მწერალთა სახლის დირექტორს დაურეკა.

სტეფან ივანიჩ, ახლა შენთან მოვა პოეტი მურმან ჯგუბურია თავისი მეუღლით. რთული ოპერაცია აქვს გადატანილი. მკურნალობა-პროფილაქტიკას საჭიროებს, მოაწყვე რიგიანად.

2008 წელიწადია, თანაც ის დღეებია, ჩვენმა ბედოვლათმა სააკაშვილმა რუსეთს რომ ომი გამოუცხადა, ყველა დროის უპირველეს მეომარ ქვეყანას, სხვა რამ არა ვთქვათ, საფრანგეთი და გერმანია რომ დააჩოქა. მწერალთა სახლის დირექტორმა რა უპასუხა პერევერზინს მკაფიოდ არ მესმოდა, ცხადია, თუმცა ყური კი მქონდა მიფაციცებული. ანუ, რას გადაწყვეტენ–მეთქი, ამას ვამბობ, ბატონმა პერევერზინმა კი გაბრაზებით ჩასძახა ტელეფონს:

მერე რა რომ ქართველია. ამას კი არ წამოუწყია ომი. მწერლები ერთმანეთთან არ ომობენ. მწერალთა სახლის მესვეური რომ ხარ. ესენინის წიგნი მაინც უნდა გადაიკითხო ხოლმე. „Поэт поэту есть кунак“. ასე ეხმიანება იგი საქართველოს პოეტებს.

და, რაღა დავმალო, ბატონმა პერევერზინმა თავის სიტყვას ისეთი ხმამაღალი რამ მოაყოლა, ახლა რომ სკაბრეზულ გამონათქვამს ეძახიან.

პერედელკინოს ტელეფონი გაყუჩდა. მოსკოვის ტელეფონმა გაიმარჯვა. იმავე დღეს მოვეწყვეთ პერედელკინის მწერალთა სახლში.

ხოლო იმ შეკითხვაზე, ქართველები ხართ ასეთი თუ მხოლოდ ბეჟან ნამიჭეიშვილია ასეთიო, რომ მკითხა პერევერზინმა, ამგვარი პასუხი გავეცი:

ბატონ ირაკლი აბაშიძეს ეკუთვნის დედა–ენისადმი მიძღვნილი ერთი საყოველთაოდ ცნობილი ლექსი, სადაც წერია: „Ты всё говоряший, ты, не всё говоряший“.

აი, ალბათ ამიტომ არის–მეთქი ბეჟან ნამიჭეიშვილი ისეთი, როგორიც არის, თანაც დავამატე, ბატონი ირაკლი აბაშიძე და ბეჟან ნამიჭეიშვილი, ორივენი იმერლები არიან–მეთქი.

ბეჟან ნამიჭეიშვილი ამჟამად რუსეთის საერთაშორისო მწერალთა კავშირში (თანამდებობის მიხედვით), მეორე კაცია. ანუ, ის არის მწერალთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

ამ ფრიად მძიმე და გაუგებარ დროში, ბეჟან ნამიჭეიშვილის მეცადინეობით გამოვიდა რუსი და ქართველი პოეტების საერთო კრებული. ორივე ენაზე: ქართულად და რუსულად. რუსულად და ქართულად.

საბჭოთა კავშირში სტუმრობისას რობერტ ფროსტმა უთხრა ქვეყნის მეთაურს: „პოეტები უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს, ისინი სულიერად აახლოებენ ერთმანეთთან სხვადასხვა ერებს“.

ლომის წილი გაიღო ბეჟან ნამიჭეიშვილმა ქართველი და რუსი პოეტების გაცნობა–დაახლოებაში. მან მოამზადა ქართველთა და რუს პოეტთა შესანიშნავი თარგმანი, რასაც ხელის მცირე გაკვრა დასჭირდა, რათა დედანთან მიახლოებული თარგმანი გამოსულიყო. ანუ, ბეჟან ნამიჭეიშვილი ისე ფლობს რუსულ ენას, რაც დღეის საქართველოში ფრიად გასაკვირია.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბეჟან ნამიჭეიშვილი არის კარგი პროზაიკოსი, რაზედაც ალბათ სხვა დროის მოგვიწევს საუბარი. ჩემი კერძო სურვილი კი ამჯერად ასეთია: მე მინდა, მან კიდევ უფრო მეტი დრო და ენერგია შეალიოს ქართულ–რუსული მესიტყვეობის დაახლოება–დამეგობრებას. ვიცი, ახლა იგი გალაკტიონის პოეზიის პწკარედულ თარგმანზე მუშაობს. „მთელი საქართველო დაგეხმარება“, უთხრა ერთხელ რუს პოეტსა და მთარგმნელს, ალექსანდრე მეჟიროვს დიდმა პოეტმა, როცა გაიგო, რომ იგი მისი ლექსების თარგმნას აპირებდა. თუმცა ა. მეჟიროვმა ვერ თარგმნა გალაკტიონის ლექსები, ხოლო თუ რატომ ვერ თარგმნა, ამის საპასუხოდ, ასეთი შესანიშნავი სტრიქონი ჩამოასხა:

„Опять из голубого дыма
Встаёт Поэзия... Она
Воевеки не переводена,
Родному языку верна“.

ეს გამონათქვამი, ცხადია, დედა–ენის მაქებარი და მეხოტბეა, მაგრამ თარგმნა მაინც აუცილებელია. ანუ, ამჯერად, გალაკტიონისეული გამონათქვამის „მთელი საქართველო დაგეხმარება“, გამშიფრავი და ქართული სიტყვის დესპანი ვეებერთელა რუსეთში გახლავთ ბეჟან ნამიჭეიშვილი.

ღმერთმა ხელი მოუმართოს.

P. S.

ბატონო ბეჟან, თარგმანზე, გულღია რომ ითქვას, მე ასეთი კერძო აზრი გამაჩნია: თარგმანი ჰგავს ორ სახელმწიფოს შორის არსებულ საკონტროლო–გამშვებ პუნქტს, სადაც ცოტა რამე თუ არ დატოვე, არ გაგატარებენ. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ საზღვრიდან გამობრუნებას, საზღვრის გადალახვა სჯობია.

გავიმეოროთ: „თარგმანი ერთმანეთთან გვაახლოებს“

ილია ბუზალაძე

***

როცა გულში მარტოობის ცეცხლი ენთო,
როცა გულში უმწეობის ქროდა ქარი,
ამ დროს მხარის მოსაცემად, მოიმედედ,
ნავთსაყუდრად გამომიჩნდა ძლევის ჯვარი!
გზა და ფიქრი, გზა და ფიქრი თანამგზავრად,
ჰორიზონტზე მშობლიური სანახები;
და ნაღველი გარჭობილი გულში ლახვრად –
ნუთუ ისე წავხდებით და დავეცემით,
რომ ქართლის მთებს რძისფერ ნისლში
მოლივლივეს
კავკასიონს ცამდე აწვდილ ჩვენს საუფლოს,
გიჟმაჟ ლიახვს, მოლიკლიკე ფრონის ჭალებს,
უცხო ვინმე მოვიდეს და დაეუფლოს...
აკაციებს მოუჩითავს გრძელი შარა,
ვაშლის ბაღებს მოსდებია ფუტკრის ჯარი. –
–არ იქნება! არ იქნება! არა, არა! –
გამხნევებს და გულს მიმაგრებს ძლევის ჯვარი.

***

გადარეულა ბაღში აპრილი,
ნაირფერებით მიდამოს ათოვს;
აღარ თარეშობს ქარი ავპირი,
ტირიფონაზე ლხინი აქვს მნათობს.
გაზაფხულია ჟამი ტრფობისა,
სისხლით ავსილა გულში ძარღვები;
ირგვლივ სუყველა ბუტბუტებს, შფოთავს:
–ჩემი გახდები! ჩემი გახდები!
აქ კი სიჩუმე – ავი მთიბავი,
მოპირულ ცელით კარი-კარ დადის, –
აღარ ასკდება ნაგაზი მესერს,
ყუთს მოენატრა ყივილი მამლის.
ორღობეს შამბი მოსძალებია,
პირქვე დამხილან ბაღში ვარდები;
ქარი მოწივის ცარიელ შარას: –
დაბრუნდით, თორემ დაიკარგებით!
დაბრუნდით, სანამ თბილია კერა,
სანამ ამჩნია გზას ნაფეხური,
სანამ გეძახით ადგილის დედა,
სანამ ჯერ მთლად არ გაცივდა გული!

***

მე თავს ისე ვგრძნობ შენს მიწაზე
როგორც მუხის ხე;
ტანდაკორძილი, შემომდგარი
სოფლის საყდართან;
მე თავს მეხვევა შენი ფიქრი,
შენი ალერსი,
წუთი მეყოფა შენს დარსა და
შენსა ავდართან,
დრო და ბუნება მხრის, მასწორებს
მხრის და მასწორებს.
მაგრამ ვიზრდები შენთან ერთად –
სიცოცხლის ფესვი,
ქვეყნად არსებულ თვათლთუხილავ
ნაყოფს აგროვებს,
რათა ორმაგად გადგიხადოს
რაც დღემდე შესვი.

***

მე დამესიზმრა
თითქოს ველზე ლურჯი სანთლები
ენთო, მათ შუქი
ანათებდა ცის დასალიერს;
გალობდა ქორო,
გახსნილიყო ზეცის სარკმელი,
შარავანდედი
გადაჰკვროდა ღამეს ბაცისფერს
გაცისკროვნებულ
შარაგზაზე ვიდექი მარტო,
მიმქრალ ფერებში
დავეძებდი ყრმობის ზმანებას,
გალობდა ქორო,
გახსნილიყო ზეცის სარკმელი.
ქვეშ, ფერხთით მედო
უხილავი იდუმალება.

***

შენს ქვეყანაში გერქვას ლტოლვილი,
მოკვდე, ის მიწა არ მიგეყაროს,
რასაცა ჰქვია დედულ-მამული,
რაც გულს გაკვრია ყველაზე ახლოს.
ეს ტკივილია გაუსაძლისი,
ეს სიკვდილია – ორმაგი თანაც,
მაგრამ გულს უფრო ის ანადგურებს,
რომ ეს წარბსაც არ უტოკებს მავანთ.
–თუ სამაჩაბლო მარტო ჩვენია
მაშინ ვაი, ჩვენ, ცოცხლად დამარხულთ.
მაგრამ, ჰაი, რომ გულის ძარღვს გვჭრიან
და გვიპირებენ რაღაც არნახულს.
დაფიქრდით, გულში ჩაიცხრეთ ვნება,
წამლად დაედეთ ქვეყნის იარებს,
თორემ მოგვადგა მტერი ვერაგი
და ისე მწარედ დაგვანიავებს:
–რომ დაგლეჯილი ჩვენი სხეული,
ყველა თაობას რომ ჰქონდა დარდად, –
სოჭი, ადლერი, ბებერი ტაო,
თუ საინგილო – დარჩება ზღაპრად.



„დუმილის პოეზია“

დაიბადა უზბეკეთში, სადაც მისი მშობლები იყვნენ გადასახლებული. თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუსკომედიისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მსახიობი იყო და როგორც თავად წერს, „მე დავრწმუნდი, რომ ყველაფრისათვის უარი უნდა მეთქვა. დამევიწყებინა დრამის თეატრი, მხატვრული კითხვა, ცეკვა - ყველაფერი, რაც ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. უნდა დავდგომოდი ახალ გზას... მე უნდა ვყოფილიყავი პანტომიმის პროფესიული ჟანრის, პანტომიმის სკოლის, სახელმწიფო თეატრის დამაარსებელი, მისი მსოფლიოს არენაზე გამტანი და თანაც თეატრის შენობის მშენებელი. ჩემი თეატრი მე უნდა ამეშენებინა. ეს ყველაფერი საფრანგეთში ხუთმა კაცმა გააკეთა, მე კი ერთს დამედო ხუთის უღელი, ხუთი კაცის საქმე ერთს უნდა მეკეთებინა. მეც დავადექი ამ გზას...“ 1964 წელს დააფუძნა ქართული პროფესიული პანტომიმის სკოლა. 1973-1975 წლებში ფილარმონიის პანტომიმის დასის ხელმძღვანელია, 1975 წლიდან - პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი. მის ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ფრანგ პანტომიმის ოსტატ მარსელ მარსოსთან შეხვედრას, რომელიც ქართული პანტომიმის სპექტაკლის ნახვის შემდეგ წერდა - „ასეთი ნაციონალური, პროფესიულად სრულყოფილი და ნიჭიერი კოლექტივი ჯერ არსად შემხვედრია. მიუხედავად თეატრის არსებობის ხანმოკლე ვადისა, დასმა უკვე შეიმუშავა საკუთარი ხელწერა და მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში თეატრი დაიკავებს ერთ-ერთ წამყვან ადგილს ევროპის თეატრებს შორის„. მრავალწლიანი დაუღალავი შრომის შედეგად შეიქმნა პანტომიმის თეატრის მნიშვნელოვანი სპექტაკლები - „ოცნება და სინამდვილე“, „ელექტრა“, „ტურფა“, „უმუშევრის ბედი“, „ქალის ცხოვრება“, „ტერენტი“, „წმიდა გიორგი“, „ქრისტე„... სულ მალე კი ქართველი მაყურებელი იხილავს პანტომიმის თეატრის ახალ სპექტაკლს „ვეფხისტყაოსანი“, რომლის დადგმასაც ბატონი ამირან შალიკაშვილი ახორციელებს და იგი „მწერლის გაზეთის“ დღევანდელი ნომრის სტუმარია.

— ბატონო ამირან, მინდა გულწრფელი მადლობა გითხრათ, რომ თქვენთვის ამ დრამატულ და ტრაგიკულ დღეებში დაგვთანხმდით ინტერვიუზე. უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენ საიუბილეოდ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ დგამთ. რა ეტაპზეა სპექტაკლზე მუშაობა?

- ამაზე დიდი განძი არ გვაქვს. დიდი ხანი ვფიქრობდი, მეუბნებოდნენ, დადგი, დადგიო. მართლაც დიდი პასუხისმგებლობაა, შეეჭიდო ამ უკვდავ ქმნილებას, მასში ხომ მთელი მსოფლიოა. ერთ სპექტაკლში ამის ჩატევა, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია. ამიტომ გადავწყვიტეთ აქცენტი ერთ თემაზე გაგვეკეთებინა, ეს სიყვარულია. სცენარი ტრადიციულად ბატონ რევაზ მიშველაძეს ეკუთვნის. მუსიკა უკვე შევარჩიეთ. მინდა გითხრათ, რომ სპექტაკლში ძირითადად ენრიო მორიკონესა და შნიცკეს მუსიკა გაიჟღერებს. საერთოდ მაყურებელს ბევრი სიურპრიზი ელოდება. ამჟამად კოსტუმებზე მიდის მუშაობა. ასევე სიახლე იქნება ის, რომ აქამდე ჩვენს სპექტაკლებს მხოლოდ მუსიკა ახმოვანებდა. ამჯერად სპექტაკლში რუსთაველის შეუდარებელი პოემის სტრიქონებიც გაჟღერდება. ჩვენ 35 სტროფი შევარჩიეთ, რომელთაც მე ვკითხულობ.

- რა სირთულეებს აწყდებით სპექტაკლზე მუშაობისას, მხედველობაში მაქვს რუსთაველის პოპულარობა...

- სირთულეები, ბუნებრივია, იქნება, მაგრამ ამის გამო უარის თქმა სწორი არ იქნებოდა. მით უმეტეს, რომ წლევანდელი წელი გაეროს მიერ რუსთაველის წლად არის გამოცხადებული. მიმაჩნია, რომ ყველა თეატრში უნდა განხორციელდეს „ვეფხისტყაოსნის“ დადგმა. იცით, ერთი საიდუმლო მინდა გაგიმხილოთ, მე რამოდენიმე პოეტური კრებულის ავტორი ვარ, თუმცა ჩემს თავს პოეტს ვერ ვუწოდებ. ჰოდა, სპექტაკლზე მუშაობის პროცესში ძალიან ბევრი ლექსი დავწერე, ახლა მინდა წიგნი გამოვცე და პრემიერაზე ჩემი ლექსების კრებული, რომლებიც სპექტაკლზე მუშაობის დროს დაიწერა, წარვადგინო.

- როგორ გეხმარებათ ქალაქის მერია და კულტურის სამინისტრო?

- გვეხმარებიან შეძლებისდაგვარად. შეხვედრა მქონდა კულტურის მინისტრთან, გავაკეთეთ გაანგარიშება, მერიიდანაც გვაქვს დაფინანსების იმედი. ძალიან ბევრი რამ გვჭირდება. იმედი გვაქვს, დაპირებებს შეასრულებენ.

- სასიამოვნოა, რომ რევაზ მიშველაძესთან თქვენი ტანდემი არაერთი შემოქმედებითი გამარჯვების საფუძველი გახდა და ტრადიციას არც ახლა ღალატობთ. საერთოდ, რა ადგილი უჭირავს რევაზ მიშველაძეს თქვენს თეატრში?

- ჩვენი თეატრი ბატონი რეზოს მეოთხე პიესას დგამს. ეს უკვე ბევრს ნიშნავს. ოთხივე სპექტაკლს არნახული წარმატება ხვდა. როდესაც „ტერენტი გრანელი“ მომიტანა, წავიკითხე და დიდხანს ვფიქრობდი, რა უნდა გამეკეთებინა. საოცრად საინტერესო პიესაა, მაგრამ ექვსი თვე დამჭირდა, რომ სცენაზე გადამეტანა. ბევრი წინააღმდეგობა იყო, ბევრი კრიტიკა, მაგრამ საბოლოოდ ყველამ აღიარა, რომ იშვიათია სპექტაკლი, სადაც ასე ხატოვნად, მწვავედ, მთელი სიცხადით იყოს გამოხატული შემოქმედის მწარე ხვედრი. ამას მოჰყვა „წმიდა გიორგი“ და „ქრისტე„. ყველა პიესის ავტორი რევაზ მიშველაძეა. ის ხშირად მოდის ჩვენთან, ესწრება რეპეტიციებს, საოცრად ზუსტ და სწორ რჩევებს გვაძლევს. მინდა გითხრათ, რომ ის თეატრალია, მუსიკალურია და ყოველთვის გვერდში გვიდგას.

- თქვენ გასტროლებით მოიარეთ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, მაღალი შეფასება მიიღეთ თავად მარსელ მარსოსგან, ასევე აღტაცებითა და აღფრთოვანებით აფასებდნენ თქვენს სპექტაკლებს უცხოურ პრესაში, გაღიარათ ქართველმა მაყურებელმა, თქვენი სპექტაკლები ანშლაგებით მიმდინარეობს, ახალ სეზონს „ვეფხისტყაოსნით“ გახსნით...

— მართლაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავიტანეთ ჩვენი სპექტაკლები. ბევრგან მქონდა შემოთავაზება, დავრჩენილიყავი, მექნებოდა ყველაირი ხელშეწყობა, დახმარება, უზრუნველყოფილი ვიქნებოდი ყველაფრით, მაგრამ არა, მე ჩემს ხალხს და ჩემს ქვეყანას უნდა ვემსახურო. თუნდაც ამდენი პრობლემისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, მე აქ უნდა ვიყო. უნიკალური ქართული სტილის პანტომიმის და მის მიერ შექმნილი ამ ჟანრის ერთადერთი თეატრის გადარჩენაზე და შენარჩუნებაზე ვალდებულია იზრუნოს, როგორც თითოეულმა მოქალაქემ, ასევე აუცილებლად სახელმწიფო სტრუქტურებმა. ამ თეატრს ჰყავს მრავალრიცხოვანი, ერთგული მაყურებელი. ასევე ძალიან ხშირი სტუმრები არიან უცხოელები, ტურისტები. ამ თეატრის უნიკალობას ამტკიცებს, როგორც ის ფაქტი, რომ იგი თავისი სტილით სრულიად განსხვავდება მსოფლიოში არსებული პანტომიმის თეატრებისაგან, ასევე მისი უნარი უშუალო კომუნიკაცია დაამყაროს ნებისმიერი ასაკის, ეროვნების, რელიგიის, სტატუსის და პროფესიის ადამიანთან.

ბატონი ამირან შალიკაშვილი ათეულობით წიგნის ავტორია. მემუარების ოთხტომეულის „ცრემლიანი შემოდგომის“ მე-4 ტომში იგი წერს - „ასე მიდიოდა დღეები, ღამეები... მიდიოდა დრო, დღე, თვე, წელიწადები... მეგონა უკეთესი თეატრი მექნებოდა, მაგრამ არა, არა და არა. ვაშენებდი, ინგრეოდა, ისევ ვაშენებდი. მბეზრდებოდა, მაინც ვუბრუნდებოდი, მძულდა, მაინც მიყვარდა. მინდოდა მიმეტოვებინა, მაგრამ ვიცოდი, მაინც თეატრში შევიდოდი და ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. თეატრი და თეატრი, რა არის თეატრი - ოკეანე, ზღვა, ცის სივრცე, ქარი, ქარიშხალი, წვიმა, თოვლი, ყინვა, ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა. რა არის თეატრი - ფული, სისხლი, ნერვი, ტვინი, სიცოცხლე და სიკვდილი, რა არის თეატრი - სიყვარული, ქარი, სიწმინდე, სალოცავი, დღე, ღამე, მზე, მთვარე, ელვა, ქუხილი, სეტყვა, რა არის თეატრი - ფურთხვა, სახელი, გინება, ცემა, ნერვი და ნერვების გლეჯა, რა არის თეატრი - სამშობლო, ერი, ენა, რწმენა, ცრემლი, ცრემლი და მხოლოდ ცრემლი. მე შენ მიყვარხარ, ჩემო ცრემლო, მე შენ მიყვარხარ, ჩემო წმინდავ, წმინდა სანთელო, მე შენ მიყვარხარ, ჩემო გზაო, აღმართ-დაღმართ, შენ შემოდგომის ცრემლო ჩემო, ოცნებავ ჩემო, ოცნებად დარჩი, ჩემში ცრემლად დაბადებულო, ვერ გემსახურე ისე, როგორც შეჰფერის შენს მზეს და შენს გოლგოთას... შენ მე წამართვი ყველაფერი, რაც რამ გამაჩნდა, შენ მე წამართვი ისიც, ვინაც დამბადა, შენ მე წამართვი კაცი ბრძენი, ვინც მე გამზარდა, შენ მე წამართვი, ვინც სახელი კაცის დამარქვა, გადამიარე ღრუბელო და წვიმად დამწურე...“ და ამით ყველაფერია ნათქვამი.

დიდი ხანი ელოდა გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ სცენარისტს, რეჟისორს, მათ, ვინც შებედავდა უკვდავი შედევრის სცენაზე გაცოცხლებას, მისი ჰეროიკული გმირების ხორცშესხმას და ვინ, თუ არა სახალხო მწერალი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, რევაზ მიშველაძე და სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი შეეჭიდებოდნენ ამ მართლაც საშურ და საშვილიშვილო მისიას. ისღა დაგვრჩენია პრემიერას დაველოდოთ.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს გაზეთებიდან:

„ფოერბახში გერმანელი მაყურებლის წინაშე 19 ქართველი მიმი გამოვიდა. განუმეორებელი სანახაობა იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ნაჩვენები იქნა ქართული „იავნანას" საფუძველზე აგებული სპექტაკლი, რომელშიც მოთხრობილია ქართველი კაცის ცხოვრების შესახებ დაბადებიდან სიკვდილამდე. განსაკუთრებული აზრით დატვირთული ჟესტი და მიმიკა საოცრად სადა დეკორაციებისა და კოსტუმების ფონზე, ერთი—ორად იძენს თავის მნიშვნელობას. აქტიორული სხეულის პლასტიკა ისეთ სრულყოფილებამდეა აყვანილი, რომ იქმნება შთაბეჭდილება ხან ვაჟკაცური, ხან საოცრად ფაქიზი სახეების გაცოცხლებისა, რაც კულმინაციურ წერტილს აღწევს და მაყურებელს მუდმივ ემოციურ დაძაბულობაში ამყოფებს" (გაზეთი "საარბრუკერ ცაიტუნგ," 19.05.1982წ.)

თეატრის გამოსვლებმა საარბრიუკენში ფართო რეზონანსი ჰპოვა. ქართული მიმების სახით ევროპამ აღმოაჩინა სრულიად ახალი სამყარო, თეატრს მაღალ შეფასებას აძლევს გამოჩენილი გერმანელი რეჟისორი ჰერმენ ვედეკინი ---- „დიდი მადლობა თქვენი შესანიშნავი ხელოვნებისათვის, თქვენი მშვენიერი სპექტაკლისათვის „კიდევეც დაიზრდებიან." მოხიბლული ვარ ამირან შალიკაშვილის იუმორით. ეს ერთ-ერთი საინტერესო სპექტაკლია, რაც კი მე ოდესმე მინახავს... დიდი მადლობა მთელ ქართულ თეატრს იმ გულწრფელი, ბედნიერი წუთებისათვის, რაც განვიცადეთ თქვენთან„.

ესაუბრა **მანანა გორგიშვილი**

იაკობ პაპიაშვილის წიგნის წინათქმა

დამსახურებული კურთხევა და ქება იაკობ პაპიაშვილის ღირსშესანიშნავ მხატვრულ შემოქმედებას. ვსაუბრობ ცნობილ მწერალზე და პუბლიცისტზე, ისრაელის და საქართველოს მწერალთა კავშირების წევრზე, ისრაელის ორგანიზაციის ACUM (ლიტერატორების, კომპოზიტორების და გამომცემლობების საავტორო უფლებათა დაცვის) წევრზე 1997.

ეს არის ბიოგრაფიულ–ისტორიული და ამავე დროს მიმზიდველი სიონისტური მოთხრობა, აგებული ბიბლიურ მოტივზე: განდევნილობასა და განთავისუფლებას შორის. იაკობ პაპიაშვილი ამოვიდა ისრაელში 1996 წელს. ამჟამად ის თოთხმეტი, შეიძლება მეტი, წიგნის ავტორია, მათ შორის სამი პოეტური კრებულია. ყველა წიგნი წარმოდგენილია ინტერნეტში ქართულ და რუსულ ენებზე. მისი შემოქმედება არა მარტო თემატურად, არამედ ჟანრობრივადაც საინტერესო და მრავალფეროვანია. მაგალითად, პოეტური კრებული, გამოცემული საქართველოში 2010 წელს, შეიცავს არა მარტო ლირიულ ჟანრს, არამედ აგრეთვე დრამატულ პოემას საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან, რომელიც აფხაზეთის საკითხს ეხება, ამასთანავე აქ წარმოდგენილია ლიტვის და ლატვიის პოეტების ლექსების მხატვრული თარგმანები. ამავე კრებულში დაცულია ფრიად შთამბეჭდავი ლექსი მიძღვნილი იცხაკ რაბინის ხსოვნისადმი: „მწუხრის ზარები“. ეს ლექსი ავტორმა დაწერა 1995 წლის ნოემბერში და სხვა ლექსებთან ერთად გამოაქვეყნა ირაელის ქართულენოვან გაზეთში „ალია საქართველოდან“. მაგრამ ამავე გაზეთში 1989–1991 წ. წ. გამოქვეყნდა პაპიაშვილის თითქმის ყველა ნაწარმოები, მათ შორის რომანი „ქართული ლეგენდა“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთის ოც ნომერში სამი თვის მანძილზე.

2014 წელს, საქართველოს მწერალთა კავშირმა, მწერალს და პუბლიცისტს იაკობ პაპიაშვილს მიანიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის საპატიო პრემია უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული ლიტერატურულ–პუბლიცისტური თხზულებებისა და თარგმანებისათვის.

იაკობ პაპიაშვილის ნაწარმოებები ეხება როგორც ისტორიას, ისე ადამიანურ ურთიერთობებს. იაკობს, როგორც მწერალს, ხელეწიფება ლეგენდების და მითების ჰარმონიული შეხამება ისტორიულ ფაქტებთან, ისე, რომ სიუჟეტის რეალური განვითარება აღწევს ადამიანურ მოვლენათა არსში.

ამ თვალთახედვით საყურადღებოა მისი პირველი რომანი „ქართული ლეგენდა“. რომანის ფაბულა ერთობ საინტერესოა. მისი წყაროა ძველი ქართული ისტორიოგრაფია „ქართლის ცხოვრება„: სიუჟეტი გაშლილია IV საუკუნის დასაწყისის ფონზე, საქართველოში იმარჯვებს ახალი რელიგია – ქრისტიანობა.

წარმართობა (და ცეცხლთაყვანისმცემლობა, კერპთაყვანისმცემლობა) დამარცხების ზღვარზეა. ქალაქ მცხეთაში და მის შემოგარენში ქართველი ებრაელების მნიშვნელოვანი დასახლებებია, რომელთა ნაწილი აღიარებს ქრისტიანულ სარწმუნოებას, ხოლო ნაწილი ისევ ტრადიციული ებრაული სარწმუნოების დამცველად რჩება. ასეთ სარწმუნოებრივ ალიაქოთში ტრაგიკულად ვითარდება ორი ებრაელი ახალგაზრდის ელიაზარისა და რეხას სიყვარული. პრობლემა ის არის, რომ გოგონას მამა და თვითონ რეხა ღებულობენ ქრისტიანულ სარწმუნოებას... საკითხი ფრიად გამოუცნობია: რა მოელით მათ?

რომანი „ქართული ლეგენდა“ გამოქვეყნდა ჟურნალ „განთიადში“ (?2, 1989), ხოლო წიგნი ამავე სათაურით გამოიცა ქ. თბილისში – „მერანი“ – 1991 წელს. რამდენიმე წლის განმავლობაში რომანის ავტორი იმყოფებოდა საქართველოს კპ ცკ, როგორც შევარდნაძის, ისე პატიაშვილის დროს – გასაუბრების მიზნით. საკითხი ეხებოდა წიგნის გამოცემისათვის ქაღალდის გამოყოფას და ზოგიერთ იდეოლოგიურ მიმართულებას რომანის შინაარსთან დაკავშირებით დაიწერა ცნობილი – დიდი ქართველი მწერლების დადებითი



מבוא לספרו של יעקב פפיאשוילי.

ראוי יעקב פפיאשוילי לברכה ולשבח על מכלול יצירתו. מדובר בסופר ופובליציסט הידוע, חבר אגודות הסופרים של ישראל וגרוזיה, חבר בארגון הישראלי אקו"ם (אגודת קומפוזיטורים, מחברים ומו"לים) מאז 1997.
קורות חייו הם עדות לסיפור הציוני, למתח בין גולה לגאולה: יעקב פפיאשוילי עלה לישראל בשנת 1996. נכון לעכשיו, הוא מחברם של ארבעה עשר ספרים, ביניהם שלושה ספרי שירה.
כל הספרים רשומים באינטרנט בגרוזינית וברוסית. יצירותיו הן לא רק עשירות נושאים, אלא גם מעניינות ומגוונות מבחינת הז'אנרים הספרותיים. למשל, ספר שיריו שפורסם בגרוזיה בשנת 2010, כולל לא רק את הז'אנר הלירי, אלא גם את הפואמה הדרמטית המבוססת על ההיסטוריה האמיתית של גרוזיה בנוגע לבעיית אבחזיה.
מפעלו הספרותי של פפאישוילי ענף ומרשים: זה כולל גם תרגומי שירים של משוררים ומשוררות של ליטא ולטביה. באותו הספר נכלל שיר מרשים מאוד לזכרו של יצחק רבין ז"ל, "פעמוני האבל", אשר נכתב בנובמבר 1995 ופורסם יחד עם שירים אחרים של המחבר בעיתון "עלייה מגרוזיה" בשפה הגרוזינית. בעצם, באותו העיתון פורסמו בשנות 1989 - 1991 כמעט כל עבודותיו של פפיאשוילי וביניהן הרומן "האגדה הגרוזינית", שיצא לאור בעשרים הגיליונות של העיתון במשך שלושה חודשים.
בשנת 2014, העניקה אגודת הסופרים בגרוזיה לסופר והפובליציסט יעקב פפיאשוילי את פרס הכבוד על שם איוואנֶה מצ'אבֶלי על יצירותיו הספרותיות והפובליציסטיות ותרגומיו שפורסמו לאחרונה.

יצירותיו של יעקב פפיאשוילי נעות בין היסטוריה יבשה לבין אנושיות רוטטת. כסופר יודע הוא היטב לתבל בסיפוריו אגדות ומיתוסים בצד עובדות היסטוריות, כדי לדלות מן המציאות ומן העלילה תובנות אנושיות.

מבחינה זו, לצד הסיפורים והנובלות, ראוי לתשומת לבנו הרומן הראשון שלו, "האגדה הגרוזינית". עלילתו של הרומן מעניינת מאוד. בעיקרה היא נשאבת מתוך הכרוניקה הגרוזינית "כארתליס צחוברבו"; העלילה מתרחשת על רקע תחילת המאה הרביעית. בגרוזיה מנצחת דת חדשה - הנצרות.

עובדי האלילים הובסו. בעיר מצחֶתה וסביבתה מתגוררת קהילה גדולה של יהודים גרוזינים, אשר חלקם מתנצרים, וחלקם שומרים על הדת היהודית המסורתית. בתוך מהומה זו מתפתחת האהבה הטרגית של זוג יהודי - אליעזר וְאהובתו רָחה. הבעיה היא שאביה של הבחורה, וגם רחה עצמה התנצרו ... שאלה מסתורית צפה ועולה: מה יקרה להם?
רומן "האגדה הגרוזינית" פורסם בשעתו בכתב עת לאמנות "גנתיאדי" מס' 2, ב- 1989, והספר יצא לאור תחת כותרת זהה בעיר טביליסי בשנת 1991. במשך כמה שנים, זומן מחבר הרומן מספר פעמים לבירורים בוועד המרכזי של המפלגה הקומוניסטית הגרוזינית, הן בתקופת כהונתו של שוורדנדזה, והן של פטיאשוילי. סיבות הזימונים היו קשורות לקשיים בהקצאת נייר להדפסת הספר וגם עניינים אידיאולוגיים מסוימים הקשורים בתוכן הרומן. לזכותו של המחבר ניתן להיאמרף, שנכתבו ביקורות חיוביות רבות מאת סופרים גרוזינים גדולים. צוין,

რეცენზიები. აღინიშნა, რომ ეს რომანი იყო პირველი ცდა (ვ. ბარნოვის შემდეგ – ი. პ.) ძველი ქართული ისტორიოგრაფიის გაცოცხლებისა.

ის, ვინც კითხულობს იაკობ პაპიაშვილის ნაწარმოებებს გრძნობს, რომ ლიტერატურა არის ის ძალა, ვისაც საკუთარი მხრებით შეუძლია ზიდოს დრო, სივრცე და შთამომავლობა. ლიტერატურას აქვს შესაძლებლობა მისცეს გარდასულ სამყაროს ის სახე, რომელსაც იგი ქმნის ხელახლა. კლოდ ლევი შტრაუსი ოდესღაც წერდა, რომ დიდ ტილოში თავისებური არეკვლაა შესაქმისა. კარგი ლიტერატურა დრამატიზმის მატარებელიცაა, იგი სიცოცხლისათვის შექმნილი სამყაროს მსგავსია.

1998–1999 წ. წ. ისრაელში რუსულ ენაზე გამოიცა წიგნი „ორი სურათი სასტუმრო „გაგრიფშის“ ცხოვრებიდან“, რომლის ავტორი იყო იაკობ პაპიაშვილი. მრავალ შთამბეჭდავ რეცენზიათა შორის, თავისი ორიგინალური თვალთახედვით გამოირჩევა ცნობილი ისრაელელი ლიტერატორის და კრიტიკოსის ლეონიდ ფინკელის შეფასება:

„პროფესიონალი ლიტერატორი, გამოსცა ექვსი წიგნი ლექსების და პროზის ქართულ ენაზე – აქ კი, ისრაელში, იაკობ პაპიაშვილმა უკვე გამოსცა ახალი წიგნი. ეს წიგნი იმ ტრაგიკულ ქაოსზეა, რომელშიც განზრახ ჩაითრიეს საქართველო. ავტორის ამ ახალ ნაწარმოებში ჩადებულია ის ტრაგიკული გულისტკივილი და ამაყი სულისკვეთება, რაც ასე აახლოებს ქართველებს ისრაელის მოქალაქეებთან. იაკობ პაპიაშვილს უყვარს საქართველო და უყვარს ისრაელი. მის ნაწარმოებებში ჩანს ისრაელის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ღრმა ცოდნა. მწერლის პროზაში დიდი პოეზიაა – ზოგჯერ იგი ჰგავს შოფარის ხმას, როცა მელოდია მუსიკად კი არა, თრთოლვად გვევლინება და ეს ხმა გულის ყველაზე შორეულ სივრცეში აღწევს. რომანის გმირები არწმუნებენ მკითხველს, რომ ფრენა შეუძლია ისწავლოს ყველამ. საინტერესოა იაკობ პაპიაშვილის „მესხის“ მნიშვნელობის განმარტება შოთა რუსთაველის და გალაკტიონ ტაბიძის რამდენიმე სტროფის მიხედვით. ქართულ–ებრაულ ურთიერთობათა საფუძველზე – უძველესი დროიდან დღემდე, მას გამოქვეყნებული აქვს რიგი მეცნიერული ნაშრომები ენათმეცნიერების საკითხებზე.

იაკობ პაპიაშვილი არის გაზეთ „Новости недели„–ს და მისი დამატების „Еврейский камертон„–ის დიდი ხნის ავტორი, რომელთა ფურცლებზე მან გამოაქვეყნა ბევრი თავისი პუბლიცისტური ნაწარმოები.

მწერლისა და პუბლიცისტის 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით ისრაელის სახელმწიფოს მწერალთა კავშირების ფედერაციამ გაუგზავნა მას მილოცვა კეთილი სურვილებით, კეთილდღეობა, კარგი სულიერი განწყობილება, და რა თქმა უნდა, ახალი წიგნები.

ვთავაზობთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს ლიტერატორის ახალ ნარკვევს: „ბუხენვალდის სიმღერა“.

„Новости недели„–ს საგამომცემლო სახლი ულოცავს იაკობ პაპიაშვილს იუბილეს, უსურვებს მას ჯანმრთელობას, ბედნიერებას და შემოქმედებით დღეგრძელობას! („Время НН, 12. 4.2012, с. 10—11 и ЕК -11.9.2007. с. 18-19).

იაკობ პაპიაშვილის მრავალწახნაგოვანი შემოქმედებითი ნიჭის დამადასტურებელია 2014 წელს გამოცემული მისი ახალი წიგნი „იერუსალიმი–თბილისი“ (ეს არის ცნობილი ქართველი მწერლის რევაზ მიშველაძის ნოველების თარგმანი რუსულ და ებრაულ ენაზე). რუსული თარგმანი ეკუთვნის იაკობ პაპიაშვილს, ხოლო ებრაული თარგმანი შეასრულა იგორ შალმანმა.

ჩემი მოსაზრებით, ეს წიგნი „იერუსალიმი–თბილისი“ უნდა დაიდგას ჩვენს კინოსა და თეატრებში, რა თქმა უნდა, ეს იქნება მისი შინაარსის გამოსხივება ებრაულ სცენაზე, ეთნიკური საზოგადოებრივი აზრის თავმოყრის მიზნით. ამ წიგნს აქვს ნამდვილად დამსახურებული გამოძახილი: იგი უკვე დაცულია ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (Bevlin State Library – Prussian Cultural Hevitage).

და ბოლოს:

რამდენიმე სიტყვა მწერლის და პუბლიცისტის იაკობ პაპიაშვილის ახალ წიგნზე, რომლის სათაურად ავტორს გამოყენებული აქვს ფრაზა დავითის 123 ფსალმუნიდან: „ვით ჩიტი გაფრენილი დამჭერთა მახიდან“ – „ვით დამჭერთა მახიდან ზეცას გაჭრილი ჩიტი“. ანიჭებს რა „რუსულ ალიას“ დიდ მნიშვნელობას ისრაელის სახელმწიფოსათვის, შემდგენელი წიგნს ისევ ორ ენაზე გვთავაზობს – ივრითზე და რუსულზე. უნდა აღინიშნოს: ყველა პუბლიცისტური ნაწარმოები, პროზისაგან განსხვავებით, ავტორმა დაწერა ისრაელში რუსულ ენაზე და თითქმის ყველა გამოქვეყნებულია ისრაელში „Издательский дом „Новости недели„–ის გაზეთების ფურცლებზე – 1997–2015 წ. წ.

ის, ვინც კითხულობს იაკობ პაპიაშვილის წიგნს, შეიგრძნობს, რომ იგი მღელვარე ისტორიული მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება: იგი თვითმხილველია ამ ისტორიული მოვლენებისა, რევოლუციის მანქანის ქვეშ მოყოლილი ხალხთა ტრაგედიისა და აქედან გამომდინარე ჩვენც მოწმენი ვხდებით ქართველი და რუსი ხალხების ცხოვრებისეული ჭირ–ვარამისა, რაც გადაჯაჭვულია ებრაელების ჯერ კიედვ გაურკვეველ მდგომარეობასთან – ამ აბობოქრებულ ოკეანეში. პაპიაშვილი ჩვენს სმენას ამახვილებს იმ ხმებისათვის, რომელიც გვეგონა, რომ დავიწყებული იყო, გვეგონა, რომ აღარავის ახსოვს „დოლის ტყავის ქვეშ დაფარული ელდა, თავზარი“; მისი მოთხრობები გასაგებს ხდის გარდასულ ლეგენდებს, არეულ–დარეული ადამიანური ყოფიერების ფაქტებს და ეს უცნაური, ქარიშხლისებური ამბები გვიპყრობს, გვიტაცებს ჩვენ – გულგატეხილებს. მის ნაწარმოებებში ჭეშმარიტად ჩამალულია ებრაული სული, ის არაჩვეულებრივი მელოდია, რომელიც ებრაელთა ბედისა თუ უბედობის კვალს მისდევს უდაბნოში.

იაკობ პაპიაშვილი კარგი მწერალი და პუბლიცისტია, კარგი მთხრობელია, პროზაიკოსი – ბელეტრისტია, რომელსაც შეუძლია დაიპყროს მკითხველთა გული.

ჰერცელ ხაკაკი
ისრაელის ივრითულენოვანი მწერლების კავშირის თავმჯდომარე

დარეჯან სუმბაძე

დასაწყისის ლექსებიდან ზამთრის ღამემდე

დასაწყისის ლექსი

და ვიწყებ. რაკი დრო აღარ მაქვს არდავიწყების.
რაც იყო. უნდა ყოფილიყო. ანუ წავიდა.
ელოდებიან ამ ხმაურსაც როდის მიწყდება.
როგორც ჩურჩული. როგორც ათვლა თავისთავიდან:
რაღაც არასდროს მთავრდებოდეს. რაღაც პირიქით.
ფერფლადაც აღარ, ქარად რჩები, ისე იწვები.
რომ როგორც გზა და როგორც დღე და
როგორც ბილიკი.
დაიწყო. დრო. არ დაუტოვო დროს დავიწყების.

დაბრუნების ლექსი

კარგია. თუკი დაიღალე უნდა დაბრუნდე.
და როგორც ორი სიზმრის წყალი ერთად: მდინარე
გახდეს. და თუკი დაიღალე უნდა დაბრუნდე.
და ეს დღე. და ეს ნოემბერი. მზედამდინარი
იყოს ასეთი უჩვეულო. სითბოდაღვრილი.
რომ. რაც სულ მუდამ უნდა გწამდეს.
გახსოვდეს. გწამდეს.
ან კი რას უნდა შეადარო ეს სიყვარული.
ეს ბანალობა. ბევრადმეტი უბრალოდ სამზე.
მაგრამ დაბრუნდი და კარგია ამ შეღამებას
ანთებ ბუხარს თუ წყალს ერთბაშად ხანძარზე აფენ.
როგორც გამხმარფერს სიმწვანეზე. არ გენანება.
რაკი მარტივად მხატვრობაა: რაფერი რაფერს
შეერევა თუ ჩაანაცვლებს. ეს საიდუმლო.
ნოემბრის ფერთა შეხამება. აწონ-დაწონა.
რომ ეს დღეც ისე დაამსგავსოს უკვე ჩავლილებს

როგორც წასვლის და დაბრუნების ყველა განწყობა
თუ ერთი სიტყვით უნდა მეთქვა: მოლოდინია.
კარგია როცა დაიღალე და დაბრუნება
თავს არიდებდე თითქოს ფიქრებს. ასე ჟინიანს.
ჩალმად მოხვეულს უსაზიზღრეს აბლაბუდებად
მოიცილებს თუ მეუფებას გადააბარებს
ვიდრე დეკემბრად გაგრძელდება. ან კი როდემდე.
ყოფილიყავი ფოთოლი და ქარისამარა.
თითქოს ფეხდაფეხ კრეტინების ჯოგი მოგდევდეს.
და რომ გაფანტე ყველა ფიქრი. თავის საბურველს.
გაატანე და. ასე სუფთას და ასე მფეთქავს.
გახდის. რომ თუკი დაიღალე. უნდა დაბრუნდე.
და როგორც ორი სიზმრისწყალი: მდინარეს ერთად
ნიშნავდეს. ახდეს. როგორც სევდა და სიხარული.
ეზავებიან ფერებად და ფოთლებად ხეთა.

რისთვის უშვებენ სხეულიდან შვილებს. სიცოცხლეს.
რომ ცისკენ ხელებაპყრობილნი იდგნენ. ილოცონ:
ღმერთო. მშვიდობა დააყოლე ბედად სახლამდე.
ვიდრე ქარები ოკეანეს გადასანსლავდნენ.
ვიდრე ნიავის სუნთქვასავით დაიკარგება.
ეს მიწა. ეს ცა. უკარებნი. და ეს კარგები.
ვიდრე მრისხანე შფოთვების მომდენ
ქარისგან ზღვები დაილეოდნენ.
ღმერთო. მშვიდობას გააყოლე ფოთლის გუნდები.
ვიდრე მწვანედ და მონატრებად დაბრუნდებიან.

ნების ლექსი

იქნებ არც ისე შორია როცა
ერთად ცა მიწას გაამთლიანებს.
როცა ცა მიწას გაამთლიანებს.
თუ დაუჯერებ წესებს რიცხვების
ერთიშეხედვით სამართლიანებს.

რადგან არც შორი მოჩანს მსგავსება.
როცა დაკლების კიდე: ავსება
კანონ-ზომიერ. ნაწილ და ნაწილ
ცა მოწმენდილად ბროლდება აზრად
თუკი ცალკეულ მხარეებს ჩასწვდი.

კონა. და კონად შეკრული ღერო.
თითქოს უბრალოდ: გამეორება.
ღმერთო. რაც ასე დიდხანს გაწვალებს.
და შემთხვევითი ყველა მტკაველი
სულ გაახლოვებს რაღაც სასწაულს.
რასაც პოულობ. სადაც არ ელი.

რომ ნება. ნება-სურვილს მიებას.
რომ გადამდებად. უსაზღვაუროდ.
მოუცილებლად. ბგერად. ხმაურად.
რომ უცაბედმა სიტყვის სხივებმა
აზრიდან აზრში იმოგზაურონ.

თუ რაც აერთებს და ამთლიანებს
ადამიანებს. მისი განგება
ლაგდება. რაღაც შესაბამისი
შემთხვევითობის წესით. ლაგდება
აზრი. რომელიც მოიცავს წერტილს.
რაც უმცირესის ნებას განაგებს
რაც სხვა დანარჩენს ესადაგება
უმთავრესია და უფრო მეტი.

წყალივით (ჩაღვრილი ლექსი)

მას შემდეგ ბევრმა ჩაიარა მგზავრივით მთის ხევს.
როცა გულს გიშლის შუა მთიდან ალაზნის ველი.
ამ ცისთვის უნდა აიხედო. თუ გინდა მიხვდე
რა დარჩენიათ სიტყვებს. ფიქრებს შეულეველი
საფიქრალივით. ვერ შევძლებდი მუჭში დაჭერას.
წყალი წყალია. ბავშვობაა. თვალს და ხელს შუა
გაპარული და არეკლილი სხივად. ამჯერად
უეჭველია ვერ შევძლებდი მუჭში დაჭერას.
თითქოს ფიქრობ და. ფიქრი ნისლის თანმხლები თუა.
რამაც მოგვიცვა: მე-მეტყველა, შენ — დაგეჯერა.
ან გეთქვა: როგორ შემძლებოდა მუჭში დაჭერა.
არ გამქრობოდა. როგორც წყალი დამრე -ცისაკენ.
როგორც ბავშვობა ფიქრებს შორის: ქადის ნაჭერი.
იმ უტკბილესის. სააღდგომო კვერს რომ აცხობდა
მოსაგონად და მოსაკითხად ბებო. დაჭრიდა
მერე ოჯახის უხუცესი მამათაგანი.
თითქოს მითის და რეალობის ერთად განწყობა.
თითქოს ნათლის და გაურკვევლის ერთად დაწყობა.
შენთვის კუთვნილი. როგორც ქადის ერთი ნაჭერი.
ამ დღისთვის. რასაც თონისპირზე ვინმე აცხობდა
მერე და მერეც. მათ გარეშეც. როცა გაძელი
მაინც. მათ შორის: ბევრ უცხოს და ცოტა ნაცნობთა.
რომლებიც დღითი დღე თანდათან დათითოკაცდნენ.
გზაზე თვალისწინ შეხვედრილი თითქოს გამვლელი
მოფარებული ველისპირზე მიკარგულ წრომებს.
რასაც გზადაგზა და შემთხვევით ყურს
მოვკრავთ ხოლმე.
რაღათქმაუნდა: როგორშევძლებთ მუჭში დაჭერას.
ამ გაელვების. ამჯერად. და მუდამ. სხვაჯერაც.
ხელის გულებში შემომქრალი წყლისა და საგზლის.
რომ ცივი მთიდან. შუა მთიდან. ზღაპრული მთიდან
ყველა ბავშვობა ბრუნდებოდეს ოდესმე ამ გზით.

სულ ერთი არჩევანის ლექსი

ეს გაზაფხული სულერთია. როცა ბრუნდება.
ფიქრის დინება გადასული აზრს და კალაპოტს.
როცა ბრუნდები. ცასთან წვანან ხოდაბუნები.
ვუყურებ. მხიბლავს. ლექსად ვფიქრობ.
ანუ გღალატობ.
მოგვიანებით მეტყვი (ისევ ხომ დაბრუნდები)
ყველა ვღალატობთ ჩვეულებებს ბოლოს და ბოლოს.
და დანარჩენი პასუხია, ხოდა, ბუნების.
შესაბამისი. პასუხია მხოლოდ და მხოლოდ.

გარეთ რჩებიან უსულგულოდ. ქარი თარეშობს.
მიწის აბრეშუმს ენავება ქვეშაგებად და
მტვრისფერად მიქცევს უსპეტაკეს მიწას. აბრეშუმს.
გული ქონოდათ. ეს მცდელობა ქვებს დაგეშავდა.
არაფერია ერთაზროვნად. მით უფრო თუკი
მათ უარესი. თუ რჩებიან განცდის გარეშე.
თუ კი არ მოაქვს. მასაც აქრობს. რაც მათ ებადათ.
რაკი რჩებიან. ქარია და. რაკი თარეშობს.

რაც უსიტყვოდაც ნათელია და გადამდები
ამ სუსხის დარად. რაც არასდროს თითქმის
მთავრდება.
თუ ვერ იქნები ვერასოდეს სხვისი თავდები.
მით უფრო მათი. ვინც მოელის გაუთავებლად.
რაც. როგორგითხრა. ამ მტვერივით გადამდებია.
ხეები ძარღვებნაზამთრალი. სულ დაზაფრული
ხომ სულ ერთია ამისმერე როგორ კვდებიან.
კვირტის ნაღმზე თუ უგაზაფხულოდ.

და დანარჩენიც პასუხია რაკი ბუნების.
მისი დინების. გადარჩენის მასში უვნებლად.

ლექსი მიწაზე

1.

რაღაც არ იყო ყველაფერი გვერდით და რიგზე.
ერთი შეხედვით. უთბილესი წამები წამებს
(მოყვარულივით მეგობრები. მკვეთრი მზერები.
კაკანათები. დღე ნათევი) ვიდრე გრძელ ღამედ
გადააქცევდნენ. ყველაფერი გვერდით ან რიგზე.
მზრუნველობებით. მონატრებით. რაკი არ ეყო
ძალა. გარბოდა. მართალია. სულ მუდამ მისგან.
რაც მუჭით. ბოლოს. მაინც სულ თან უნდა წაეღო.
რასაც სულ მუდამ გაურბიან. სული ტკბილია.
ასე ამბობენ. სული მისით ცდებათ ავსულებს.
კაცმა არ იცის. როცა მასში რა ნაწილია.
რის გამოც მუდამ ბრუნდებიან. ცამდე ასულებს
როგორ აბრუნებს. ინაწილებს მკვეთრი სიღრმისკენ.
რაც მართალია. ისიც მუდამ ამას ფიქრობდა:
კი. მართალია. მე გავრბოდი სულ მუდამ მისგან,
რაც დაშაშრული ხელისგულით თანაც მიმქონდა.

2.

და მერე გზები იზრდებოდნენ. და უფრო ჩქარა.
მოჩვენებითი ამინ(!)დების გაბმული რემა
მიჰქროდა სადღაც. -მოუთქმელად სულ-. მთლად. აშ-
კარად.
და რაკი გზები იზრდებოდნენ მით უფრო ჩქარა.
და რაკი დღე და. რაკი გზა და. რაკი გონება
ვერ აუგია: ან რას ელტვის. ან რას დაეძებს.
იქცევა ხოლმე სიყვარულის დაკანონებად.
რასაც ვერაფრით მოიხელთებ. უნდა გაექცე
რასაც იკუთვნებ სამუდამოდ.
დღეების ფარა
მერე უსწრებდა ოკეანის უცხო ნაპირთან.
და რაკი ასე დაიბრა: გულზე ეყარა.
ბოლოსდაბოლოს! ერთი პეშვი მეტად არ ღირდა.
ამით წყურვილსაც ვერ მოიკლავ. ფიქრობდა უცხო.
კუბოს თავსახურს უსწორებდა მოხუც მეგობარს.
ყველგან ისაა. რა ძალაა. ჩემი თუ სხვისი.
ყველგან მიწაა. მეგობარო. ყველას გვეყოფა.
ეს გავდა სისხამს. ზამთრის მოკლე დილის ჩვენებას.
სინათლის გზებით მოთარეშე. ძალაგამწყდარი.
ქროდა. ქრებოდა მინავლული ლტოლვა და ვნება.
ციოდა გარეთ. წრიალებდა ძილში ზამთარი.

წყაროზე

ქალები. ჭურჭელი. წყალი.

აქ ნიავია. ჯერ ვერ იტყვი დიდი ხნის მერე
რას გამოარჩევს. რას დატოვებს მათი ხმებიდან.
რას დაიქადნის. შეერევა სუსხი სიმღერად.
სიტყვა წყალს. როცა წყაროსაკენ მიუყვებიან
და თანაც, ქალებს რა დაულევს სალაპარაკოს.
ბალახზე ფენენ გულჭრელ თავშალს. მშვიდად სხდე-
ბიან.
შემოხსნან პირი. სურას პირი. ალაპარაკონ
ამ მთის ამბავი იმ მთისასთან. გადამდებია
ქარივით. რაკი მიმოაქცევს. ტალღებს. აჯერებს.
რომ ნამდვილია ეს დღეც ისე. როგორც საერთო
აკრავთ ჰაერი. ერთმანეთი. ზეცის ნაჭერი
თავზე ახურავთ. მადლობაღმერთს. უერთმანეთოს
არ იტოვებენ. არ რჩებიან წყაროსთან ვალში.
მისით ავსებენ ყელწვრილ სურებს.
რაც რჩება მხოლოდ
ნიავი. ვიდრე ქარად აქცევს ცასავით წაშლილ
გულჭრელ თავშალზე დასხდნენ. გული გადააყოლონ:

რაკი მის მხარზე. ცა-თლილმხარზე ვერცხლის
სურა ვარ
ეს ამბავია. სიკეთეა. ყელიც მეღეროს.
ვიყო ცის ახლოს. წყაროს ახლოს. ლერწმის სტუმარი.
ვერც მის. რაც მალე უნდა დადგეს. ჩემი ნამღერი
იქნება მეტი ამო სუნთქვა. წმინდა. კამკამა.
და როცა სული ამევსება ცის მხართან ახლოს
ღმერთო, ეს ფეთქვა. მღელვარება კიდეც მაკმარე.
ღმერთო, შემინდე. შენს ნიავში შემომასახლო.
რომ ნამდვილია ეს დღეც ისე. რაკი საერთო
გვაკრავს ჰაერი. ერთმანეთი. წყაროს დინება.
რომ ნამდვილია ეს დღეც ისე. ეს ერთმანეთით
ხელჩაკიდული. მათი ყოფნაც. გადმოდინებაც.
და ვიდრე ცისკენ სამუდამო დაღამებამდე.
სულმოუთქმელად ყველასიზმრის ერთადნახვამდე.
ისმინო ჩემი. სავსესურის. ჩემი სიმღერა
დამცლიდნენ ვიდრე. მარნისჩრდილში შემინახავდნენ:

როცა სხეული მღელვარეა ყველაზე უფრო.
ვართ ერთმანეთით გაჯერება. ჩვენით ავსებენ
ჭურჭელს და ჰაერს. და ღმერთთანაც
ისე ვსაუბრობთ.
სიტყვა წყალია. ვიდრე მიწას დაგვამსგავსებდნენ.
ვიდრე დაღვრილებს შეგვისისხლებს
მწყურვალი მიწა.
სიტყვა წყალია. როგორ ვწუხვართ. როგორ ვეტევით.
როგორ ვაღელვებთ. თითქოს ტერფებს
ცეცხლი გვიწვავდეს.
თითქოს ვერ გვეთქვას სული სურის გადამეტებით.
როგორ გვაღელვებს რაღაც. უფრო სულმოუთქმელი.
როცა მის ხელში სურისყელში სიმღერას ვნიშნავთ.
გულმოწყალეა მისი ძალა. უფრო უთქმელიც.
რაც მონაცვლეობს. რაც გვაერთებს სიცოცხლის
ნიშნად.
ნიშნად სიმღერის. ლერწამივით ცისკენ აღერილ
რომ ვერ დატიე თვალისჩინად. მოგადგა ცრემლად.
ისმინე, ღმერთო, წყალი. ჩემი სულის ნამღერი.
ვიდრე დამღვრიდე. ვიდრე მიწად გადამაქცევდე.

მებადური ლექსი

აგვისტო. ბადე. თევზი

1.

ან რა მოგიყვე. აქ ერთბაშად დაშემოდგომდა.
ჩრდილი ერევა ნათელს. იტყვი. არც კი არსებობს.
შენ რომ თავს ასე გარიდებდა. და შენ რომ გგმობდა.
ან რა მოგიყვე. თუ ერთბაშად დაშემოდგომდა.
თუმცა აგვისტო ეს-ესაა დადგა.
ასე რომ:
გარეთ სუსხია. სიცივეა. იასამანი
ჩვეულებრივად ყვავის ხოლმე როცა. ასეთ დროს.
თუმცა ეს სხვაა. ამ ეჭვის ქვეშ თხელი საბანი
ჰაეროვანი. სუნთქვას მიხშობს. როცა არსებობს.
მე ნაზად ვკვდები. მოკლედ: უფრო ჩვეულებრივად
ჰგავს იასამნის ყვავილობის დროს.
და მსგავსება
ერთი შეხედვით. გამორიცხავს. ჩვეულ ლიბრიდან
ხდება ნათელი. რა თქმა უნდა, თუკი ასეთად
ჩათვლი. თვალს ახელ. გეხილება რაც არ არსებობს
ყვები. გელევა ამო სუნთქვად. მაგრამ სავსეა.

აქ აგვისტოს თვის ამინდია შეუსაბამო.
ვამბობდი. ასეთ ამინდებში სურნელი აკმევს
ასეთ დროს ყვავის ხოლმე მეთქი იასამანი.
ან უცაბედი ანარეკლი სარკიდან სარკმელს
ისე მსგავსად და განმსგავსებულს. თავს
უყრის განცდებს
და ისე ნაზად. ყვავილობის თხელი საბანი
იყრება. ავსებს სულის კიდეს. ბეღურა საკენკს.
ეფინება და ყვავილობას სურნელი აკმევს
და მოჰგავს ამინდს
როცა ყვავის იასამანი.
ან ეს-ესაა. იტყვი. როცა უნდა აყვავდეს.
თუმცა ჩრდილია. და საკუთარს სად გაექცევი.
რომ გაბრუნებდეს რეალობას. რომ გაკავებდეს.
უნამდვილესში გაგბლანდავდეს და საცეცებში.
თუმცა და რაკი აგვისტოა. ჩრდილი გელევა.
თითქოს სულია. თითქოს ზღვაა. აღარღელავდე.

მაგრამ და რაკი უდაოა. რომ ასე მოკვდე.
რაც მართალია სხვებსაც კარგად ემახსოვრებათ
მერე. რომ არცთუ სავალია გრძელი ან მოკლე.
არამედ ზუსტად მხოლოდ შენი.
ზუსტად ცხოვრება.
რაც უეჭველად გეკუთვნოდა მხოლოდ და მხოლოდ.
შენი ხელწერა. დროის ბრენდი. წუხილს უმატებს.
რომ აგვისტოს თვის ლამისაა გადააყოლოს.
ასეთი ნაზი სიკვდილისთვის ხომ მითუმეტეს
ალბათ და ღირდა. რაკი ღირდა უფრო ცხოვრება.
შენი ხელ-წერა. დროის კლება. წუხილს უმეტესს
მართალი ცაა. მერე კარგად და -სამახსოვროდ.
მერე და მერე ხომ მითუმეტეს.

და აგვისტოა. ამინდია გვიან გაზაფხულს
უფრო სჩვევია ამინდები აი, ასეთი.
თითქოს ტოვებდე რამე ჩავლილს. რამე ნაზამთრალს.
თითქოს ერთგვარი დაშორება. უფრო მსგავსება
იყოს მათ შორის.
მაგრამ რაკი დღეა უჩრდილო.
და მაგრამ რაკი აგვისტოა ხომ მითუმეტეს.
ღმერთიც თუ გაწყრა. ან კი ვიღას უნდა შესჩივლო.
რომ მზე თუ გაქ რა. უფრო ადრე. მით უფრო მერე
სანამ ცის კარი გაიხსნება. რომ ყველა კარი.
სანამ უბრალოდ ცის გახსნამდე. გაწვიმებამდე.
და რომ შენამდე სულ ერთია. თუნდაც ჩამქრალი
დღეც. სიცოცხლეო, რაკი მქონდი. რაკი მებადე.

2.

რაკი მე ბადე. გამახსენე. უნდა მოგიყვე.
ჩვენ ყოველ სისხამს ვუყვებოდით ზღვის პირს.
და ბადეს
სწორედ იქ ვშლიდით. სადაც ფსკერი გუბეს მოიყრის.
და სადაც რამე უჩვეულო ივანებს. ადრე
იქნებ უბრალოდ ვერ ვხვდებოდით. უბრალოდ ფიქრი
ან ყურად -ღება. გულის წუხილს სადმე მიჰქონდა
გულს ვერ ვუდებდით. სათქმელია. ვთქვათ და. ან იქნებ
კიდეც ამ გზასაც უყვებოდა ვინმე. ფიქრობდა.
მაგრამ რადგანაც მოიტანა სიტყვამ. გიყვები.
რა მღელვარებით ვუყვებოდით ყოველ იმ სისხამ
ზღვის. პირს და ბადეს სადაც ვშლიდით.
სწორედ იქ ვშლიდით.
თითქოს ღმერთი და სასწაულიც მადლს სადაც
ისხამს.
და ასე: ყურთან მოყოლილი მისი მადლიდან.
ჩემი ხელიდან მოსხმარტალე სიცოცხლე ბადეს
აღწევდა შენი წიაღისკენ სიტყვებს ავდრიანს
თავს. ვმადლობდით ღმერთს. რაკი გვქონდი.
რაკი გვებადე.

3.

და შენ რომელიც უფრო ადრე მოხვედი ჩემთან.
ვიდრე შეგრძნებას დაგარქმევდი სიტყვას სახელად.
ვიდრე უბრალოდ ბაგის პირად აგიჩემებდი.
ვიდრე ამო თქმა. როგორც დილის თვალის გახელა
ხორცს შეისხამდა.
რომ პეშვიდან წყლისკენ სხმარტალით
გამქრალიყავი. მას შემდეგ. რაც შევკრავდით
ბადეს.
რომ ისე ძნელი ყოფილიყო ტყუილ-მართალი
გამო ერჩიათ. მიეტოლათ. მიესადაგათ.
და რაკი სხვათა შორის ადრე მოხვედი. რადგან
სხვა ყველა სიტყვა. ყველა ფერი. ყველა მსგავსება.
მოგესადაგა. მოგეტმასნა. გამოგედარა.
და რაკი. სხვათა შორის მეტად მოხვედი რადგან.
და თანაც მოსვლა გავდა პეშვის ცამდე ავ სებას.
და მისხლტებოდა ყველა სიტყვა მანამდე რაკი
ყველა პეშვიდან. ყველა თევზო, შენკენ შენში. მე
მოვყევი ნაპირს. რაც ჩვენამდე ლაპარაკობდა.
რომ მე, სიცოცხლე, გბადებოდი. გადამერჩინე.

რევაზ ხვედელიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ივან ფრანკო

(გარდაცვალების ასი წლისთავი)

ფრანკოს მხატვრულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა ქმნის მთელ ეპოქას უკრაინულ ლიტერატურასა და ფილოსოფიურ აზროვნებაში. თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობით ის არის ჭეშმარიტად მსოფლიო მასშტაბის ხელოვანი, ენციკლოპედიური ცოდნის ინტელიგენტი, დიდი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ლიტერატურის თეორეტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, ეკონომისტი. ასეთი ფართო დიაპაზონის ერუდიტი აღორძინების ხანის შემდეგ იშვიათად ახსოვს ჰუმანიტარულ აზროვნებას. რაც შეეხება უკრაინულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას მის ნებისმიერ დარგში ფრანკოს აქვს შეუვალი ავტორიტეტი და მისი აზრი ყველგან უტყუარ არგუმენტად მიიჩნევა დღესაც. ფრანკომ პირველმა შექმნა მსოფლიო ლიტერატურაში რეალისტური სურათები კლასობრივი ბრძოლისა, ხოლო ბურჟუაზიული სინამდვილის მართალი წარმოსახვით მიაღწია იმ დროისათვის უცნობ სიმაღლეს უკრაინულსა და მსოფლიო ლიტერატურაში.

ფრანკო მთელი სიცოცხლე მოღვაწეობდა როგორც მთარგმნელი. მან მრავალი მხატვრული შედევრი შესძინა უკრაინულ ლიტერატურას ძველი აღმოსავლური, ანტიკური, საშუალო საუკუნეების, აღორძინების ხანისა და XIX-XX საუკუნეების ლიტერატურის საგანძურიდან. მან თარგმნაბევრი ისეთინაწარმოებიც მსოფლიო პოეზიის საუფლოდან, რომელსაც მანამდე არც უკრაინელი და სლავიანური სამყაროს არც ერთი ხალხის პოეტური მუზა არ შეხებია. ფრანკომ ფაქტობრივად შექმნა ანთოლოგიები ძველი ბერძნული, ძველი არაბული, ძველი ინდური, ძველი რომაული პოეზიისა, თარგმნა მრავალი ქვეყნის ხალხური სიმღერები,ლეგენდები რომანსები, ბალადები. თარგმანების აბსოლუტურ უმეტესობას მან დაურთო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კომენტარი, ხოლო ბევრ ლიტერატურულ ძეგლზე შესანიშნავი გამოკვლევა დაწერა.

ფრანკომ ახალი ეტაპი შექმნა უკრაინული კრიტიკული და ესთეტიკური აზრის ისტორიაში, ახალი ისტორიული ვითარება მეცნიერული სოციალიზმის იდეებით შეავსო და დაასაბუთა ლიტერატურული პროცესის მჭიდრო კავშირი საზოგადოების ეკონომიურსა და სოციალურ პირობებთან. ფრანკო იყო ორიგინალური მკვლევარი უკრაინული ლიტერატურის ისტორიისა. მისი „ნარკვევები უკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან 1830 წლამდე“, „უკრაინული ლიტერატურის ისტორია„წარმოადგენს პირველ ღრმად მეცნიერულ შრომებს უკრაინულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

***

ივან ფრანკო დაიბადა 1856 წელს გალიციაში, დრაგობიჩის მაზრის სოფელ ნაგუევიჩში, მჭედლის ოჯახში. სწავლობდა დრაგობიჩის გერმანულ სკოლაში. აქედან ისგადაიყვანეს დრაგობიჩის გიმნაზიაში. 1865 წელს ცხრა წლისას მამა გარდაეცვალა. . 16 წლის ფრანკოს დედაც გარდაეცვალა და შერჩა მარტო ცხოვრებას. გიმნაზიის წლებში იწყება მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. მან ორიგინალში წაიკითხა ევროპელი კლასიკოსები. ფრანკო სკოლაში მორცხვი ბავშვი იყო, ათვალწუნებული თავისი სოციალური წარმოშობის გამო, მაგრამ გამოცდებზე მან ყველას აჯობა. ასე მოხდა გიმნაზიაშიც. გამოცდების შემდეგ ის უცბად გახდა პირველი გიმნაზიელი. ეს ადგილი მას აღარ დაუთმია გიმნაზიის დამთავრებამდე, თუმცა დიდად არ უყვარდა სასკოლო მეცნიერება და საგნების ზუთხვა, მაგრამ ბავშვი „სრულად ჩაყლაპა“ კითხვამ, უფროს კლასებში ის „სიცხიანივით ეცა“ შექსპირს, შილერს, გოეთეს, კლიპშტოკს, კრასიცკის, კოცებუს, მიცკევიჩს. განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა მასზე სოფოკლეს, ჰომეროსს, ტაციტუსსა და ბიბლიას. გიმნაზიისწლებში წერს უკრაინულ ენაზე მოთხრობას „მერცხლის აღწერა“, პოლონურად დრამას „იუგურტა“, გერმანულად დრამატულ სცენებს „რომული და რემი“. პარალელურად თარგმნის ბერძნულსა და რომაულ პოეზიას. . 1875 წელს დაამთავრა გიმნაზია და შევიდა ლვოვის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ამ დროს მის პოეტურ საგანძურში უკვე არის სატრფიალო ლექსები, დრამები, პოემები, მაგრამ ძირითადი მაინც იყო თარგმანები: სოფოკლეს „ანტიგონე“, „ელექტრა“, ჰომეროსის „ოდისეას“ დიდი ნაწილი, გუცკოვის „ურიელ და აკოსტა“. იშვიათად იპოვით დიდ ხელოვანთაგან ისეთს, რომელსაც ამდენი რამ გაეკეთებინოს სტუდენტობის წლებში. ნებისმიერ პრობლემას, რომელიც ფრანკოს მხატვრულად უნდა წარმოესახა, „ცეცხლივით მოედებოდა“. მუშაობდა შეუსვენებლად, შედეგი თვალსაჩინო იყო. 1874 წლიდან ჟურნალ „დრუგში“ ბეჭდავს ორიგინალურ ლექსებს და ხდება მისი მუდმივი ავტორი. უნივერსიტეტმა იმედი გაუცრუა ცოდნას მოწყურებულ ახალგაზრდას, ამიტომ დაეწაფა თვითგანვითარებას. დიდ ინტერესს იჩენს ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და სოციალური მეცნიერებისადმი. ამ პერიოდს ემთხვევა მისი ბრძოლა მოსკვოფილებთან. 60-იანი წლების ბოლოს ინტელიგენციაში დაიწყო კამათი, გალიციელები დამოუკიდებელი ხალხი იყო, თუ რუსეთის ნაწილი, მათი ენა ცალკე ენაა, თუ ველიკორუსულის დიალექტი? ამ კამათმა საზოგადოება გაყო მოსკვოფილებად და ნაროდოვოლცებად. მოსკვოფილებს სურდათ ეწერათ პუშკინის ენით. ნაროდოვოლცებს კი მიაჩნდათ, რომ გალიცელები განსხვავდებოდნენ რუსებისგანაც და უკრაინელებისგანაც. მათი აზრით, გალიციის სალიტერატურო ენა უნდა ყოფილიყო უკრაინული, რუსულისა და ძველი სლავურის კონგლომერატი. ასეთ ვითარებაში ჟურნალ „დრუგის“ „წონიანმა თანამშრომლებმა“ ხელოვნურ ენაზე დაიწყეს ფრანკოს ნაწარმოებთა გადაკეთება. ფრანკო მათ წინაღმდეგ უკომპრომისო ბრძოლით მალე მოექცა გალიციის ახალგაზრდა ინტელიგენტთა სათავეში. ის კატეგორიულად მოითხოვდა ლიტერატურაში რეალისტურობის, ხალხურობისა და დემოკრატიულ ფასეულობათა დამკვიდრებას. მწვავე ბრძოლის შედეგად ფრანკომ დაამხო მოსკვოფილების ბატონობა. 1876 წელს აკადემიური ჯგუფის მიერ გამოცემული ალმანახ„დნესტრიანკას„ენა უკვე იყო უკრაინული სასაუბრო ენა. ეს იყო ფრანკო-სტუდენტის დიდი გამარჯვება, რასაც მოჰყვა მოსკვოფილების უსაზღვრო გააფთრება. ჟურნალი „დრუგი“ დატოვა ყველამ, რადგან ვითარება ისე დამძიმდა, რომ მკითხველს წიგნის წაკითხვაც კი ციხეს უქადდა. ფრანკო პოლიტიკურ დამნაშავედ ცნეს და მიზეზს ეძებდნენ მის დასაპატიმრებლად. 1877 წელს ლვოვში ჩამოვიდა პოლონელ სტუდენტთა დიდი ჯგუფი, რომელმაც აკრძალული ლიტერატურის დიდი პარტია ჩამოიტანა ჟენევიდან პეტერბურგში გასაგზავნად. ჯგუფი დააპატიმრეს. ერთ სტუდენტს აღმოუჩინეს ფრანკოსთვის გამოგზავნილი დრაგომანოვის წერილი, რაც გახდა საბაბი მისი დაპატიმრებისა. ფრანკო ცხრა თვე იჯდა ციხის კამერაში ქურდებთან და მაწანწალებთან ერთად. ციხიდან გამოსული ავადმყოფი პოეტი პოლიციის აგენტის თანხლებით გაუშვეს თავის სოფელში, გზაში მოხვდა წვიმაში, გაცივდა, იწვა თავის სახლში. ავადმყოფმა დაწერა მოთხრობა „ფსკერზე“, სადაც ასახა საპატიმროს რეალობა. შემდეგ წავიდა კოლომიაში, იქ იცხოვრა სამი დღე სამი ცენტით, რომელიც იპოვა მდინარე პრუტის ნაპირზე, სილაში. ესეც რომ აღარ ჰქონდა, ჩაიკეტა ოთახში სიცხიანი და ელოდა სიკვდილს. დღენახევრის შემდეგ ის იპოვა ერთმა ნაცნობმა, წაიყვანა თავის სოფელში, სადაც რამდენიმე კვირა გაატარა.

ლიტერატურულმა საზოგადოებამ ზურგი შეაქცია ფრანკოს, როგორც კეთროვანს. პოეტი ფარხმალს არ ყრის, ისმენს ლექციებს უნივერსიტეტში და პავლიკთან ერთად გამოსცემს ჟურნალს „გრომადსკი დრუგ“. მოსკოფილურმა პრესამ მოითხოვა არა მარტო ჟურნალის, არამედ ფრანკოსათვის ყოველგვარი გამოცემის აკრძალვა. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ ფრანკომ ისევ მოიპოვა ბეჭდური ორგანოს გამოცემის უფლება და გამოსცა კრებული „დზვინ,“ სადაც დაბეჭდა ლექსი „კამენიარი“ (ქვისმტეხელნი“), რომელშიც შექმნა კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლ მამაც ადამიანთა პოეტური სახე. ისინი უროებით ურტყამენ გრანიტის კლდეს, რომელიც ძველი სამყაროს სიმბოლოა. მათი ბრძოლა კაცობრიობის გარდაქმნისთვის ბრძოლაა. კამენიარებს არ აშინებთ არც ქარიშხალი, არც ყინვა, არც თანამებრძოლთა დაღუპვა, არც მტერი და ერთ მუშტად შეკრულნი გამუდმებით სცემენ კლდეს, რათა თავისუფლება და სამართლიანობა დაამყარონ. გამოცემათა რევოლუციურ-დემოკრატიულმა შინაარსმა რეაქციონერთა პანიკური შიში გამოიწვია. ლიტერატურული საზოგადოება შეეცადა მის იგნორირებას, ჟურნალმა „ზორიამ“ უარი თქვა მისი მოთხრობების დაბეჭდვაზე. 1880 წელს ფრანკო მეორედ დააპატიმრეს გლეხებში აჯანყების პროპაგანდის საბაბით და სამი თვე გაატარებინეს ციხეში. 1881 წელს ფრანკომ გამოსცა ჟურნალ „სვიტ“. იქ დაბეჭდილ მის მოთხრობებს ეტყობა ხელი ჭეშმარიტი მხატვრისა. ისინი გამოირჩევიან სიმართლით, უბრალო ადამიანების მიმართ დიდი სითბოთი და სურათის კოლორიტულობით.

1887 წელს ფრანკომ გამოსცა ხუთასგვერდიანი კრებული ლექსებისა „მწვერვალებიდან და ფსკერიდან“, სადაც ავტორი, პირველ ყოვლისა, ჩანს როგორც მიწისა და ცის პოეტი. შევჩენკოს „კობზარის“ შემდეგ ფრანკოს კრებული იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი უკრაინული ლიტერატურისა. ეს კრებული სერიოზული განაცხადი იყო ახალგაზრდა ხელოვანისა დიდ პოეზიაში. ესაა ფრანკოს პირველი ცდა რეალურ, ცოცხალ ფაქტებზე დაფუძნებული რეალისტური ფორმებით შექმნილი პოეზიისა. ის თვლიდა, რომ ცხოვრების ზღვაში პოეტი - ხელოვანი უნდა იყოს მესაჭე, სწამდეს ხალხისა და მასში გზამკვლევს ხედავდეს. მხოლოდ ამით შეიძლება გამართლება პოეტის მოღვაწეობისა.

1889 წელს ფრანკომ სტუდენტებთან მათთან ერთად იმოგზაურა კარპატების მთებში,სადაც პოლიციამ უკვე მესამედ დააპატიმრა. . ციხეში დაწერა მანრამდენიმე მოთხრობა და ციკლები ლექსებისა „საპატიმროს სონეტები“ და „თავისუფლების სონეტები“.

1892 წელს ფრანკო გაემგზავრა ავსტრიაში, ვიდენის უნივერსიტეტში, სადაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ვარლაამი და იოდასაფი შუა საუკუნეების ქრისტიანული რომანი“. ამის შემდეგ მას ლვოვის უნივერსიტეტში პროფესორის ადგილი უნდადაეკავებინა. წაიკითხა საცდელი ლექცია შევჩენკოს პოემა „გამდელის“ შესახებ. საპროფესორო კოლეგიამ ფრანკო აირჩია კიდეც, მაგრამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ თანამდებობაზე არ დაამტკიცა.1896 წელს ფრანკომ გამოსცა პოეტური კრებული „დამჭკნარი ფოთლები“. ეს კრებული ადამიანის შინაგანი სამყაროს გამომხატველი ლირიკული დრამაა, რომლის სამი ნაწილი შეესაბამება გმირის სულიერი განცდის სამ მთავარ პერიოდს. მე-19 საუკუნის 90-იანი წლების უკრაინაში ხელოვანთა მოდერნისტული აზრები გარკვეულ სისტემად ჩამოყალიბებას იწყებს. ამ კრებულით ფრანკო ფართოდ გამოეხმაურა ახალ ხელოვნებას და თავისი მაღალიპოეტური სიტყვაც თქვა. საზოგადოებამ ძნელად ირწმუნა მებრძოლი რეალისტის ახალ ამპლუაში ხილვა , მაგრამ ეს ფაქტი იყო. ავტორმა თვით უარყო ახალ ხელოვნებასთან მიმართება, მაგრამ მისი არგუმენტი საზოგადოებაში ამ წიგნზე აზრს არ ცვლიდა. ზოგი კრიტიკოსისთვის ეს კრებული რევოლუციური იდეებიდან ინტიმური განცდების სფეროში გადასვლას მოასწავებდა.ზოგმა ამ კრებულით ფრანკო პესიმისტადაც კი მონათლა, რასაც საფუძველი, ცხადია, ჰქონდა.

1898 წელს ფრანკომ გამოსცა ლექსების ახალი კრებული „ჩემი იზმარაგდი“. იზმარაგდი ძველი რუსული კრებულია, რომელმაც მისცა ფრანკოს მდიდარი მასალა, დაფიქრებულიყო ყოფიერების პრობლემებზე. უმეტესი ნაწილი კრებულში დაბეჭდილი ლექსებისა არის მორალური და ზოგადფილოსოფიური განსჯა კეთილსა და ბოროტზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, ერთგულებაზე, საზოგადოებასა და პიროვნებაზე და საერთოდ ადამიანის ცხოვრების არსზე. ლირიკის თემისა და მოტივების შეცვლამ განსაზღვრა კრებულის ჟანრობრივი სახესხვაობანი. პოეზია აქ ძირითადად მედიტაციებია, მოკლე, აფორისტული ლექსები, იგავები, ლეგენდები. ლირიკულ ლექსებში არც თუ იშვიათია ეპიკური ელემენტები დაგანზოგადებული ხალხური სიბრძნე.

ფრანკოს სხვა პოეტურ კრებულებშიც ბევრია ინტიმური ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშები. ფრანკოს პოზიცია მებრძოლი ჰუმანისტის პოზიციაა. „ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, - წერდა ის, - სენტიმენტალური ლაყბობა კი არაა, რომლითაც ხალხის ღალატს ჩქმალავს, არამედ მშრომელი კაცის ინტერესების თავდადებული სამსახურია. მე შემიძლია ჩუმად ვწყევლიდე ჩემს ბედს, რომელმაც ჩემს მხრებზე შეაგდო ეს ტვირთი. მისი მოშორება არ ძალმიძს, არც სხვა სამშობლოს ძებნა მსურს და, თუ რაიმე მიმსუბუქებს ამ ტვირთს, ეს უკრაინელი ხალხია, დაბეჩავებული მრავალი საუკუნის მანძილზე ჩაძირული სიბნელესა და უვიცობაში, ახლა ღატაკი, უუფლებო და დადუმებული თანდათანობით თავს მაღლა სწევს, უჩნდება სინათლის, სიმართლის, სამართლიანობის წყურვილი და ეძებს მასთან მიმავალ გზებს“. პოლემიკური სტატიების გამო პოლონურმა და გალიციურმა საზოგადოებამ ასეთი ხელოვანი ანტიპატრიოტად გამოაცხადა და კრიტიკის ლაფში ამოსვარა. მწერალმა მძიმედ განიცადა დაუმსახურებელი ლანძღვა. ფრანკოს დასაცავად წერილი დაწერა ოსიპ მაკოვეიმ. მას მხარში ამოუდგნენ პოლონელი სტუდენტები. მათ პროტესტის მასალები აკინძეს და წიგნად გამოსცეს.

1905 წელს ფრანკო პრაღის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, ხოლო დაბადებიდან 50 წლის თავზე ხარკოვის უნივერსიტეტმა მას რუსული სიტყვიერების საპატიო დოქტორობა მიანიჭა. 1908 წელს ფრანკო მძიმედ გახდა ავად და სამკურნალოდ გაემგზავრა ხორვატიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფრანკოს არც დიდება აკლდა და არც პატივი, მატერიალურად მაინც ყოველთვის უჭირდა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები ტრაგიკული იყო პოეტისათვის. შვილი პირველ მსოფლიო ომში იყო გაწვეული, მეუღლე მძიმედ სნეული საავადმყოფოში იწვა. ის მაინც თავდაუზოგავად მუშაობდა.1914 წელს თარგმნა პუშკინის „ბორის გოდუნოვი“, „მოცარტი და სალიერი“ „ქვის სტუმარი„და ოსტროვსკის დრამები. თარგმნიდა ასევე ძველი ბერძნულიდან, ლათინურიდან, დაამთავრა ფუნდამენტალური მეცნიერული გამოკვლევა დანტე ალიგიერის შესახებ, ასევე უკრაინული ხალხური სიმღერისა და ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ. გარდაიცვალა 1916 წელს, 27 მაისს 60 წლისა.

ფრანკო როგორც ლირიკაში, ასევე ეპიკურ პოემებში ფართოდ სესხულობს სიუჟეტებს მსოფლიო ლიტერატურიდან, აძლევს მათ თანამედროვე შეფერილობას, პოლიტიკურ ჟღერადობას და გვთავაზობს მის ორიგინალურ მხატვრულ გადაწყვეტას.'

ფრანკო ავტორია 42 პოემისა, რომელთაგან გამოიყოფა ოთხი თემატური ჯგუფი: ისტორიული პოემები, ფილოსოფიური პოემები, ყოფითი ხასიათისა და სატირული პოემები.

მის ფილოსოფიურ პოემებში სხვადასხვა იდეურ-ესთეტიკური ასპექტში განიხილება ადამიანთა სიყვარულისა და სიძულვილის, პატრიოტიზმის, ხალხისა და ბელადის, საზოგადოებისა და გმირის ურთიერთობის საკითხები. პოემა „კაენის სიკვდილში“ ეს თემა პოეტმა სრულიად ორიგინალური თვალსაზრისით დაამუშავა. ფრანკოს გამოყენებული აქვს ბიბლიური ლეგენდა, რომელშიც გადმოცემულია აბელის მოკვლა უფროსი ძმის - კაენის მიერ, რისთვისაც ის ღმერთმა დაწყევლა და დადაღა. ეს ლეგენდა მრავალი ძველი და ახალი დროის ავტორის თხზულებას დასდებია საფუძვლად, რომლებშიც ძირითადად რელიგიური თვალთახედვაა მთავარი. ლეგენდა ახლებურად დაამუშავა ბაირონმა. მისი კაენი ღვთის წინააღმდეგ იბრძვის, რაც გამოწვეულია მის მიერ შექმნილი სამყაროს არასრულფასოვნებით. ფრანკოს პოემაში ადამიანის სიძულვილით შეპყრობილი კაენი დაუსრულებლად მოგზაურობს მარტოობაში, ებრძვის თავის სულში წარმოქმნილ ერთმანეთის საპირისპირო აზრებს და განწყობილებებს. ბოლოს კაენი რწმუნდება, რომ მისთვის ერთადერთი გამოსავალი ხალხთან დაბრუნებაა. მძიმე შინაგანი ბრძოლის შემდეგ ეს მოძულე, ამაყი, თვითნება ხალხის მეგობარი ხდება. ხალხის სიყვარულით აღივსება და ბოლოს გააცნობიერებს, რომ თავი უნდა დადოს ხალხის სამსახურისთვის.

ფრანკო, როგორც პროზაიკოსი, რომელმაც ახალი ეპოქა შექმნა უკრაინულ ლიტერატურაში, ნოვატორი იყო ამ სფეროს ყველა ჟანრში. ფრანკო - რეალისტი ქმნის უკრაინელთა ცხოვრების ზოგად სურათს. მისი პროზა ახალია არა

გაგრძელება 12 გვ. ▶

▶ 11 გვ.

მხოლოდ თემატურად, არამედ იდეითაც და აზროვნების რეალისტური ხერხებითაც. მისთვის მთავარია რეალობის ფაქტების ღრმა ანალიზი. რომანებსა და მოთხრობებში ის ეხება უბრალო მშრომელის, მუშის, ინტელიგენციის ცხოვრებასა და მეორე მხარეს მდგომ ლიბერალ-ბურჟუაზიისა და მემამულის დამოკიდებულებას საზოგადოების უუფლებო ფენისადმი. მისი, როგორც ხელოვანის, თვალსაწიერში ხვდება უკრაინელი, პოლონელი, რუსი, ებრაელი, ჩეხი, გერმანელი და სხვები. გასაოცარია პუბლიცისტური სიმახვილე მისი თხზულებებისა. ფრანკო პუბლიცისტი გადაწნულია ფრანკო ხელოვანთან. რაც ცხადყოფს გამოხატვის მხატვრულ საშუალებათა განსაკუთრებულ სიმდიდრეს. ფრანკოს პროზაში მწვერვალად მიჩნეულია ბორისლავის ციკლის მოთხრობები, რომელიც არის ეპოპეა ბორისლავის მუშათა ცხოვრებასა და ბრძოლაზე კაპიტალისტების წინააღმდეგ. ბორისლავის ნავთობის საბადოებისაკენ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიძრა ევროპული კაპიტალი. 1877 წელს სტუდენტი ფრანკო გაემგზავრა ბორისლავში და საფუძვლიანად შეისწავლა მუშათა ცხოვრება და ფსიქოლოგია. მას სურდა ემილ ზოლას „რუგონ-მაკარების სერიის“ მსგავსად შეექმნა ფართო სურათი მუშათა ცხოვრებაზე. დაწერა კიდეც ერთი რომანი და ცხრა მოთხრობა. საშინელი სურათები ბორისლავის ციკლის მოთხრობებში „დანტეს ჯოჯოხეთს“ მოგვაგონებს. ბორისლავის შახტებში, ღრმა ორმოებში, საშინელ ჭუჭყსა და სიბინძურეში მუშაობს ათასობით ადამიანი. აქედან მოედინება ოქროს ნაკადები, ივსება იმათი ჯიბეები, ვინც არ შრომობს. ფრანკო ქმნის მეწარმეთა პორტრეტ-გალერეას, რომელთაც აქვთ რკინის ნება, სიმტკიცე და სისხლმოწყურებული მხეცის ინსტინქტები. კაპიტალისტები ერთმანეთის მუდმივი კონკურენტები არიან და არ ინდობენ ერთმანეთს. თუმცა მუშებთან დაპირისპირებაში სოლიდარობას ინარჩუნებენ. ფრანკო არ რჩება მხოლოდ ობიექტური რეალობის ობსერვატორად. ფრანკო მებრძოლი ზოგჯერ ჯობნის ფრანკო-ხელოვან ჰუმანისტს, რადგან ცხოვრება დაუცხრომელი ბრძოლაა. ბორისლავისაკენ, სადაც ნავთობის გარდა, ცვილსაც იღებდნენ, გალიციის სოფლებიდან დაიძრა მთელი არმია ახალგაზრდობისა კარგ ცხოვრებაზე ფიქრით აღგზნებულნი, რომ იშოვიდნენ ფულს, დაუბრუნდებოდნენ თავის სახლკარს, იყიდდნენ მიწას და დაიწყებდნენ ბედნიერ ცხოვრებას. ფრანკომ აჩვენა ისედაც ღარიბი გლეხობის ფიზიკური და მორალური განადგურება. მათი ოცნება აუხდენელი იყო, რადგან კაპიტალისტებს მუდმივი მუშახელი სჭირდებოდათ.ისინი მუშებსკარგ ხელფასს უხდიდნენ, მაგრამ მძიმე შრომით მოპოვებულ ფულს მათთვის გახსნილ კაფე-შანტანებსა და საროსკიპოებში ატოვებინებდნენ და ბოლოს ლუკმა-პურზე გამოჰყავდათ. მეორე მიზეზი მუშათა დახეიბრებისა და სიკვდილისა ის იყო, რომ მუშას მეტი ფული რომ დაეგროვებინა, კვებისათვის ნაკლებს ხარჯავდა. ცუდი კვების პირობებშიის ვერ უძლებდა მძიმე ფიზიკურ დატვირთვას და ან ილუპებოდა ან ხეიბარი ხდებოდა. ზოგჯერ მიმნდობი მუშა ხელფასს შესანახად მრეწველს აძლევდა, რაც ხდებოდა მიზეზი მუშის საეჭვო ვითარებაში სიკვდილისა. ასეთი მძიმე პირობები მუშა-ბუნტარებში შურისძიების გრძნობას აღვივებდა. რომანში „ბორისლავი იცინის“ კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის ორი გზაა: ტერორისტული და ორგანისებული.აქედან პირველი უშედეგო იყო. ამიტომ მუშებს შორის, რომელთაც სათავეში ჩაუდგა კალატოზი ბენედიო სინიცა, გაჩნდა აზრი სოლიდარული ბრძოლისა. ისინი გაემიჯნენ ტერორისტ ძმებს ბასარაბებს.მუშებმა შექმნეს საერთო სალარო, სადაც ყველა მუშა შეიტანდა ხელფასის დანაზოგს. როცა გაფიცვა დაიწყო, მრეწველებმა მუშათა რიგებში შეგზავნილი ჯაშუშს მოაპარინეს საერთო სალარო და ამით გაფიცვა ჩაფუშეს. ამ ფაქტმა გამოავლინა, რომ მუშებს გაფიცვის გზით წარმატების მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ესწავლათ. მარცხის შემდეგ ისინი ტერორისტ ძმებს შეუერთდნენ და ბორისლავის ქარხნები გადაწვეს. „ბორისლავი იცინის“ იმ დროისათვის პირველი რომანი იყო, სადაც მუშათა გაერთიანებული ბრძოლის საკითხი დაისვა. ფრანკომ ასახა ის, რაც რეალურად არსებობდა. მუშებმა ვერ მოახერხეს კაპიტალისტებისთვის თავისი პირობები ეკარნახათ, პირიქით, მათგან მოტყუებულნი შეუერთდნენ ანარქისტთა გზას. ასეთი იყო რეალობა 70-იან წლებში.

ფრანკოს პროზაული თხრობა სავსეა ღრმა ლირიზმით. პერსონაჟის დახატვის ფორმა მის თხზულებებში არის პორტრეტი, მონოლოგი, მოგონებები, ავტორის თხრობა. მისი პროზა უკრაინელი მწერლებისათვის დიდი სკოლა იყო.

ფრანკოს ენერგიული მოღვაწეობა თეატრში განაპირობა გალიციის თეატრებში ეროვნული რეპერტუარის სიმწირემ. . იმ დროს აღმოსავლეთ უკრაინაში უკვე არსებობს რამდენიმე პროფესიული დასი სოლიდური ეროვნული რეპერტუარით. გალიციის თეატრები მათთან ურთიერთობაზე კატეგორიულად უარს ამბობდნენ და ძველი უკრაინული თეატრის პოზიციაზე რჩებოდნენ. ფრანკო უჩვენებდა მათ თეატრის განვითარების ახალ გზას არა მხოლოდ პოლემიკური წერილებით, არამედ თავის ორიგინალური რეალისტური დრამებითა და მსოფლიო კლასიკური დრამების თარგმანებით.

. ფრანკოს „მოპარული ბედნიერება“ საკონკურსოდ დაიწერა და გაიმარჯვა. დრამაში პერსონაჟთა ყოველი ნაბიჯი მოტივირებულია. სოფლის ერთი ოჯახის ტრაგედიის ჩვენებით. ავტორმა დახატა დასავლეთ უკრაინის საერთო სოციალური ყოფა. დრამაში არ არის მდიდრისაგან ღარიბის ჩაგვრა. ეს ტრაგედიაა ადამიანისა რეალობაში და არის ფატალური. აქ ან არავინაა დამნაშავე ანყველა დამნაშავეა. მიწისათვის ბრძოლა, რაც გალიციელი გლეხობისათვის არსებობის ერთადერთი წყაროა, არის ტრაგედიის მთავარი მიზეზი.

ფრანკოს დრამები მეტად აქტუალურია თემატიკისა და იდეების დემოკრატიულობით. ისტორიულ დრამებში ისეთი საკითხებია დასმული, რომელიც რელევანტურია მწერლის თანამედროეობასთან. ფრანკოს სხვა დრამებში ნაჩვენებია კაპიტალიზმის შეჭრა გლეხურ მეურნეობაში („რეაბინა“). ტიპაჟი ასეთი დრამებისა რეალისტურია, მართალი, ობიექტური.

ფრანკოს მხატვრულ-მეცნიერული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც 50 ნაბეჭდ ტომს მოიცავს (თუმცა ეს მისი ღვაწლის სრული სახე არ არის) უკრაინული ლიტერატურის დიდი მონაპოვარია. ფრანკო მხატვრულად აზროვნებდა ოთხ ენაზე: უკრაინულად, გერმანულად, რუსულად და პოლონურად. მან უმაღლეს საფეხურზე აიყვანა უკრაინული მხატვრული სიტყვა, როგორც დიდმა რეალისტმა და თანამედროვე პრობლემათა მსაჯულმა. . მისი ხელოვნება ამოუწურავი წყაროა ჰუმანიზმისა. ფრანკო 40 წელი ედგა სათავეში უკრაინულ მხატვრულ, საზოგადოებრივსა დაფილოსოფიურ აზროვნებას , როგორც დიდიმოღვაწე, მხატვრული სიტყვის კანონმდებელი და ავტორიტეტული მკვლევარი. მის შემოქმედებაში მრავალმხრივად არის გადაწნული ერთმანეთთან ეროვნული და ზოგადკაცობრიული.

ხმა საით?!

დომენტი სოზაშვილი

ჩვენს ამაოდ პოლიტიზებულ ხალხში ახლა, გაჭირვების ჟამს, ბევრი ისევ რუსეთთან (თუ რუსეთში) გუშინდელ ცხოვრებას შენატრის – აბა, შენ რას იტყვიო, – გამაჩერებენ ხოლმე ხანდახან გზაზე შექუჩებულები. – რომ გაიძახოდი თავისუფლებაო, კარგია? ახლა შენი ინჟინრობა ვიღამ თქვა... მარტო ვენახზე ხომ ხარ მიგდებულიო, მაგდენსა წვალობ მთელი წელი და რას მიიღებ, ღმერთმა იცის; მიიღებ კიდე და სად წაიღებ, რას უზამ, სად ჩააბარებ, რას მოგცემენ – ხარჯები მაინც რომ დაგიფაროს... არის ვინმე განმკითხავი? – ემაგითვინ აფრიალებდითო დროშებს? და ბოლოს ჩაცინებით: – ეგე, რომ არ გინდოდათ რუსეთიო!... მეც ერთი–ორჯერ იმათსავით ვინატრებ „დიდ რუსეთს“ – რა ვქნა, ვერ ვიშტვინეთ–მეთქი და მივყვები გზას; მაგრამ ერთხელაც გავუჩერდი მთელი სერიოზულობით: თქვენ რაებს როშავთ, მართლა და მართლა, ძლივს დავაღწიეთ რუსებს თავი. როგორც იქნა და ისევ ძველებურად გინდათ რუსის ჩექმა ჩემს ყელზე? რა ძალიან მისტირით, ერთი გამაგებინეთ – თვითონ უბედური ჩვენც გვაუბედურებდა-მეთქი. რა მოგივიდათ, გვიჭირს, ჰო, მაგრამ როგორმე გავალთ და გავიმართებით, უკვე თანდათან მოვდივართ, აზრზე, რაღაცას ვისაშველებთ. სხვებიც ეგრე იყვნენ და მერე და მერე წამოვიდნენ – ერთბაშად ვინ აშენებულა, თქვე კაი ხალხო, რა ჯობია თავისუფლებას! მოსკოვს რომ აღარ ეკითხები „ბალი ათი შაურიაო“. მეჩაიეების შეკრებას რუსულ ენაზე რომ აღარ მოაწყობ (სადღაა მეჩაიეო?!). რა სჯობია ღირსეულად, სიამაყით ყოფნას!... როგორც გვეკადრება ათასი წლების სახელმწიფოს მქონე უძველესი ერის ხალხს. ბოლოს და ბოლოს როგორა ცოცხლობ, იმაზე მთავარია, როგორ ცოცხლობ–მეთქი და კაი ხანი გამიჩუმდნენ ესენი დაბლა მიწას ჩაჩერებულნი.

სულ ახლახან საქართველომ აირჩია საქართველო! იმას ვეღირსეთ, მსოფლიოში ისევ აღმოვჩნდით და პირველ რიგში სხვა რა უნდა გვინდოდეს... ერთობაზე დიდი საზრუნავი არა გვქონია არცროდის – ახლა მით უმეტეს არა გვაქვს. ერთად ერთობაში რომ ვყოფილიყავით, ჩვენ ყოველთვისაც ვიქნებოდით ძლევამოსილი. როცა ეს ამდენი გვინახავს, გამოგვივლია, საჩვენოზე ვიფიქროთ, ვილაპარაკოთ, მაგრამ ერთიანი, „დუღაბი“ საქართველო რომ დაგულებული გვაქვს – მერე...

რა უნდათ ჩვენს ამ მრავალრიცხოვან მოპირველეებს, რისთვის გვერჩევინებიან. ასე ზემოთ ყოფნას ესწრაფვიან თუ მართლა იციან, თავისგადაკვლით გვარწმუნებენ. ესე უნდათ თავისი ხალხის სიკეთე. ჩვენ გვინდა ცხოვრების წამყვანები და ისინი გვეუბნებიან – ჩვენა ვართო! მაგრამ ვინ უნდა ჩვენს ხალხს? – ვინც ყველაზე უკეთ იცის, რა უნდა ჩვენს ხალხს და ამათ ნაირ–ნაირ ამბებს ჰპირდებათ? თანდათან ხომ უნდა უკეთ გამოვიცნოთ ისინი, ვინც ყოველივე ამით მხოლოდ იტყუება (მნიშვნელობა არა აქვს ესე უნდათ თუ არა) და ისინი, ვისაც მხოლოდ ამით ეცხოვრება – გვაცხოვრებს...

მე სიღნაღის სოფელ ძველანაგაში ვცხოვრობ. აქაურ ჩემ ხალხს სიხარულით ვეტყვი ხოლმე მსოფლიო ჩემპიონები ვართ ჩვენი ღვინით და ჩვენი ხასიათით–მეთქი. ძველანაგელი არა ვარ, ჩხუბი ავტეხო გზაზედა...“, ნათქვამია ჩვენზე ქიზიყის ბევრი სოფლის ჩამომხასიათებელ ერთ სიმღერაში და რაღაცა სწორად არის დაჭერილი აქაურების „მამაც გადაშვებებზე“ რაიმე ულირსეობებზე რამდენი ხანია აქ, ვანაანის უბანში ულვთოდ, უსამართლოდ გადაიკეტა ვენახებში ჩამავალი მამა–პაპური გზა. ხალხი ერთმანეთის ეზოებზე გადადის მრავალნაირად გაუხერხულებული; და არ აღმოჩნდა ხელისუფლება, რომელიც ამ მართლა პრობლემას გადაგვიწყვეტდა. ვილას არ მივმართეთ, რა არ მოვიმოქმედეთ და სერიოზულ ყურადღებას, თავისი ხალხის სატკივარისათვის რაიმის მოხერხებას მათგან ვერ ვეღირსეთ. ეს ფორმალობები, ახლიდან აქტების შედგენები, მხოლოდ დაიმედებები საქმეს ვერა შველის. ამათაც, ახლა თითქმის ვადაგასულებმაც ერთი აქტი შეადგინეს; იმათ მოვიყვანთ, ამას ვიზამთო, დაგვპირდნენ და ვინა გნახა წავიდა! ამათიც კიდევ ერთი ოთხი წელიწადი. მერე დიდი ხნისააო, გვეუბნებიან, დიდი ხნისა იქნება, აბა რა იქნება, თქვე დალოცვილებო, – უმატებთ და უმატებთ ყველა თქვენს გადასაგორებელს, ვიდრე ხელებს დაიბანდეთ და ეს საწუხარი აქ ისევე რჩება. ერთი–ორის ბრმა ხარბობობის გამო იძულებულები ვართ ეს ამდენი ხალხი ყოველდღე გზას ვეძებდეთ ჩვენი ვენახებისაკენ... რა არის საჭირო კიდევ ამისთვის! – მიიღონ დადგენილება გზის თაობაზე, აუხსნან გადამკეტებს, რომ მათ უნდა აიღონ ღობე უკანონოდ დაკავებული გზიდან, ჩახევების საფრთხე მათ აღარ ემუქრებათ, რაკილა ჯერ კიდევ კომუნისტების დროს აქ ჩაწყობილია ბეტონის ფილები და ასე თავისუფლდება ჩასავლელ–ამოსავლელი ბილიკი, რასაც ჩვენ ვითხოვთ. ეს არის და ეს! არავითარი ხარჯი არ უნდა, თვითონ მივხედავთ ჩვენს გზა–ბილიკს.

საქართველოს მწერალთა კავშირის „მწერლის გაზეთმა“ დაბეჭდა ამის თაობაზე ჩვენი წერილი, მას შემდეგ რაც კავშირის თავმჯდომარემ, ბატონმა რევაზ მიშველაძემ მოგვისმინა და გული დაეწვა პატარა სოფლის დიდ სატკივარზე. მაგრამ, წარმოგიდგენიათ, საბოლოოდ ესეც „გაატარეს“, ყურიც არავინ შეიბერტყა პარლამენტში აქაური დეპუტატი, ბატონი გელა გელაშვილი იყო მოსული ამ საჯახირო გზა–ხევთან, შეწუხდა ჩვენი უშუქობით, კიდევ მოვალო, შეგვპირდა. ვერ ვიტყვი, არ მოინდომა–მეთქი. გელა პატიოსანი კაცია, დაურეკა კიდეც გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს, მაგრამ ამათ ყური არ შეიბერტყეს. აი, ამნაირობით გვანახვებენ თავს რაიონის ხელმძღვანელები. სხვანაირად ვის უნდა აქ ისინი?! ვინც უნდა ისა ყოფილან... აჰა, ტელეფონიც სულ გათიშული აქვთ – საქმეები აქვთ, საქმეები!...

ახლანდელი გამგებლის მოადგილე, ბატონი ბერდო ასანიშვილი ჩამოვიდა ადგილზე საქმის გასარკვევად, ნახა ეს გადაკეტილობა და მოუსმინა იმ ჩამკეტებიდან ერთს, კერძოდ ძველ ვეტერინარ უშანგი მჭედლიშვილს. ნახა როგორი თავგამოდებით იცავდა ყველასა და ყველაფერისაგან ამ თავისთვის ყოვლად უსარგებლო კლდე–ღრეს ეს კაცი. მოგვისმინა აქეთ ჩვენ, თავის ვენახის გზისთვის ამდენ მოწყდომილ ხალხს. ცოტა რომ უყურა დავიდარაბას, მერე გვითხრა – დავიბარებო ამ კაცს და რა უფლებით გადასულა-გადაწეულა ჩასაკეტად ვენახის გზაზე გავიგებო და წავიდა. სულ ეს იყო. ის აქ აღარ გვინახავს. იქ კიდევ, ზემოთ, თუ ვნახავდით – კომისია არდანიშნულაო ჯერ... მოგვიცილებდა, აგვეცილებოდა. ბოლოს გამოგვიცხადა, ეგ ჩვენი საქმე არ არისო... საკვირველია პირდაპირ, სულ ცოტა ხნის წინ, როცა თვითონ ბრძანდებოდა გამგებლად, მან პირადად მოსწერა წერილი ამ მჭედლიშვილს მოთხოვნით – გზა გახსენიო. მაშინ არ დასცალდა ბოლომდის მიეყვანა და ისევ მოუხდა ბედის შემობრუნებით ისევ მმართველობაში მოსულს ამ საქმესთან შეხვედრა და ვაი, რომ 1800-ით შებრუნებულა.

ყველაფერზე მიტინგები და მსვლელობები რად გვინდა. რატომ არ უნდა იყვნენ ესენი გულისხმიერები და პრინციპულები ხალხის ცხოვრების ყველა, გნებავთ დიდ და გნებავთ ასეთ, ერთი შეხედვით წვრილ, პატარა საქმეში. უყურადღებობა, მიყურისძირება ხომ არაფრად ჩაგდებაა ჩვენთვის.

ჩვენ ხალხს, თუ არაფრად აგდებთ მაშინ და რა გინდათ, გენაცვალე, მანდ, ხალხის მსახურების ადგილზე?

ჩვენ გვინდა ნამდვილი პარტიები, რომლებმაც არა მარტო იციან, ხალხს რას დაჰპირდნენ, არამედ სინამდვილეში იყვნენ კიდევაც ესენი, თვითონ სიტყვის კაცები.

როგორც ვატყობ ხალხიდან, ცხოვრებიდან შობილი ენერგიული ადამიანი თუ ხარ, თუ აღემატები სხვებს განათლებით და მონდომებით, შენი არჩევის შანსი არ არის. არა ხარ მათი, არა გღებულობენ და მორჩა.

...და მაინც, უცებ ყველაფერს ერთბაშად ნუ მოვინდომებთ ბედში მყოფი სხვა ქვეყნებისებურად, მსოფლიოს რომ ვედებით ათასნაირ უფლებადარღვეულნი. იმათზე მეტი გვდომებია, მეტი გვკლებია, ვინც საამისოდ იშრომა–იღვაწა, თანდათან მივიდეთ იმათამდე – იმათი სანაქებო კეთილდღეობის უკან კაი ხნის მუხლჩაუხრელი შრომა-გარჯა მძლეობს. ევროპელობა, იმათობა პირველ რიგში იმათნაირი მშრომელობით უნდა გვემჩნეოდეს. ამ მადლიანი მიწის შვილი ქართველის პატიოსანი შრომა–გარჯით თვითონვე გაიღვიძებს ჩვენში ძველი ევროპელი, არავის ცნობა რომ არ უნდა.

რეზო ადამიას ახალი რომანი

გამორჩენილმა მხატვარმა და მწერალმა რეზო ადამიამ კიდევ ერთი შემოქმედებითი გამარჯვებით გაგვახარა: მკითხველმა უკვე მიიღო რეზო ადამიას ახალი რომანი ,,წმიდა ნინო“, რომელიც დამშვენებულია მხატვრისვე ბრწყინვალე ილუსტრაციებით და ხატებით.

ვულოცავთ საქართველოს სახალხო მხატვარს მისი ნიჭის ამ კიდევ ერთ დიდებულ გაბრწყინებას.

დამილოცვია

საქართველოს საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ბატონ რეზო ადამიას ხელოვნება. ის ჯერ კიდევ ათეისტურ-კომუნისტურ ეპოქაში, როდესაც ეკლესიის წმინდანთა სახელის ხსენებაც კი მიუღებელი იყო, ხატავდა (წერდა) წმიდა ხატებს, რომლებსაც უწმიდესი პატრიარქი სრულიად საქართველოისა – ილია II, აგზავნიდა სხვადასხვა ეკლესიაში. მე პირადად კარგად მახსოვს, ძველ საპატრიარქოს შენობაში, რომელიც სიონის წმიდა ტაძრის ეზოში მდებარეობდა, რეზო ადამიას მიერ დახატული წმიდა ხატები, თვალში საცემი ფერთა ხალასით გაცისკროვნებული. მახსოვს ერთი მხატვარი ქალი, რომელიც გააფთრებით იბრძოდა, რათა რეზო ადამიას ეს ხატები დაგვეწუნებინა, მაგრამ გულიდან ამოსულ სიყვარულს, თავდადებულ და თავგანწირულ გრძნობას ერისა, მამულისა და სარწმუნოების სიყვარულისა წინ ვერაფერი დაუდგება, რეზო ადამიამ ჭეშმარიტად გაიმარჯვა, და ამის ერთ-ერთი კარგი ნიშანია მისი სიბერის პირმშო ახალ სფეროში, რომელსაც ლიტერატურა ჰქვია – რომანი წმიდა ნინოს შესახებ, მისი ხატების მსგავსად სავსე ფერადოვანი გამებით.

ნიჭიერი ადამიანი ყველა სფეროში ნიჭიერია, ბატონ რეზო ადამიას ნიჭიერების მოწმენი კიდევ ერთხელ გავხდით. დავით აღმაშენებლის, ვაჟა-ფშაველას და გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული პრემიების ლაურეატმა ახალი სალიტერატურო სიმაღლე დაიპყრო. მისი ხატებიდან და შემოქმედებიდან ცნობილია, თუ როგორ გამორჩეულად უყვარს ბატონ რეზოს ქართველთა განმანათლებელი, ქართველთა ემბაზი, დედა ქართველთა სარწმუნოებისა – წმიდა ნინო. მისი ხატები წმიდა ნინოსი ამშვენებს ჩვენს საკათედრო ტაძარს მანგლისში. ღამისთევის ლოცვებისას, ყოველთვის ვჩერდები ამ ხატებთან, ვაკმევ მათ წმიდა საკმევლით, ვევედრები უფალს, ამ დროს ჩემს მოგონებათა სფეროში ჩნდება ხოლმე ბატონი რეზო და მასაც ვლოცავ. ახლა, როცა მან ახალ – სალიტერატურო ასპარეზზე თავი გამოიჩინა, როგორც წმიდა ნინოს შესახებ რომანის ავტორმა, ვლოცავ მას და შევთხოვ უფალს, გააძლიეროს და განამტკიცოს ქართველი ერი იმ სარწმუნოებაში, რომელიც წმიდა ნინომ გვიქადაგა.

ვლოცავ მის აპოლოგეტს – ბატონ რეზო ადამიას, ამინ.

მიტროპოლიტი
ანანია ჯაფარიძე

რეზო ადამიამ გაიმარჯვა

ასწლეულთა განმავლობაში გადადიოდა წმინდა ნინო სინამდვილიდან ლეგენდაში და ლეგენდიდან სინამდვილეში.

მართლმადიდებელ ქართველთა შეგნებაში არავინ არის წმინდანთაგან ესოდენ ცხადი და ესოდენ რელიგიურ-რომანტიკული ბურუსით მოცული.

წმინდა ნინოს ცხოვრებაზე არსებული საეკლესიო წყაროები და აპოკრიფული სიუჟეტები ხშირად რეალურისა და ირეალურის ზღვარზე გადის.

თუ ქრისტესმიერი მართლრწმენით არა ხარ შეპყრობილი, ძნელად დაიჯერებ, რომ თექვსმეტი წლის კაპადოკიელმა ქალწულმა, ვაზის ჯვრით ხელში, ფეხშიშველმა ათასამდე კილომეტრი გამოიარა, რომ წარმართული ბანგით შეპყრობილი ქართლი ქრისტეს რჯულზე მოექცია.

იქნებ ეს გარემოებაც იყო მიზეზი იმისა, რომ დღემდე წმინდა ნინოზე პროზაული მხატვრული ნაწარმოების შექმნა, თუ ცალკეულ წარუმატებელ ჩანახატებს მხედველობაში არ მივიღებთ, ვერც ერთმა ქართველმა მწერალმა ვერ გაბედა.

ნავსი გატყდა.

რეზო ადამიამ წლების განმავლობაში რამდენიმე წარმატებული ესეისტური ჟანრის თხზულებათა კვალდაკვალ ერთბაშად დადო ჩვენ წინ რომანი „წმინდა ნინო“.

ბეწვის ხიდზე გაიარა მწერალმა.

წმინდა ნინოს სიუჟეტს ჩვეულებრივი, ტრადიციული რომანის საზომებით თუ მიუდგებოდი, არსებობდა იმის საშიშროება, რომ „ქართველთა განმანათლებელი“ რეალურ სამყაროში გადმოგვეყვანა და ამით დაგვერღვია ის ღვთიური ჰარმონია, წმინდანთა ცხოვრებას რომ თან ახლავს.

...და რეზო ადამიამ გაიმარჯვა.

მან ჭეშმარიტი მწერლის ალღოთი იპოვა ის ზუსტი ჟანრი, რომელშიც წმინდა ნინო ქართული ეროვნული ხასიათის გაგრძელებადაც მოიაზრება და თანაც იმ ღვთიური შუქითაა განათებული, რომლის სიკაშკაშე საუკუნეებს გადაწვდება.

აღტაცებას ვერ ვმალავდი ბატონ რეზოს ამ ახალი შედევრის კითხვისას.

ორად ორი რეფრენი გასდევს ნაწარმოებს ლაიტმოტივად: ერთია “მოდიოდა ნინო“ და მეორეა ანა კალანდაძის დიდებული ლექსის დროდადრო შეხსენება გრძნეული ქალწულის სიდიადის ხაზგასასმელად.

ორივე რეფრენი ისე მოზომილად, ბუნებრივადაა ჩასმული რომანის მდინარებაში, რომ „მოდიოდა ნინო“ სწორედ მაშინ ამოტივტივდება, როცა მკითხველის ცნობიერებამ ამ დიდებულ მხატვრულ გამმაზე წამით უნდა შეისვენოს.

მაშ ასე, ისედაც მარად ცოცხალი, ქრისტესმიერი უსათნოესი და უწმინდესი მარადქალწული წმინდა ნინო მხატვრისა და მწერლის, რეზო ადამიას ოსტატობით მხატვრულ პროზაში გაცოცხლდა.

ვულოცავ თვით ავტორს და, რასაკვირველია, საქართველოს ქართული შემოქმედებითი აზრის ამ ჭეშმარიტ გამარჯვებას.

რევაზ მიშველაძე

ალმაშენებლის ძეგლს ცენტრში დააბრუნებენ, დიდუბის პანთეონს გააფართოებენ

რას დაჰპირდა დავით ნარმანია მერიის მრჩეველთა საბჭოს

ია აგულაშვილი

,,საბჭოს შეუძლია, გადაწყვეტილად მიიჩნიოს ამ სხდომაზე ქალაქის მერის წინაშე დაყენებული სამი საკითხი: პირველი - დიდუბის პანთეონის გაფართოება პანთეონისა და დიდუბის ეკლესიას შორის არსებული ღობის მოხსნის ხარჯზე; მეორე - დავით აღმაშენებლის ძეგლის ცენტრში დაბრუნება ვახტანგ დავითაიას მიერ შემოთავაზებული პროექტით და მესამე, მერიასთან საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ ,,თბილისის" შექმნა. დავით ნარმანიას თქმით, სამივე ეს პროექტი განხორციელდება ახალ წლამდე", - აცხადებს მერიის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე გუშინ დავით ნარმანიასთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

რევაზ მიშველაძე: ქალაქის მერთან შეხვედრაზე გახლდით მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრები: მე, გიგა ბათიაშვილი, არჩილ ფრანგიშვილი, იგორ კვესელავა, გივი თოიძე, ომარ მხეიძე, ოთარ კვესიტაძე, ვახტანგ დავითაია, ჯემალ გახოკიძე, სოსო სიგუა და თამაზ შილაკაძე. ქალაქის მერმა გაგვაცნო მერიის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები. განსაკუთრებით გამოყო საკითხი, რომელიც ეხება მოძველებული ავტობუსების ახლით ჩანაცვლებას. გვითხრა, რომ პროექტი განხორციელდება უკვე სექტემბრიდან და მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობას. ახალი ავტობუსები აღჭურვილი იქნება კონდიციონერებითა და თანამედროვე ტრანსპორტის სხვა ტექნიკური არსენალით.

ასევე გვამცნო, რომ პუშკინის ქუჩაზე დასასრულს უახლოვდება სამუშაო და აქ აღდგება ორმხრივი მოძრაობა ისე, რომ არ დაზიანდება ქუჩის მარცხენა მხარის ისტორიულ-არქეოლოგიური საგანძური. დასრულებულია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, რომელთა უმეტესობა სექტემბრიდან შევა ექსპლუატაციაში. ასევე ასფალტის დაგება მიმდინარეობს არა მხოლოდ თბილისის ცენტრალურ ქუჩებში, არამედ გარეუბნებშიც.

- იმედია, მხოლოდ მერის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს არ დასჯერდით. თუ გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები თქვენი მხრიდან? რა საკითხებზე გაამახვილეთ ყურადღება?

- რა თქმა უნდა, კმაყოფილება გამოვთქვით იმაზე, რაც გაკეთდა, მაგრამ ჩემი გამოსვლის დროს სინანულით გავუსვი ხაზი მრჩეველთა საბჭოს მიერ უკანასკნელი თვეების განმავლობაში დაყენებული მთელი რიგი საკითხების აუხსნელ იგნორირებას. კერძოდ იმას, ქალაქის და სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებში დამკვიდრებულ უაღრესად მავნე პრაქტიკას მოქალაქეთა განცხადებებზე პასუხის გაუცემლობისა. ვთქვი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ქვეყანაში ადამიანი დაუცველია და არ ვიცი, სანამ უნდა ლოკოს ჩვენმა თანამემამულეებმა იმედის თითი და კიდევ რამდენი არჩევნები უნდა ჩატარდეს, რომ მოვიდეს ჭეშმარიტად ხალხზე მზრუნავი, გულისხმიერი ხელისუფლება; რომ უკვე დავიღალე მავანთა და მავანთა კარზე სიარულით და მწერალთა კავშირის 500 წევრის ხელმოწერილი განცხადებების იქით-აქეთ ტარებით, რათა მას კუთვნილი შენობა დაუბრუნდეს.

ასევე ვისაუბრე იმაზეც, რომ დღემდე არ არის გადაწყვეტილი დიდუბის პანთეონის გაფართოების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით საზოგადოებრივი აზრი უკვე არსებობს და თბილისელები თვლიან, რომ დანაშაულია ქალაქის ორასწლიანი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დახურვა ზოგიერთი ჩინოვნიკის ნაჩქარევი გადაწყვეტილებით, მაშინ, როცა დიდუბის პანთეონის გაფართოება თავისუფლად შეიძლებოდა პანთეონსა და დიდუბის ეკლესიას შორის არსებული ღობის მოხსნის ხარჯზე. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მერიაში სამი თვის წინ შევიდა ინტელიგენციის სახელოვანი წარმომადგენლების კოლექტიური წერილი, მაგრამ დღემდე პასუხი არ ჩანს, ხოლო დუმილი ჩვენი ქვეყნის ღვაწლმოსილი, დამსახურებული ადამიანების წინაშე დანაშაულის ტოლფასია.

ასევე ვთქვი, რომ ახლოვდება შოთა რუსთაველის იუბილე. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მომდის წერილები კითხვით, თუ როგორ მიმდინარეობს საიუბილეო მზადება. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც ჩვენთან სავალალო მდგომარეობაა. დღემდე ვერ მოხერხდა სერიოზული კომისიის შექმნა, რუსთაველის პროსპექტზე ,,რუსთაველის სახლის" გახსნა, "ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო გამოცემის განხორციელება. ისიც მოვახსენე საბჭოს, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა ითავა საიუბილეო გამოცემის დაფინანსება უნივერსიტეტის ხარჯებით.

- საბჭოს სხვა წერებმა რა საკითხები დააყენეს მერის წინაშე?

- ქალაქში მოძრაობის განტვირთვის და სააკაძის მოედნის მიწისქვეშა მეცნიერული გამოკვლევის შედეგად იქ ორსართულიანი მოძრაობის შესაძლებლობის საკითხი დააყენა აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა. არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ დავით აღმაშენებლის ქალაქში დაბრუნების და სათანადო ინფრასტრუქტურის შესაფერისი ძეგლის მიღმა კედლის უაღრესად საინტერესო პროექტი წარმოადგინა. აკადემიის პრეზიდენტმა ოთარ კვესიტაძემ მხარი დაუჭირა ,,რუსთაველის სახლის" იდეას, ასევე ხაზი გაუსვა ქალაქის დასუფთავების პრობლემას. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა იგორ კვესელავამ დააყენა საკითხი საქალაქო საინფორმაციო გაზეთ "თბილისის" შექმნის შესახებ; თბილისში შემოსასვლელ ე.წ. მეორეხარისხოვანი გზების მოწესრიგების გადაუდებელ საკითხს. ომარ მხეიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა თბილისში შემოვიღოთ ევროპისა და აზიის ქალაქებში დამკვიდრებული პრაქტიკა, რაც გულისხმობს საკუთარი სახლებისა თუ დაწესებულებების წინ სავალი ნაწილის მოვლა-დასუფთავებას. ჯემალ გახოკიძე ასევე შეეხო დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქში გადმოტანის საკითხს და თქვა, რომ ეს პრობლემა უსაბუთოდ ჭიანურდებაო.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ თუ ჩვენ მიერ ამ საბჭოზე დაყენებული საკითხები დარჩება ,,ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", მაშინ იგი მრჩეველთა საბჭოს მორიგ სხდომას აღარ დაესწრება.

მან დააყენა საკითხთა მთელი წყება, რაც ქალაქისთვის ფრიად პრობლემატურია, კერძოდ: დღემდე არ არსებობს ქალაქის გენგეგმა, რის გამოც ქალაქ-განაშენიანება არაპროფესიონალთა აუხსნელ ინერციას ექვემდებარება და ამ პრობლემის გადაწყვეტას ქალაქის მთავარი არქიტექტორის მოხსნა ვერ უშველის. აქ თვით პრინციპი, სისტემაა შესაცვლელიო. ასევე აღნიშნა, რომ ახალი შენობა-ნაგებობების თუ ძეგლების დადგმის პროექტი ხორციელდება საზოგადოებრივი განხილვის გარეშე; რა მავნე პრაქტიკაც სააკაშვილმა დაამტკიცა, დღემდე იგივე გრძელდება. ასევე აღნიშნა, რომ ვერეს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება უკეთესის სურვილს ტოვებს; მოხდა სტიქიის მიერ დანგრეულის ძველ დონეზე შერემონტება და სტიქიის განმეორების შემთხვევაში შეიძლება ქალაქს იგივე უბედურება დაატყდეს თავს. თამაზ შილაკაძე ზოგ საკითხში დაეთანხმა გიგა ბათიაშვილს, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ბუნებრივი ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს არა მარტო თბილისის შიგნით, არამედ თბილისში შემომავალი მთის მდინარეების სათავეშივე, რათა სტიქიის დროს მდინარეებმა ქალაქისკენ არ აიღოს გეზი, თორემ მოზღვავებულ სტიქიას ვერავითარი წყალგამტარი გვირაბები და ხიდები ვერ შეაკავებს.

დასასრულს მე განვაცხადე, რომ დავით ნარმანიას კარგად ვიცნობ და ისიც ვიცი, რომ მას არ შეიძლება მოსწონდეს დედაქალაქიდან გაძევებული დავით აღმაშენებლის ძეგლი და თბილისის ცენტრში წამოსკუპებული გაუგებრობა "ველოსიპედი". ამიტომ მე, როგორც მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წინაშე ვკითხულობ, სად არის ის ინსტანცია, სადაც კვლავ მონურად ემორჩილებიან სააკაშვილის მიერ დამკვიდრებულ მავნე ტრადიციას, რა გადაულახავი ავადმყოფობა შეგვეყარა-მეთქი.

- ნარმანია რომელი საკითხების გადაჭრას დაგპირდათ?

- რა თქმა უნდა, ყურადღებით მოისმინა სხდომაზე დასმული უაღრესად მომთხოვნი და პრინციპული საკითხები, შეაჯამა და მადლობაც გადაგვიხადა. გვითხრა, რომ საბჭოს შეუძლია, გადაწყვეტილად მიიჩნიოს ამ სხდომაზე ქალაქის მერის წინაშე დაყენებული სამი საკითხი: პირველი - დიდუბის პანთეონის გაფართოება პანთეონისა და დიდუბის ეკლესიას შორის არსებული ღობის მოხსნის ხარჯზე; მეორე - დავით აღმაშენებლის ძეგლის ცენტრში დაბრუნება ვახტანგ დავითაიას მიერ შემოთავაზებული პროექტით და მესამე, მერიასთან საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთ ,,თბილისის" შექმნა. დავით ნარმანიას თქმით, სამივე ეს პროექტი განხორციელდება ახალ წლამდე.

გაზეთი „რეზონანსი“
27 ივლისი, 2010

მზის მარჯვნივ და მარცხნივ საფლავებია

ეთერ აფაქიძე

ძვირფასო მკითხველო, ეს წერილი ჩემი ტანძიის სიყვარულმა და დიდმა გულისტკივილმა დამაწერინა.

მაშინ ალბათ ექვსი-შვიდი წლის ბავშვი ვიქნებოდი, როცა ჩემს ტანძიაში, სოფლის შუაგულში რკინის სამჭედლო იყო მოწყობილი; გვერდით მას პატარა ქურახანა ეკრა, სადაც სამჭედლოში დამზადებულ იარაღებს ხელოსნები ცეცხლის ალზე ატრიალებდნენ და აწრთობდნენ. დღესაც მახსოვს, ჩემს ტყუპისცალთან ერთად ხელჩაკიდებული სოფლის გოგო–ბიჭები ფართოდ გახელილი თვალებით რომ შევყურებდით ცამდე აწვდილ ალს.

სამჭედლოში მეტწილად ხნიერი ხალხი მუშაობდა და მამაჩემიც მათთან ხშირად დაიარებოდა. ერთ დღესაც ტანძიას უცხო, რუსი ეროვნების სტუმარი, სახელად სპირიდონი ეწვია. ზოგი იძახდა მეზობელი სოფლიდან სამჭედლოში გადმოიყვანესო, ზოგი რას იძახოდა და ზოგი რასა.

იგი ხელოსნებმა გვერდში ამოიყენეს, პატარ–პატარა საქმეებს ავალებდნენ და ასე გადიოდა დრო. მამა ძალიან პურმარილიანი კაცი იყო და იგი ხშირად მოუყვანია ჩვენთან სახლში. ცხონებული დედაჩემი მაშინვე მაგიდაზე არყის ბოთლს შემოდგამდა, ყველს, მწნილს, პურს, ერბოკვერცხს მიართმევდა და დაანაყრებდა სტუმარს. სოფლის მადლიანი ხალხიც გულღიად შეხვდა უცხო რუსს და როცა გზაზე გავლილს დაინახავდნენ, სოფლის დედაკაცები ფურნიდან გამოღებულ ცხელ–ცხელ ლავაშებს გამოურბენინებდნენ, ზედ ყველსა და არაყს დააყოლებინებდნენ და სპირიდონსაც მეტი არა უნდოდა რა. დღისით სამჭედლოში იყო, ღამით კი სოფლის ხორბლეულის საწყობის გვერდით, დარაჯისათვის განკუთვნილ ოთახში, დარაჯთან ერთად ათევდა ღამეს. გადიოდა დღეები, თვეები, წლები და მომკითხავი არავინ ჰყავდა.

ერთ დღესაც სპირიდონი გარდაიცვალა. არც მაშინ გამოუჩნდა დამტირებელი. რა ექნა სოფელს, მკვდარსაც ხომ გაპატიოსნება და დამარხვა უნდოდა. ჩემი სოფლის მადლიანმა ხალხმა სასახლეც შეუკრა, სანთელიც დაუნთო, შენდობაც უთხრა, სოფლის დედაკაცებმაც თვალცრემლიანებმა გააცილეს ეს უპატრონო რუსი და ჩემი მამა–პაპის ძირძველ სასაფლაოზე, ქართველ მიცვალებულთა შორის, საბას კურთხეულ მიწაზე მიუჩინეს ბინა.

ეს სასაფლაო, როგორც კი აღმართს ასცდები და სოფელი გამოჩნდება, გზის მარცხენა მხარესაა. იმ რუსის გარდაცვალების შემდეგ თითქმის ექვსი ათეული წელი გავიდა, მაგრამ ყოველ აღდგომას ჩემი სოფლის ხალხი სპირიდონს კვლავ უნთებს სანთელს და უქცევს ჭიქა ღვინოს. მისი საფლავი მამაჩემის საფლავის გვერდითაა და დღესაც ხარობს მის საფლავზე ჩემი ხელით დარგული ზამბახები.

ძვირფასო მკითხველო, დიდმა უფალმა ხომ ყველა თავის ხატად შეგვქმნა, და გაგვაჩინა, ქრისტიან კაცს არ ეკადრება მკვდარს გამოედაოს, მით უმეტეს, რომ სიკვდილი მტერსა და მოყვარესაც გვათანასწორებს. მე არც ჩემი მადლიანი ხალხის თანადგომა მიკვირს და არც ორი მეტრი მიწა მენანება იმ უპატრონო მიცვალებულისათვის. ამ წერილით ჩემი სხვა ძალიან დიდი გულისტკივილი მინდა ვთქვა თქვენთვის... ნათქვამია, გამხელილი დარდი ნახევრდებაო. რას ვიზამთ, როცა ტიალი წუთისოფელი და ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე. გული კი სწორედ იმიტომ მტკივა, რომ სპირიდონის ამ ამბავმა დიდი სულხან–საბას ცხოვრება გამახსენა. ნეტავ თუ იფიქრებდა და მოიაზრებდა მაშინ საქართველოს ბედის საძებნელად შორეულ გზას დამდგარი ქართველი ერის მამად წოდებული, დიდი დიპლომატი, საზოგადო მოღვაწე, ჩემი ტანძიის ღირსეული შვილი, ბრძენი სულხან–საბა ორბელიანი, რომ დადგებოდა დრო, რუსეთის მიწაზე მისი საფლავი ქართველ ერს სანთლით საძებარი გაგვიხდებოდა, ტანძიის სასაფლაოზე განსვენებულ უპატრონო რუს სპირიდონს კი დღემდე შენდობის მთქმელი და სანთლის ამნთები ეყოლებოდა.

ან რას იფიქრებდა ჩემი მამა–პაპა, რომ ქართველთა სისხლით გაპოხილ ქართულ მიწა–წყალს რუსი ოკუპანტი დაეპატრონებოდა და ეკლიან მავთულხლართებსაც გაგვიბავდა!

ან რას იფიქრებდა ჩემი ტანძია და ტანძიაში დასახლებული ჩემი სვანი და–ძმები, რომ მათ სასაფლაოზე, გზის მარჯვნივ, ტანძიის შემოსასვლელთან, 2008 წლის 8 აგვისტოს მომხდარ სამაჩაბლოს ომში ბრძენი სულხან–საბას ღირსეული მოსახელე საბა დადვანი, რომელიც იმ დროს სამხედრო სამსახურში იყო, გმირულად დაეცემოდა და 21 სექტემბერს დაბადებიდან 19 წლისთავს ვეღარ დაესწრებოდა და უკვე საფლავში მყოფს მივულოცავდით დაბადების დღეს. ტანძიის მიწაზე იმ პირველ დაბადებულ სვან ვაჟკაცს მშობლებმა სახელი ბრძენი საბას პატივსაცემად დაარქვეს და ვინ იფიქრებდა, რომ ისიც საბასავით სამშობლოს შეეწირებოდა და უშვილძიროდ დაიმარხებოდა!

ან რას ვიფიქრებდი მაშინ მე, როცა 6–7 წლის ბავშვი ცეცხლის ალს შევყურებდი, გავიზრდებოდი, პოეტი დავდგებოდი და უპატრონო სპირიდონისადმი მიძღვნილი ეს ლექსი ჩემს პირველ კრებულშიც დაიდებდა ბინას.

უპატრონო მკვდარი

შენ არც პატრონი გყოლია
და არც დამყრელი მიწის,
რომ უპატრონო მკვდარი
ხარ, მთელმა სოფელმა იცის.
არ ვიცი რატომ გერგო,
ცხოვრების მკაცრი სუსხი,
რამ მოგიყვანა ჩვენთან,
ეს ერთადერთი რუსი.
ტანძიამ გიჭირისუფლა,
ტანძიამ დაგიტირა,
ქართულ საფლავებს შორის,
შენც დაგიმკვიდრა ბინა.
ბრძენ საბას მიწა ფარავს,
სეტყვა არის თუ წვიმა,
წლები გადის და მის ქვეშ,
სპირიდონს მშვიდად გძინავს.
ქართველი გიქცევს ჭიქას,
თავთით სანთელი იწვის,
ჩემმა მართალმა ხალხმა
ზღვა სიყვარული იცის.

ივეტა პავლიაშვილი–დოხნაძე

მუხათწყაროს

ოცნებები, სურვილები
შენთან იგებს მხოლოდ ბუდეს,
შენ მიქარწყლებ ყველა ტკივილს,
როს პწკარედებს ხაფანგს უგებ.
შენ მაჩუქე ყველა სითბო,
სიყვარული – საგანძურად,
არც მე დაგრჩი ვალში, კარგო,
აქ ვარ, სხვაგან არ წავსულვარ.
..მერე, როცა აცივდება,
ქარი დაყრის ფოთლებს წნორებს,
შემაშინებს განშორება,
შემაშინებს სხვა სიშორე...
...მაგრამ, ... მაგრამ ცას ავხედავ
და შენს ხილვას შევავედრებ,
მწამს უფალი პოეზიის,
ერთმანეთს კვლავ შეგვახვედრებს.
მერცხლის ჭიკჭიკს, ვაზის ტირილს
ველოდები ყოველ წუთში,
მუხათწყაროვ, თუ რამ ცოცხლობს,
შენცა ცოცხლობ ამ ჩემს გულში.

ეთერ ზარიძე

განუკითხავი დრო

დრო დადგა მეტად განუკითხავი,
არავის ახსოვს მამულზე დარდი,
აქ დაფნის გვირგვინს ირგებს უღირსი,
ღირსეული კი – მათხოვრად დადის.
უსამართლობა ზეიმობს ყველგან,
დაგვიდგა მეტად რთული დროება,
ჩვენს ქვეყანაში არავის ახსოვს
„ენა, მამული, სარწმუნოება“.
გადაგვარების გზაზე დამდგარი
ამას ვერ ხედავს ქართველი ერი,
მტერი კი უკვე კარზე მომდგარი
აკრძალულ სოლოს ხმამაღლა მღერის.
დრო დადგა მეტად განუკითხავი,
არავის ახსოვს მამულზე დარდი,
აქ დაფნის გვირგვინს ირგებს უღირსი,
ღირსეული კი – მათხოვრად დადის.

დავით იაკობიძე

პოეტს ქალს, ქალბატონ ზოია ვაშაკიძეს

ფერად წვიმაში მოჰყევი,
იქიდან დაისეტყვე,
არ დაგიშრება მელანი,
ღვთიურ ენაზე მეტყველს,
ყოფილხარ მირონცხებული,
ქართული სიტყვის მადლით, –
ობოლი, გამორჩეული, –
შენი წვითა და დაგვით.
მსუყე ყანაში შესულმა,
მარგალიტები თესე,
და ეგზომ მოზღვავებულმა,
რითმის კონები კემსე.
ფერად წვიმაში მოჰყევი,
იქიდან დაისეტყვე,
არ დაგიშრება მელანი,
ღვთიურ ენაზე მეტყველს.

ილია მამულაძე

ჩემს საქართველოს...

ჩემო სამშობლოვ, ლუკმავ აფთარის,
ქორ-შევარდენთა ქცეულო ბავლო,
დავითის მოდგმავ, მოდგმავ თამარის,
უფლის ლოდინში გასულო ყავლო.
ანდამატური დინების ჩქერო,
ყინვარმთის გულით მფეთქავო მიწავ,
დაუშრეტელო სისხლის ჩანჩქერო,
რაც შემიძლია გფარავ და გიცავ.
ვწუხვარ, რომ გიმზერ ჭიგოზე აცმულს,
ცრემლებით გივსებს ჟამი კალაპოტს,
ჩემს საქართველოს ნაგვემს და ჯვარცმულს,
თვისივე ზრდილი შვილი ღალატობს.

***

ცისფერთვალება ცაზე გაბადრულს,
ღრუბელს ხუნდებით ბორკავს ირისი,
ზამბახისფერი ხვატით აჯაგრულს,
ხარატულ აკვანს მირწევს თბილისი.
მთვარეს ღრუბლებში ხომლით განაბულს,
ტოგამოსილი ხიბლავს ივლისი,
ამ წუთისოფელს შავად დადაგულს,
აჰყვავებია ამარილისი.
ცის თალხზე მინდა ცრემლი შევიშრო,
მინდა ჯანღივით მთებზე დავქანდე
და ჩემი ლექსი, ჯერაც რომ პირმშო,
ავამჭევრე და ავალაქარდე.
ტანს რომ გიმშვენებს მწვანე ხავერდი
და მაგ თეთრ მკერდზე თოვლივით გრილი,
შემოგხვევია როგორც ალერდი,
ჩემი ხელები ნორჩი და ჩვილი.
ვინ დაუჩრდილა კვარი მთა-ველებს?!
ვინ ჩაუმტვრია ტაძრებს ჩერანი?!
როგორც ქარიშხალს შემოაგელვებს,
მალი, ფეხმარდი გვარის მერანი.
ახლა სიცოცხლის ყოფა მაღელვებს,
ვაგლახ, დამჩემდა დარდი – ვერანი,
ტაშისკარული ქარი მახელებს,
მესმის სიკვდილის მკრთალი ჟღერანი.

გურამ ჭავჭანიძე

ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი

ბორანი რომ მტკვარზე იდგა,
ის თბილისი მიყვარდა,
თითქოს ახლაც თვალწინ მიდგა,
აფსუს, დრო-ჟამს მიბარდა.

მტკვრის გაცურვა ჩემ უბნელთა
ნატვრა იყო მარადი,
როგორც ყველა თბილისელთა,
სავიზიტო ბარათი.

ახლაც ფიქრით იმ დროს ვეტრფი,
მთლად არ გადამიწურავს,
თბილისელად იმას ვეტყვი,
მტკვარს ვინც გადამიცურავს.

ბორანი რომ მტკვარს აპობდა,
ის თბილისი მერჩია,
ვინც საბორნე მტკვრით ლაღობდა,
მსურდა გამომერჩია.

ის თბილისი, მზის სადარი,
ისე გადაირია,
ვერ გაიგებ, ვინ სად არის,
ვინ სად გადაირია.

მოდი ერთი „მი ატ ელი
ახპერ“, კაცო კაცურო,
თუ ხარ ნაღდი თბილისელი,
მტკვარი უნდა გაცურო.

მომენატრა ბორანი და
მტკვრიდან მასზე აძრომა,
გადმოხტომა ბორანიდან
და ბორნის ქვეშ გაძრომა.

სად არიან ძმა-ბიჭები,
სადღა არის ბორანი,
„პლეხანოვის“ სხვა ბიჭები,
მტკვარით ნაამბორალი.

სად ხართ, ძმებო, „ცავატანემ“,
არ ჩამიქრა შუქური,
განა ტალღებს გავატანე,
ტრფობა სიჭაბუკური.

არ გამქრალა ის ფარული,
წლობით გულში ნადები,
ჩვენი ძველი სიყვარული,
ჩვენი სერენადები.

ცირკის ქვემოთ სანუკვარი,
ძვირად შესახედავი,
ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი,
რას ბუტბუტებს ნეტავი.

ბელა ალანია

გადარეული ბროწეულები

*,,ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან,
ხოდაბუნები თავთუხებისა...”*

გოგლა ლეონიძე

ბროწეულები ისევ ჰყვავიან,
დარად მბზინვარე შენი ტუჩების,
არ მემეტება მე სხვის არშიყად,
თვალები შენი - გიშრის მძივები;
არ მემეტება, მე სხვის ამბორად,
ნათელი შუბლი, თლილი თითები;
მოპარვით კოცნის მომლოდინეა,
მოღერებული შენი კისერი.
ამ ქუჩის ბოლოს ისევ გიცდიან,
შენთვის ჰყვავიან თავგამეტებით,
წითელ კვირტებად გაბნეული და
გადარეული ბროწეულები.
არ მემეტება უშენობისთვის,
მე ეს სამოთხის სასწაულები.

უსიცოცხლო სევდა

დაუმდნარი თოვლი შერჩენია მიწას,
ჯანგაცლილი ყინვა ზამთარს ისევ იცავს,
დროში გატყორცნილი აცდენილი გუნდა
თავის შეხსენებას მერამდენედ ბედავს.
აწეწილი ბინდის უფერული მზერა
გაზაფხულის ხვატით გათანგული თვრება.
აღარ მორჩა ზღურბლზე ლეკვი
წკავწკავს, ყეფას,
თოვლის ნარჩენებზე ნაფეხურის ჭვრეტას.
დაუმდნარი თოვლი – უსიცოცხლო სევდა,
წარმავლობის შიშით ყინვა ზამთარს გეშავს.

გამოსაცემად მზადდება ლევან სანიკიძის წერილების კრებული „წიგნი დაწუნებისა და მოწონებისა“. გთავაზობთ ერთ-ერთ სტატიას ამ წიგნიდან.

ტალანტით ღვთისგან რწმუნებულითა

ლევან სანიკიძე

რეზო მიშველაძის ახალი წიგნი - „ასი ახალი ნოველა“, შემოიჭრა ქართულ საწიგნობელ სამყაროში, სწორედ შემოიჭრა-მეთქი, იერიქონულად მოგანგაშე საყვირთა ცემით.

იერიქონიო?! მაგრამ აკი ეს ლოგოსი ბიბლიიდან - „იერიხო“ - ჯერ, „განგაშამდე“, „სურნელებას“, „ამბრი-სურნელსა“ გაიაზრებს - სურნელთა ფრქვევას საკვირველსა.

და, სწორედაც - ეს ნოველები მაღალხატოვან „სურნელთა ფრქვევით“ იმკვიდრებენ თავის საკუთარ, გამორჩეულ ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

თანაც, აქ „ისტორიულობა“ იმ თვალსაზრისითაც გაიაზრება, რომ რეზო მიშველაძის ამ წიგნამდე მწერლობის ისტორიასაც არ მოსწრებია, ვინმეს ას დღეში ასი ნოველის დაწერა „მოეხერხებინოს“ (ვგულისხმობ მაღალღირსეულ ნაწარმოებს და არა მდარეფასეულ „ნაწარმს“).

მაგრამ მხატვრულობით „სურნელის ფრქვევას“ თან ახლავს დიდზე დიდი საისტორიო მნიშვნელობა ამ ასეული ნოველისა. სწორედ საისტორიო წყარო მომავალი თაობებისათვის, მომავალ ისტორიკოს-მკვლევართათვის, ჩვენი ამდღევანდელობის უტყუარი სიმართლით აღდგენისა, დადგენისა და განსჯა-გააზრებისათვის.

აი, თურმე რანი ყოფილან ქართველნი და მათი ქვეყანა-საცხოვრისი ქრისტესშობითგან მეორე ათასწლეულის მიწურულს, ანუ მრავალ ათასეულ წელთა სარბიელზეც, არასოდეს რომ საქართველო ასე დამცრობილი, დამცირებული და იავარქმნილი არა ყოფილა და ყოველივე.

„ვაი ჭკუისაგან“ თვითონ ქართველთა და ვით სიძულვილისაგან „ერთმორწმუნე“ და „თანამოძმე“ ჩრდილოელი გოგ-მაგოგისგან...

***

ცხრაასი წლის წინ, შავი მთის კლდისა დანახეთქსა, სახელოვანმა ასკეტმა გიორგი შეყენებულმა გენიალურ გიორგი ათონელს „ღვთისგან რწმუნებული ტალანტი“ უწოდა.

და მადლობა უფალს, რომ მისგან „ტალანტის რწმუნებულობა“ საქართველოში არც მოშლილა და არც მოიშლება.

და მაგალითიც - „ასი ახალი ნოველა“ რეზო მიშველაძისა - ასი საყვირი იერიქონული, ერთდროულად - ხატოვან-სურნელებათა მფრქვეველიც და სამომავლოდ მოგანგაშე-მაფხიზლებელიც.

თბილისი

7 ღვინობისთვე 1997 წლისა

საქართველოს მწერალთა კავშირი და ,,მწერლის გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძნობენ მწერალ აკაკი ბრეგაძეს მეუღლის
ნათელა ბრეგაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირი და,,მწერლის გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძნობენ ამირან შალიკაშვილს შვილის
გოჩა შალიკაშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირში

„თეთრი ღიმილის“ პრეზენტაცია

29 ივლისს მწერალთა სახლში გაიმართა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატის მწერალ ნოდარ კობერიძის წიგნის – „თეთრი ღიმილის“ წარდგენა. რევაზ მიშველაძემ შესაშური სიღრმით წარმოადგინა ეს წიგნი და მას ქალაქური ტიპის რომანი უწოდა, რაც ესოდენ იშვიათია ჩვენი მწერლობისათვის. წიგნში „გაცოცხლებული“ რომანთა გმირები (სამი რომანია შეტანილი და იგი ერთგვარი ქრონიკაცაა ჩვენი დღევანდელობისა), „შენიანნი აღმოჩნდებიან“.

სოსო სიგუამ მიმოიხილა წიგნი და თავის დადებითი განწყობა არ დაუფარავს. სიტყვით გამოვიდნენ – თამაზ ვაშაძე, გრიგოლ დარჩიაშვილი, ვაჟა ადამია, ნომადი ბართაია, იროდი ასანაშვილი...

ბოლოს თავად ნოდარ კობერიძემ ბრძანა, რომ მას ცხოვრებაში პირველად შესაბამისი სამადლობელი სინონიმები ვერ გამოუნახავს, რათა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადოს. მან ერთი თავის დაკვრით გამოხატა მღელვარე ემოციები, რამაც საზოგადოების ტაში გამოიწვია.

შეხვედრა მზია ხეთაგურთან

თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში, ამა წლის 21 ივნისს გაიმართა ქართველი და ოსი ხალხის საყვარელი პოეტის, ღირსებისა და წმინდა გიორგის ორდენის კავალერის, აკადემია „ფაზისის“ აკადემიკოსის, მზია ხეთაგურის ახალი პოეტური კრებულის „ღამის დარაჯის“ პრეზენტაცია.

დარბაზი სავსე იყო მისი პოეზიის თაყვანისმცემლებით, პოეტებით, მუსიკოსებით, მხატვრებით და სხვა გამორჩეული ადამიანებით.

საღამო გახსნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ: ერეკლე საღლიანი, გიორგი კეკელიძე, მანანა დანგაძე, თემურ ჩალაბაშვილი, გენო კალანდია, დიანა გიგიაძე და მარინა კოლხიდაშვილი.

მას მკითხველი ენდობა



საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ბატონი ოთარ დვალიშვილი ათიოდე წიგნის ავტორია. მან უკვე მიგვაჩვია თავის სტილს; წერს ისტორიულ–პუბლიცისტურ პორტრეტებს. წერს იმაზე, რაც კარგად იცის და, რაც მთავარია, წერს შეულამაზებლად, ფაქტების ღრმა ცოდნით, როცა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ლამის ყურადღებამიუქცეველ მოვლენებს აშუქებს (ვთქვათ, 1924 წლის აჯანყება ვანში და მისი მონაწილენი), მკითხველი მას ენდობა, რადგანაც ოთარ დვალიშვილს კალამი არასოდეს გაექცევა და მისი პირით ყოველთვის კეთილსინდისიერი, ობიექტური მემატიანე გვესაუბრება. ხოლო, როცა საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებები არიან მისი ნარკვევის გმირები, მაშინაც არ გტოვებთ სიახლის განცდა, რადგანაც მწერალი ჯიუტად არ მიჰყვება სხვათა მიერ გატკეპნილ ბილიკებს, მისთვის უცხოა ადრესატის გაფეტიშება, რადგანაც „სიმართლე მისთვის სიცოცხლეზე მეტია“.

სწორედ ასე ჰქვია ოთარ დვალიშვილის ახალ წიგნს, რომლის ფურცლებზეც თქვენ გაეცნობით სტალინის, დავით აღმაშენებლის, ნოე ჟორდანიას, ლავრენტი ბერიას, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გიორგი სააკაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონის, ნაზი შამანაურის და სხვათა მწერლისეულ, პირუთვნელ პორტრეტებს.

რევაზ მიშველაძე

მწერლის გაზეთი
№8
ფასი 1 ლარი
1-30 სექტემბერი
2016

მისამართი: მარჯანიშვილის ქუჩა №5 მეორე სართული. ტელ.:293-55-15
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru
9 771987 698009